ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ქრისტინე ცინცაბაძე

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კონცეპტუალური ველი და მათი თარგმნის ლინგვოკულტურული ასპექტები

სპეციალობა: ლინგვისტიკა (თარგმანმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. **ქეთევან სვანიძე**

ასოც. პროფ. **ლილე თანდილავა**

ბათუმი

2022

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი დისერტაციის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

10.10.2022

ქ.ცინცაბაძე.

შინაარსი

შესავალი– -5

თავი I. ფრაზეოლოგიზმისა და იდიომის ლინგვისტური არსი და მათი კულტუროლოგიური ბუნება – 11

1.1.ფრაზეოლოგიზმისა და იდიომის ცნებების პრობლემა ენათმეცნიერებაში – – — – ---------------------11

1.2.ფრაზეოლოგიზმისა და იდიომის ცნებების საკითხი ქართულ ენათმეცნიერებაში– 18

1.3.ფრაზეოლოგიზმისა და იდიომის ცნებების საკითხი თურქულ ენათმეცნიერებაში

– -20

თავი II. კონცეპტის ლინგვოსემანტიკური არსი და თურქული სომატური ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური ველი – -27

2.1. სომატური ფრაზეოლოგიზმები თურქულ ენაში– -30

2.2. თურქული და ქართული სომატური ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებითი ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი– 89

თავი III. სომატური ფრაზეოლოგიზმების თარგმნის ასპექტები – – – – – – – – – – – – – – 96

3.1. ენის ინტერნაციონალიზაციის ასპექტები სალექსიკონო მასალის ანალიზის საფუძველზე– -96

3.2.თარგმანის რაობა– 98

3.3. ეროვნულ-კულტურული თავისებურებების ამსახველი ფრაზეოლოგიზმები თურქულში და მათი ქართული ეკვივალენტები– 101

3.4 თურქული სომატური ფრაზეოლოგიზმების თარგმნის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ასპექტები– –105

დასკვნები– 113

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები– ---- -116

შესავალი

ენისა და ადამიანის ურთიერთკავშირი არაერთი მეცნიერების და მათ შორის ლინგვოკულტუროლოგიის აქტუალური თემაა. ვინაიდან ადამიანი არის ენის აქტიური მატარებელი, ის აცოცხლებს და ავითარებს მას.

კულტურათშორისი ცოდნა და განვითარება მოიცავს ენის ძირფესვიანად შესწავლას, რაც გულისხმობს ამ ენის მატარებელი ეთნოსის კულტურისა და ადათ-წესების ფლობას.

ენის კულტურული თავისებურებები მკაფიოდ ვლინდება მის კულტურულ ძეგლებში, ლიტერატურაში, ხელოვნებასა და სამოსშიც კი. ეროვნული მენტალიტეტის დანახვა სხვადასხვა დარგში არის შესაძლებელი. რაც შეეხება ჩვენს კვლევას, მასში შევეცადეთ გამოგვევლინა თურქულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ერის ეროვნულ-კულტურული თავისებურებები და მათი კონოტაციური ველის ანალიზის საფუძველზე ქართული და თურქული კულტურათშორისი სხვაობისა და ამ სხვაობით გამოწვეული მთარგმნელობითი სირთულეების გამოვლენა და გაანალიზება.

ფრაზეოლოგია მუდმივად იქცევდა მკვლევართა ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ძალიან ბევრი კვლევა მიეძღვნა და ეს პროცესი პერმანენტულად მიმდინარეობს, იგი ამოუწურავი თემაა და მეტად საინტერესოა მისი კვლევისას სხვადასხვა ასპექტის თუ ნიუანსის გამოვლენა და გაანალიზება.

ქართული და თურქული ენების ისტორიის, სტრუქტურისა და სემანტიკის საკითხებს მრავალი კვლევა მიეძღვნა, თუმცა იმდენად მდიდარია მათი ფრაზეოლოგიური ფონდი, რომ ის ამოუწურავია და პრაქტიკულად შეუსწავლელია ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით. თავად ლინგვოკულტუროლოგია, როგორც მეცნიერული დისციპლინა, ჩამოყალიბების სტადიაშია. ლინგვოკუტურო-ლოგიის ძირითადი მიზანი ენისა და კულტურის, ენისა და ეთნოსის, ენისა და ხალხის მენტალიტეტის ურთიერთმიმართების საკითხთა შესწავლაა. ლინგვოკულტურული

კურსით კვლევა საშუალებას იძლევა, უფრო ღრმად ჩასწვდეს მეცნიერება ენის სემანტიკურ შრეებს, აღმოაჩინოს მასში შენახული კულტურა, ერის ცნობიერების ამსახველი კულტურული ელემენტები. შესაბამისად, ძალიან საინტერესოა ენობრივ ერთეულთა ეროვნულ-კულტურული თავისებურებების კვლევა. ამ მიმართულებით ერთ-ერთ საინტერესო და ამოუწურავ საკვლევ პრობლემას სწორედ ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენს, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამყაროს ენობრივი სურათის აღწერასა და შესწავლაში. ეს გულისხმობს მოცემული კულტურის კოდის კვლევას და ქართული და თურქული ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებით კვლევას ლინგვოკულ-ტუროლოგიური თვალსაზრისით, ამასთან, მთარგმნელობითი სირთულეების გამომწვევი კულტურული ასპექტების გამოვლენა-გაანალიზებას.

ფრაზეოლოგიზმების კვლევას ართულებს მათში წარმოდგენილი ინფორმაციის ზუსტი მნიშვნელობის დადგენა, მათი გამოყენების არეალის განსაზღვრა. საჭიროა მათში ჩადებული, ერთგვარად კოდირებული ეთნოკულტურული ინფორმაციის საგულდაგულო კვლევა. სწორედ ზემოთ აღნიშნული ფაქტორები განაპირობებენ საკვლევი თემის **აქტუალურობას.**

როგორც აღვნიშნეთ, ფრაზეოლოგიური ერთეულები კვლევის თვალსაზრისით მეტად საინტერესო და ამოუწურავია. აღნიშნულ ენობრივ ერთეულთა მიმართ შეუნელებელი ინტერესისა და შესაბამისი კვლევების სიმრავლის მიუხედავად, წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს მისი კიდევ ერთი ასპექტის შესწავლასა და წარმოჩინებას. კერძოდ, თურქულ ენაში არსებული სომატური ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური ველის აღწერას და მათი, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური, ასევე მთარგმნელობითი ბუნების გამოვლენასა და ანალიზს; ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ კულტუროლოგიური ასპექტებისა და თავისებურებების გაშუქებასაც.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი კონკრეტული **ამოცანები:**

- ✓ ფრაზეოლოგიზმებისდეფინიციის ჩამოყალიბება და მისი იდიომისაგან განმასხვავებელი ნიშნების გამოვლენა;

- ✓ სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკის შემცველი თურქული ფრაზეოლოგიზმების გამოწვლილვა და მათი ანალიზი;
- ✓ თურქული სომატური ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირება ქართულ ფრაზეოლოგიზმებთან და მათს მთარგმნელობით ეკვივალენტებთან;
- ✓ თურქულ სომატურ ფრაზეოლოგიზმთა კონცეპტუალური ველის განსაზღვრა (შედგენა) და მათი ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი;
- ✓ ქართულ ენაზე თურქული ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნისას წარმოქმნილი შესაძლო პრობლემების აღმოფხვრა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ფრაზეოლოგიური ერთეულები,ხატოვანი გამოთქმები საკვლევად ამოუწურავი თემაა, ამიტომ შესაძლებელია მისი სხვადასხვა კუთხით განხილვა, როგორც ცალკე, ერთ ენაში მათი შესწავლა, ასევე სხვა ენებთან შედარებითა და შეკავშირებით.ქართულსა და თურქულ ენებს ბევრი საერთო და განსხვავებული ფრაზეოლოგიური ერთეული მოეპოვება. ამ ორ ქვეყანას შორის კულტურათშორისი კომუნიკაციისთვის აუცილებელია ფრაზეოლოგიზმების ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტების კვლევა. განსაკუთრებით საინტერესოა სომატური ფრაზეოლოგიზმების განხილვა, თუ რა დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს მათ ქართულსა და თურქულ ენებში. ვინაიდან დღეისათვის იდენტური კვლევა არ მოიპოვება ლინგვოკულტურული და მთარგმნელობითი თვალსაზრისით, ნაშრომი საინტერესო ინფორმაციას მიაწვდის საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა განსაზღვრულია ფრაზეოლოგიზმების ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ინტერდისციპლი-ნურობით და მნიშვნელოვნებით, მათი როლის განსაზღვრით ენასა და კულტურაში. ნაშრომს ექნება პრაქტიკული მნიშვნელობა ქართული და თურქული ენების სწავლების, მათი შედარებისა და თარგმანმცოდნეობის თვალსაზრისით.

ნაშრომის **მეთოდოლოგიური საფუძველი განპირობებულია** დასახული მიზნებითა და ამოცანებით, ნაშრომში გამოყენებულია აღწერის, ლინგვისტური დაკვირვების და შეპირისპირებითი ანალიზისმეთოდები.

ნაშრომის **თეორიული ღირებულება** განისაზღვრება, იმით, რომ შეიცავს ლინგვისტიკის, თარგმანმცოდნეობის, კულტუროლოგიის და ლინგვოკულტუროლოგიისათვის საჭირო ანალიზსა და დასკვნებს.

ნაშრომის **პრაქტიკული დანიშნულება** ისაა, რომ მასში ჩამოყალიბებულია საქართველოსა და თურქეთს შორის კულტურათშორისი კომუნიკაციის გაუმჯობესებისა დაურთიერთობის გამყარებისათვის, როგორც განათლების ასევე სხვა სფეროში. ფრაზეოლოგიზმების თარგმანი, მათი მაქსიმალურად ზუსტი, ოპტიმალური მთარგმნელობითი ეკვივალენტების შერჩევა, და, შესაძლოა, განახლებული თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის შედგენა, რომელიც ამავდროულად, სიტუაციურიც იქნება (თუ ისიც იქნება სალექსიკონო სტატიაში აღწერილი), ნამდვილად შეუწყობს ხელს უკეთეს კომუნიკაციას ამ ორ ქვეყანას შორის.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:წინამდებარე ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა განპირობებულია დასახული მიზნებითა და ამოცანებით. ნაშრომი შედგება შესავლის, სამი ძირითადი თავის,ცხრა ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

შესავალში დასაბუთებულია ენის კულტურული თვისებურებები, საკვლევი თემის არჩევის რაობა, ასევე ხაზგასმულია საკვლევი თემის აქტუალურობა,სიახლე, მიზნები და ამოცანები.

პირველ თავში მოყვანილი და გაანალიზებულია როგორც თავად თურქ, ისე სხვა უცხოელ და ქართველ მეცნიერთა მოსაზრებები ფრაზეოლოგიზმის, როგორც ლინგვისტური და კულტურული მოვლენის, მიმართ; ასევე ქართველ და თურქ ენათმეცნიერთა მოსაზრებების საფუძველზე გამოვლენილი და გაანალიზებულია მათი ხედვა ფრაზეოლოგიზმების მიმართ, ფრაზეოლოგია წარმოჩენილია, როგორც ცალკე

ლინგვისტური დისციპლინა, წარმოდგენილია მისი ჩამოყალიბების შესახებ თეორიები, ასევე შეჯამებულია ენათმეცნიერთა მოსაზრებები ტერმინ ფრაზეოლოგიზმისა და იდიომის გამიჯვნასთან დაკავშირებით.

ვინაიდან ფრაზეოლოგიური ერთეულების შედარებით ვრცელ რიგებს სომატური ფრაზეოლოგიზმები იკავებს, ჩვენი ნაშრომის **მეორე თავში** გაანალიზებულია კონცეპტის არსი, მოცემულია ომერ აქსოის (Aksoy, Deyimler Sözlüğü 2), ე. მამულიას (თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი), ფრაზეოლოგიურ ლექსიკონებში აღწერილი თურქული სომატური ფრაზეოლოგიზმების სრული ნუსხა და შეპირისპირებით (თურქულ-ქართული) ასპექტში გაანალიზებულია მათი კონცეპტუალური ველი. ამავე თავში შეპირისპირებულია რიგი თურქული და ქართული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც სამ ნაწილადაა დაყოფილი: იდენტური, შესატყვისი და „უთარგმნელი ფრაზეოლოგიზმები“.

თურქული და ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონების შეპირისპირებამ მეტად საინტერესო შედეგი მოგვცა: სომატურ ფრაზეოლოგიზმებში გამოიკვეთა მსგავსება, იდენტურობა ისეთი ერთეულებისა, რომლებიც დღესაც გამოიყენება, როგორც თურქულ ასევე ქართულ ენებში. რაც შეეხება „უთარგმნელ“ ფრაზეოლოგიზმებს, მასში შემავალი სიტყვები კონკრეტული ეთნოსისათვის დამახასიათებელი რელიგიური და ეროვნული ტერმინებია.

ნაშრომის **მესამე თავი** ეთმობა ეროვნულ-კულტურული ფრაზეოლოგიზმების, ფრაზეოლოგიზმები თარგმნის სირთულეების გამომწვევ კულტურულ ასპექტებს, რასაც ერის ცნობიერების თავისებურებების არსებობით ვხსნით. ამ ორ ენას შორის არსებული განსხვავების ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ ეს არის. მოცემულ თავში მოყვანილია თარგმნის დროს წარმოქმნილი პრობლემების გაიოლების გზები, რათა ეს რთული პროცესი უფრო მარტივად შესასრულებელი, შესრულებული თარგმანი კი მაქსიმალურად გასაგები და შესაბამისად, ეკვივალენტური გახდეს.

დასკვნით ნაწილში მოცემულია კვლევის თეორიული და პრაქტიკული შედეგების შეჯამება და განზოგადება.

ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული **ლიტერატურის ნუსხა,** რომელიც მოიცავს ოთხმოცდაერთი დასახელების სამეცნიერო ნაშრომს.

თავი I. ფრაზეოლოგიზმისა და იდიომის ლინგვისტური არსი და მათი კულტუროლოგიური ბუნება

1.1. ფრაზეოლოგიზმისა და იდიომის ცნებების პრობლემა ენათმეცნიერების თეორიაში

ეფექტური კომუნიკაციის მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ ენის სწავლება აკმაყოფილებდეს სტანდარტებს. აქედან გამომდინარე, საკმარისი არ არის შესწავლილი ენის მხოლოდ სტრუქტურული თავისებურებების ცოდნა. სემანტიკური და პრაგმატიკული თვალსაზრისით ყველაზე რთულად შესასწავლი ფრაზეოლოგიზმებია, ერთეულები, რომლებში შემავალი სიტყვების მნიშვნელობების ჯამიც არ უდრის კონკრეტული ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობას. ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ფრაზეოლოგიზმში სხვადასხვა მნიშვნელობას გადმოსცემს. ფრაზეოლოგიზმები მეტად საინტერესოა როგორც ლინგვისტური, ასევე კულტუროლოგიური თვალსაზრისით, ვინაიდან უმეტესი ნაწილი ჩამოყალიბებულია და გამოიყენება სწორედ კონკრეტუ;ლ კულტურული და ეთნიკურ გარემოში.

XX საუკუნის 50-იან წლებამდე ფრაზეოლოგია ლექსიკოლოგიის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებოდა. იგი არ განიხილებოდა დამოუკიდებელ ლინგვისტურ დისციპლინად.

„ტერმინ ,,ფრაზეოლოგიის'' დამკვიდრება უკავშირდება ფრანგი მეცნიერის – შარლ ბალის სახელს. თ. კალაძე თავის ნაშრომში„ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულების სწავლების თავისებურებანი საბაზო საფეხურზე“ გადმოგვცემს შარლ ბალის მოსაზრებას ფრაზეოლოგიზმების შესახებ. მეცნიერი აღნიშნავდა, რომ სხვადასხვა ენაში, გარდა სიტყვათა საკმაოდ ვრცელი მარაგისა, არსებობს ე.წ. მყარი შესიტყვებები, რომლებიც განსაკუთრებული მხატვრულობითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა.

ამასთანავე, იგი მიიჩნევდა, რომ ,,ფრაზეოლოგია არის ენათმეცნიერების ის დარგი, რომელიც შეისწავლის მყარ შესიტყვებებს, მათ წარმოშობა-განვითარებასა და ფუნქციონირებას ენის სისტემაში“ (კალაძე, 2017: 9).

,,ფრაზეოლოგიური ერთეული არის ლექსემათა მდგრადი ნაერთი სრულად ან ნაწილობრივ გადატანითი მნიშვნელობით. ფრაზეოლოგიური ერთეულის კომპონენტები ლექსემებია. მათი, როგორც წინადადების წევრების, გამოყოფა არ შეიძლება ფრაზეოლოგიურ ერთეულში. წინადადების წევრი თავად არის ფრაზეოლოგიური ერთეული,‘‘ – განმარტავს ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ა. კუნინი (Кунин, 1970:14).

წიგნი ფრაზეოლოგიის, როგორც ლინგვისტური დისციპლინის, შესახებ მოგვიანებით გამოსცა ნ.მ. შანსკიმ (Шанский,1961). მას შემდეგ სხვა არაერთმა მეცნიერმა მიუძღვნა ნაშრომი ფრაზეოლოგიას. ყველა მათგანი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფრაზეოლოგია დამოუკიდებელ ლინგვისტურ დისციპლინას წარმოადგენდა. ამ მხრივ, საგულისხმოა ბ.ა. ლარინის შემოქმედებაც (Ларин, 1956). ბ.ა. ლარინიც იმ ზემოთხსენებულ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ფრაზეოლოგიას ლინგვისტურ დისციპლინად მიიჩნევდნენ. ნამდვილ ლინგვისტურ დისციპლინებად მოიაზრებდნენ ფონეტიკას, მორფოლოგიას, სინტაქსს, სემანტიკას. ფრაზეოლოგიის დამოუკიდებელ ლინგვისტურ დისციპლინად აღიარებას ეწინააღმდეგება ენათმეცნიერი ი.ე. ანიჩკოვი (Аничков, 1926) და ა.ი. სმირნიცკი (Смирницкий, 1954). მეცნიერი ირწმუნება, რომ ფრაზეოლოგიზმები, ისევე როგორც ანდაზები, არაფრით განსხვავდება არამარტო ფრაზებისაგან, არამედ ე.წ. თავისუფალი სიტყვათშეერთებისაგან მათი სტრუქტურისა და შემადგენლობის თვალსაზრისით‘‘ (ვიმოწმებ კალაძის მიხედვით, კალაძე, 2017:11).

„ლინგვისტურ ლიტერატურაში ფრაზეოლოგიის თვალსაჩინო გამოჩენა წინაპირობა გახდა მისი აქტუალიზაციისა მეთოდურ ლიტერატურაშიც. გამოითქვა მოსაზრებები, რომ ენის შემსწავლელთათვის უმთავრესი მიზანი უნდა ყოფილიყო ფრაზეოლოგიური ერთეულების დიდი დოზით დაზეპირება (Wray, 2000), მაგრამ სერიოზულ გამოწვევად რჩებოდა მეხსიერებაში შენახული ლექსიკური მარაგის ეფექტური და გონივრული გამოყენება პრაქტიკაში. მოსწავლეთა ენის ცოდნის სხვადასხვა დონის, მრავალფეროვანი კულტურული ფონის, სწავლის განსხვავებული

უნარებისა და ინტერესების გათვალისწინებით საკამათო გახდა ფრაზეოლოგიური ერთეულების სწავლების დოზირების საკითხი. აქტუალურია შეკითხვა: რამდენად არის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებსაც ვასწავლით, ენის შემსწავლელთა საჭიროებებთან შესაბამისობაში? (Granger, 1998)“ (ვიმოწმებ კალაძის მიხედვით, კალაძე, 2017:12).

როგორც აღვნიშნეთ, ფრაზეოლოგიზმები ენისათვის ერთ-ერთ ძირითად და მუდმივ საკვლევ საკითხებს შორის იკავებს მოწინავე ადგილს. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ენათმეცნიერებათა უმრავლესობა თანხმდება იმ მოსაზრებაზე, რომ ფრაზეოლოგიზმი, თავისი ლინგვისტური შემადგენლითა და კულტურული მახასიათებლებით, სავსებით აკმაყოფილებს დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინის რიგებში გამოყოფისთვის აუცილებელ სტანდარტებს.

მკვლევრების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ასევე თავად ტერმინიც, იმდენად რამდენადაც სწორედ მისი სწორი განსაზღვრა, დეფინიციის ამომწურავად ჩამოყალიბება მოგვცემს საშუალებას, ჩავწვდეთ მოვლენის არსს. ფრაზეოლოგიზმები სხვადასხვა სახელით შეიძლება შეგვხვდეს ზემოთ დასახელებულ უცხოელი მეცნიერთა ნაშრომებში. ხატოვანი გამოთქმების აღსანიშნავად არსებობს შემდეგი ტერმინები: *ფრაზეოლოგიური ერთეული, ფრაზეოლოგიური შენაზარდი, ფრაზეოლოგიური მთლიანობა, ფრაზეოლოგიური შესიტყვება, მყარი გამოთქმა, იდიომი.*

რაც შეეხება თურქულ ენას, ფრაზეოლოგიზმებსიკვლევენ ხატოვან გამოთქმებსა და ანდაზებთან ერთად. სიტყვა ფრაზეოლოგიზმის გადმოსაცემად XX საუკუნის 30-40-იან წლებამდე გამოიყენებოდა ოსმალური ‘tabir’, 1935 წელს, თანამედროვე ეპოქაში კი ‘Deyim’, სიტყვით აღინიშნება, რომელიც როგორც სასაუბრო, ისე სალიტერატურო ენაში ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობით გვხვდება.

ენათმეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ასევე ერთი მეტად აქტუალური საკითხი: იდიომისა და ფრაზეოლოგიზმის შედარება-შეპირისპირება და ანალიზის საფუძველზე იმის დასაბუთება, არის თუ არა ეს ორი ენობრივი მოვლენა

ერთი და იგივე ლინგვისტური ერთეული და, შეიძლება თუ არა გარკვეულ კონტექსტში მათი ერთიმეორით ჩანაცვლება.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „ფრაზეოლოგიზმი“ არ გვხვდება,არამედ მითითებულია ტერმინი „ფრაზეოლოგია“, როგორც მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამი, ამა თუ იმ ენის დამახასიათებელი თავისებური სიტყვათა შეერთებანი, სიტყვათსაქცევი.

როგორც ცალკეული დისციპლინის საკითხი, ასევე ფრაზეოლოგიისა და იდიომის მსგავსება-განსხვავებულობაც ენათმეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ერთნი ამტკიცებენ, რომ ფრაზეოლოგიზმი და იდიომი ერთი და იმავე კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ, მათ შორის განსხვავება იმდენად მცირეა, რომ შესაძლებელია ერთიმეორით ჩავანაცვლოთ. ასევე არსებობს საპირისპირო მოსაზრებებიც.

ქართულ ლინგვისტიკაში იდიომების მეცნიერული შესწავლა XX საუკუნის შუა წლებიდან იწყება. ა. ახალაძე თავის ნაშრომში „იდიომური გამოთქმები ქართულსა და თურქულ ენებში“ ასევე ეხება იდიომებისა და ფრაზეოლოგიზმების გამიჯვნის საკითხს, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს საკითხის აქტუალურობას.

„ენათმეცნიერებაში მიღებული მოსაზრების თანახმად, ფრაზეოლოგიზმი ეწოდება ნებისმიერ ლექსიკურ ერთეულს, რომელსაც ახასიათებს სტრუქტურული მდგრადობა, მონოლითური ტრანსფორმირებული მნიშვნელობა და ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობა. ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ ამა თუ იმ ენაში მტკიცედ ჩამოყალიბებულ გამონათქვამებს, ამ ენისათვის დამახასიათებელ თავისებურ შესიტყვებებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მკვიდრდებოდა ენის მარაგში“ (ახალაძე, 2021:12).

აკად. თ. გამყრელიძის აზრით, ,,მყარი შესიტყვებების, ანუ ფრაზეოლოგიზმებისათვის ნიშანდობლივია სტრუქტურული, ლექსიკური, სემანტიკური, აგრეთვე გამოყენების სტაბილურობა. ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებში სემანტიკურად გარდაქმნილია მხოლოდ ერთი ლექსემა, კომპონენტებს შენარჩუნებული

აქვს სემანტიკური დამოუკიდებლობა, ნომინაცია (სახელდება) ანალიზურია“ (გამყრელიძე, 2008:27).

ს. ოჟეგოვი წერდა, „თვით სიტყვა „ფრაზეოლოგია“ ჯერ კიდევ არ ქცეულა ნამდვილ ტერმინად, რადგან იგი აერთიანებს მრავალფეროვან მოვლენებს, ხშირად ერწყმის ტერმინ ,,იდიომატიკას“ ან უპირისპირდება მას“ (Ожегов, 1958: 34).

სპეციალურ ლიტერატურაში იდიომს ასე განმარტავენ: იდიომი ლინგვისტური ტერმინია, იგი გამოხატავს ერთგვარ დაუშლელ მთელს, რომლის ნაწილები ჩვეულებრივ არ გადაადგილდება. იდიომის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მისი მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობათა ჯამს.

„იდიომები ამა თუ იმ ენის სპეციფიკური გამოთქმებია, რომლებიც აზრობრივ მთლიანობასა და ერთიანობას ქმნიან, ზუსტად არ ითარგმნება და თარგმნისას მოითხოვენ მსგავსი სტილისტიკური ელფერის შენაცვლებას“ (Булаховский, 1955: 33).

ვ. ვინოგრადოვის აზრით, „ამ უკანასკნელში იდიომების მსგავსად იგულისხმება ისეთი შენაერთები, რომლებიც ენაში მზა ფორმით არსებობს, მუდმივი ლექსიკური შემადგენლობაც აქვთ, მაგრამ კომპონენტებს შორის კავშირი ნაკლებად მტკიცეა, შესაძლებელია შეიცვალოს სინონიმებით“ (Виноградов, 1947:111).

ვ. ვინოგრადოვმა იდიომებსა და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შორის სხვაობად ხატოვნება მიიჩნია. მისეულ კლასიფიკაციაში ფრაზეოლოგიზმთა სამი ტიპია წარმოდგენილი:

1. ფრაზეოლოგიური შენაზარდი (ენას ილესავს);
2. ფრაზეოლოგიური მთლიანობა (ზემოდან იყურება);
3. ფრაზეოლოგიური შესიტყვება (უღრანი ტყე).

„ყველა ენაში ფრაზეოლოგიზმი გამოხატავს სიტუაციას, ემოციურ მდგომარეობას, კონცეფციას, რომელშიც ის გამოიყენება. ეს სიტუაცია გვიჩვენებს, რომ ფრაზეოლოგიზმის აღქმა პირდაპირ კავშირშია საზოგადოების სტრუქტურასთან.

ფრაზეოლოგიური ერთეული არის მნიშვნელოვანი მასა, რომელიც გამოიყენება ბუნებრივი ენის დინებაში“ (Lyons, 1983: 23).

„საუბრისას მოსაუბრეები ხშირად ხმარობენ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, თუმცა შეიძლება მათ არ იცოდნენ, რომ ეს ხატოვანი გამოთქმაა, ან კიდევ არ იცოდნენ მათი მნიშვნელობა“ (Vico,2006:27).

ზოგი მეცნიერი „ფრაზეოლოგიზმს სოციუმის მხრიდან გათავისებულ ციტატებს უწოდებს, რომელსაც იყენებენ არა ძირითადი მნიშვნელობით, არამედ სილამაზისა და ხალისის გრძნობების გასამძაფრებლად“(Özbay, 2009:11).

„ფრაზეოლოგიზმი მინიმუმ ორი სიტყვის ერთმანეთთან შეკავშირებაა, რომელიც კარგავს ძირითად მნიშვნელობას და ქმნის აბსტრაქტულ კონცეფციას“ (Hepçilingirler, 2018:4) .

ენათმეცნიერთა მოსაზრებების შეჯერებით, საერთო დასკვნა ნათელია,იდიომი არის ფრაზეოლოგიური ერთეული ვიწრო მნიშვნელობით.

კვლევებისა და მოსაზრებების განხილვის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ამ ორი ტერმინის მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები. რაც შეეხება მსგავსებას, უპირველეს ყოვლისა, სინტაქსური დაუშლელობა წარმოადგენს, როგორც აღვნიშნეთ,ორივე შემთხვევაში, მასში შემავალი სიტყვების სემანტიკის ცალ-ცალკე ცოდნა არ გვაძლევს ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობის გაგების საშუალებას. ორივეს აქვს მზა ლექსიკური შედგენილობა, სიტყვათა გადანაცვლებით მნიშვნელობა ვერ შეიცვლება. საზიარო ნიშანია ასევე მეტაფორულობა, რაც ექსპრესიულობის აუცილებელი პირობაა.

გარდა საერთო ნიშნებისა, არსებობს ბევრი განმასხვავებელი ნიუანსი, რომლებიც ა. ახალაძეს სადისერტაციო ნაშრომშისაკმაოდ საინტერესოდ აქვს ჩამოყალიბებული:

„იდიომისგან განსხვავებით, ფრაზეოლოგიური შესიტყვების საერთო მნიშვნელობა ნაწილობრივ გამომდინარეობს მათი საყრდენი სიტყვისგან, რომელიც

აუცილებლად აბსტრაქტული სახელია. ასეთი შესიტყვების მხოლოდ ერთი კომპონენტი ექვემდებარება მეტაფორიზაციას, იდიომში კი მთელი გამოთქმაა მეტაფორული. გარდა აღნიშნულისა, იდიომებისათვის ნიშანდობლივია შესიტყვების განსაკუთრებულობა, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი ზუსტი ანალოგი სხვა ენებში არ იძებნება. ანუ, იდიომი ეთნიკური ნიშნის მატარებელიცაა. მაგ.: *ვირზე/ჯორზე შეჯდომა; თავი ქუდში აქვს; ნემსის ყუნწში ძვრება; კუდით ქვა ასროლინა* და სხვა“(ახალაძე, 2021:13).

ფრაზეოლოგიზმი იგივეა, რაც იდიომატური გამოთქმა, თუმცა ყველა ფრაზეოლოგიზმი იდიომა არ არის. იდიომატური გამოთქმების კომპონენტები ყოველთვის მიმართულია სუბიექტზე, უმეტესწილად გამოიყენება არა სამყაროს აღსაქმელად და გადმოსაცემად, არამედ ინტერპრეტირების,შეფასებისის და მისდამი სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვის მიზნით. სწორედ ეს განსაკუთრებულობა განასხვავებს იდიომებსა და მეტაფორებს სხვა ნომინაციური ერთეულებისაგან.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იდიომს აქვს თავისი ადგილი ფრაზეოლოგიაში, რაც მისი სტრუქტურული მთლიანობით, განცალკევების შეუძლებლობითა და აზრის მეტაფორულობით არის გამოწვეული, თუმცა იდიომი მეტწილად ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული სიტყვათა ერთობლიობაა, რომლის შესატყვისი სხვა ენაში არ მოიპოვება, არ იგივდება ანადაზებსა და ხატოვან გამონათქვამებთან. ჩვენი ნაშრომი ეფუძნება ვ. ვინოგრადოვის კლასიფიკაციას, ძირითად განმასხვავებელ ნიშნად ხატოვნებაა მიჩნეული. ტერმინებად მოვიხსენიებთ როგორც ფრაზეოლოგიზმს, ასევე ფრაზეოლოგიურ ერთეულს.

1.2. ფრაზეოლოგიზმისა და იდიომის ცნებების საკითხი ქართულ ენათმეცნიერებაში

,,ძირითად ამოცანად რჩება ენის შესწავლა სათანადო ისტორიულ სინამდვილესთან, კერძოდ, კულტურის ისტორიასთან კავშირში, ერთი მხრივ, აზრის კატეგორიასთან და აზროვნების ისტორიასთან მიმართებაში, მეორე მხრივ" (ჩიქობავა 1967: 6). ორივე მხარე ნათლად ასახავს ლინგვოკულტუროლოგიის კვლევით სფეროს,

სადაც შეისწავლება ენისა და კულტურის ურთიერთქმედება. ენის მეხსიერება გამორჩეულად ვრცელი და ფართომასშტაბიანია და შეიცავს კულტურულ მეხსიერებასაც, რასაც ვერ ვიტყვით კულტურულ მეხსიერებაზე, ის მხოლოდ კულტურულ ცოდნასა და ისტორიას ინახავს, აქედან გამომდინარე ვამბობთ, რომ აუცილებელია ენის საფუძვლიანად შესწავლა, რაც გულისხმობს ამ კონკრეტული ენის როგორც ენობრივ, ასევე კულტურულ და ეთნიკურ მეხსიერების სწავლას კონკრეტულ სიტუაციაში. ადამიანი თავს აკუთვნებს იმ კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს, რომლის ისტორიისა და წეს-ჩვეულებების ნაწილად თვლის თავს. მიუხედავად იმისა, სრულყოფილია თუ არა ენა, დროთა განმავლობაში მაინც ხდება მისი სახეცვლილება, რაც ნათლად ჩანს ერთი ენის მეორესთან შედარებით და შეიძლება გამოვლენილ იქნეს, როგორც ხმარებიდან გასული, ასევე სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვათა მარაგი. კონკრეტული ფაქტი ნათლად ჩანს ფრაზეოლოგიზმებში, ამიტომაც ვთვლით, რომ ენის ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტით კვლევას ყველაზე ნათლად ფრაზეოლოგიზმები წარმოაჩენს.

იდიომისა და ფრაზეოლოგიზმის გამიჯვნისა თუ მსგავსების საკითხსარც ქართველი ენათმეცნიერები უვლიან გვერდს:

,,ფრაზეოლოგიზმები ამა თუიმ ენის მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამები, არამარტო ენის ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი და ექსპრესიულობის მისაღწევი საშუალებაა, არამედ ამაღლებს მეტყველების კულტურასაც“ (ცეცხლაძე, 2018: 5).

ალ. ონიანი იდიომს ასე განმარტავს: „იდიომი არის შესატყვისების ფორმის მქონე დაუშლელი, მყარი ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობაც არ მომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან“ (ონიანი, 1954:63-70).

ა. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ „იდიომი“ არის სიტყვების ფორმისა და ექსპრესიული ფუნქციის მქონე სემანტიკურად დაუშლელი ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს“ (თაყაიშვილი, 1961: 40).

ი. კიკნაძემ შეისწავლა იდიომთა გრამატიკული აგებულება და გამოყო ორი ძირითადი ჯგუფი:

1. სახელი სახელთან (ერთი მუჭა, შავი დღე, არამკითხე მოამბე);

2. სახელი ნაზმნარ სახელთან: საწყისთან ან მიმღეობასთან (ირმის ნახტომი...).

ი. კიკნაძე ფიქრობს, რომ იდიომი გრამატიკულად მსაზღვრელ საზღვრულია, სინტაქსურად ერთი წევრის ფუნქციას ასრულებს, სემანტიკურად კი დაუშლელია, „იგი შესიტყვების ფორმისა და ექსპრესიული ფუნქციის მქონე სემანტიკურად და გრამატიკულად დაუშლელი , დაუნაწევრებელი ერთეულია“ (კიკნაძე, 2002: 106-111).

ა. თაყაიშვილი მიიჩნევს, რომ „ფრაზეოლოგიური შენაზარდებიც წარმოშობით ხატოვანი ერთეულებია“ (თაყაიშვილი, 1961: 14), მკვლევარი მათ იდიომებთან აერთიანებს, შემდეგნაირად აყალიბებს და მსჯელობს ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯერ უნდა გამოიკვეთოს, რა აქვთ მათ საერთო. უპირველეს ყოვლისა, ეს არის სემანტიკური დაუშლელობა. იდიომიცა და ფრაზეოლოგიური შესიტყვებაც ქმნიან ერთ გაგებას და სიტყვის ეკვივალენტებია, თუმცა ფრაზეოლოგიური შესიტყვების კომპონენტებს მეტი თავისუფლება აქვს. ორივე მათგანს შეიძლება ჰქონდეს შესიტყვების ფორმა, ფრაზეოლოგიური შესიტყვებაც სინტაქსურად ერთი წევრის ფუნქციას ასრულებს. ორივეს აქვს მუდმივი ლექსიკური შემადგენლობა, ისინი მზა ფორმით არსებობენ ენაში, თუმცა გავრცობა შეუძლებელი არაა. საზიარო ნიშანია ასევე მეტაფორულობა.

„ფრაზეოლოგიური ერთეულის განმასხვავებელი სხვა სიტყვათშეერთებისაგან ისაა, რომ პირველში შეიძლება ერთი სიტყვის მეორით შეცვლა. მის მნიშვნელობას განსაზღვრავს კონტექსტი. იდიომის ამოსავალი კი მაინც სემანტიკური ბუნდოვნებაა“ (შიოშვილი, 2006: 134).

იდიომატური გამოთქმები მეტწილად დაფუძნებულია და ჩამოყალიბებულია ერის ისტორიასა და კულტურაზე დაყრდნობით, ისინი ენის უნივერსალურ ნაწილს წარმოადგენენ, ზოგადად იდიომატური გამონათქვამების ჩამოყალიბების შესახებ ცნობები ბოლომდე არ არის გარკვეული. ზუსტად იდიომატური გამონათქვამები

წარმოადგენენ ამა თუ იმ ერის ხასიათს, თავისებურებებს, სწორედ ამიტომ ძირითადად დამკვიდრებული ენიდან სხვა უცხო ენაზე შეიძლება საერთოდ არ ითარგმნოს ,ან მიახლოებითი მნიშვნელობით იქნეს ნათარგმნი.

ქართველ ენათმეცნიერთა ციტატების მოყვანით ნათელი ხდება აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა აქაც იკვეთება იგივე მსგავსება, რაც უცხოელ ენათმეცნიერთა მოსაზრებებში გამოიკვეთა. მათი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ხატოვნებაა, თუმცა როგორც იდიომის, ასევე ფრაზეოლოგიზმის შემადგენელ სიტყვებს, ცალკე აღებულს, საბოლოო მნიშვნელობამდე რომ ვერ მივყავართ, მოცემულ ციტატებშიც იკვეთება.

1.3. ფრაზეოლოგიზმისა და იდიომის ცნებების საკითხი თურქულ ენათმეცნიერებაში

ვინაიდან ფრაზეოლოგიზმების ნაწილი შედგენილი და ჩამოყალიბებულია ისტორიული ფაქტებისა და ეთნიკური ადათ-წესების საფუძველზე, ლინგვოკულ-ტუროლოგიური თვალსაზრისით მათი როლის განსაზღვრა ყველაზე საინტერესოა. ნაშრომის საფუძველიც სწორედ ეს არის. რაც შეეხება ტერმინს, ფრაზეოლოგიური ერთეული ერთი კონკრეტული სიტყვით „DEYİM”-ით გადმოიცემა. თურქულ ენაში იშვიათად, თუმცა მაინც გვხვდება ერთსიტყვიანი ფრაზეოლოგიზმები, რომელთა შესახებაც ენათმეცნიერების აზრი იყოფა, ერთნი თვლიან, რომ მიეკუთვნება ფრაზეოლოგიზმების ნუსხას, საპირისპირო აზრით ფრაზეოლოგიზმები მინიმუმ ორი სიტყვის კომბინაციაა.

თურქი ენათმეცნიერები ფრაზეოლოგიზმებს სხვადასხვაგვარად ახასიათებენ. მაგ.: ისინი არის „სიტყვები, რომლებიც თავად ქმნიან ძირეული მნიშვნელობისაგან განსხვავებულ დამატებით, გადატანით სემანტიკას, წარმოადგენენ სტერეოტიპების ნაკრებს. სტრუქტურული თვალსაზრისით ფრაზეოლოგიზმის ცალკე აღებული რომელიმე სიტყვა ვერ შეცვლის ფრაზაში სიტყვათა თანმიმდევრობას. ამ მიზეზის გათვალისწინებით ფრაზების უმრავლესობა სტერეოტიპულია და ლიტერატურაში მზა ფრაზას უწოდებენ“ (İmer, 2011: 85).

„სიტყვათა ერთობლიობა ქმნის ერთგვარ ლექსიკას: ძირითადად ფრაზებში მოცემული სიტყვები შეიცავენ ძირეული მნიშვნელობისაგან განსხვავებულ სემანტიკასაც“ (Vardar, 2002: 71).

„საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპული ფრაზები განსხვავებული კონცეფციით, სიტუაციით, განმარტებით ან სპეციალური სტრუქტურული მითითებით, უმეტესად გამოიყენება ძირეული მნიშვნელობისაგან განსხვავებული სემანტიკით“ (Aksoy, 1998: 52).

„არსებობს სტერეოტიპულ სიტყვათა ჯგუფები თავიანთი ძირეული მნიშვნელობისაგან ოდნავ განსხვავებული საინტერესო სემანტიკით “(TDK, 2005: 3).

„ფრაზეოლოგიზმები სოციუმის მხრიდან გათავისებული ციტატებია, რომლებსაც ხმარობენ არა ძირითადი მნიშვნელობით, არამედ სილამაზისა და ხალისის გრძნობების გასამძაფრებლად“ (Özbay, 2009:9).

„ენაში მნიშვნელოვანი ლექსიკური დატვირთვის მქონე გამონათქვამები ძირითადად შეიცავენ კოლოკაციურ ფრაზებს, სინტაქსურად დაუშლელ, მქონე სტერეოტიპულ სიტყვებს, რომლებიც ენაში მიღებულია და გამოყენებადია“ (İşeri, 2010: 385).

„ფრაზეოლოგიზმები ყველა ენაში არსებული ენობრივი შემეცნებაა. მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ენის გამომსახველობითი ხერხების გამოყენებაში, ინდივდუალური ლექსიკის შემუშავებაში. ფრაზეოლოგიზმების თვალსაზრისით, თურქული იმ ენებს შორის არის, რომლებიც საკმაოდ მდიდრად შეიძლება ჩაითვალოს“ (Aksan, 2003: 92).

ფრაზეოლოგიზმებს შემდეგნაირად ახასიათებს მკვლევარი ა. ა. ფუსქულუოღლუ: „ფრაზეოლოგიზმები სიტყვასიტყვით რომ გადმოვცეთ, ეს არის სტერეოტიპების, ხშირად მრავალჯერადი ხმარების ლექსიკური ენის ელემენტების კრებული, რომელთა უმეტესობას გადატანითი მნიშვნელობა აქვს, გარდა ნამდვილი მნიშვნელობისა. ფრაზეოლოგიურ ერთეულებში შემავალი სიტყვების შეცვლა, ან მათი მსგავსი

სიტყვებით ჩანაცვლება და სინტაქსურობის დარღვევა შეუძლებელია, თუ მსგავსი რამ მოხდება, ფრაზეოლოგიური ერთეული კარგავს თავის მახასიათებლებსა და მნიშვნელობას. მაგალითისთვის ავიღოთ ფრაზეოლოგიზმი: „აქლემზე ყური“ რომ შეიცვალოს ფრაზეოლოგიზმით „ყური აქლემზე,“ ეს უკვე ფრაზეოლოგიზმი აღარ გამოდის“ (Püsküllüoğlu, 2004: 9).

სტრუქტურული მონაცემების მიხედვით თურქულ ენათმეცნიერებაში ფრაზეოლოგიზმები შემდეგნაირად არის დალაგებული:

1. ფრაზეოლოგიზმები სტერეოტიპებია, აქედან გამომდინარე ხალხური სიტყვებისგან შემდგარი ერთეულები უთარგმნელია, ხოლო დანარჩენი არსებული ფრაზეოლოგიზმების სიტყვათა ადგილების ცვლილებაც ძალიან იშვიათია;

2. ფრაზეოლოგიური ერთეულიერთზე მეტი სიტყვისგან ან ფრაზისგან შემდგარი წინადადება ან ფრაზაა;

3. ფრაზეოლოგიზმები ასეთ სტრუქტურულ ვითარებაში (ძირითადად) ორი სიტყვისგან შედგება;

4. ფრაზეოლოგიზმების ფორმირებაში, სიტყვებს ნამდვილი მნიშვნელობების გარდა, განსხვავებული მნიშვნელობებიც უნდა ჰქონდეს;

5. ფრაზეოლოგიზმები ანდაზების მსგავსად სტერეოტიპებია. მასში შემავალი სიტყვების ნაცვლად თუნდაც იმავე მნიშვნელობის სიტყვა იყოს ვერ ჩაანაცვლებს და სინტაქსურად ვერ დაირღვევა.

დ. აქსანის თანახმად, „ფრაზეოლოგიზმები ამჟღავნებენ საზოგადოების ენაზე ასახულ კულტურის კვალს და მინიშნებებს. ისინი შეიცავს ელემენტებს, რომლებიც ზრდის გამოხატვის უნარს. ზოგჯერ სასიამოვნოდ გამოხატვის საშუალებაა და ის რჩება ადამიანის გონებაში, ზოგჯერ კი უფრო გაზვიადებული გამოხატულებით გვევლინება. იდიომები ერთი ენის ანონიმური გამოხატულებაა“ (Aksan, 1998: 62).

ო. აქსოიმ შეადგინა თავისი მოსაზრებები ფრაზეოლოგიზმის სხვა ენაზე თარგმნის შესახებ და გამოყო სამი შემთხვევა:

ა) ფრაზეოლოგიზმს, რომელსაც ვერ თარგმნიან თურქულიდან სხვა ენაზე ან თარგმნიან და ვერ აკონკრეტებენ კონცეფციას, რომელიც თურქულშია:

ბ) ფრაზეოლოგიზმები, რომელთა თარგმნას ახერხებენ იმავე სიტყვებით ან მეტაფორებით, რომლებიც ჩვენთანაა, ვიღებთ საპირისპირო მნიშვნელობას:

გ) ფრაზეოლოგიზმები, რომელიც შეიძლება ითარგმნოს სხვა ენაზე და მას ჰქონდეს გაგება, რომლის შესატყვისიც თავის ენაზეა (Aksoy, 1998: 32).

ფრაზეოლოგიზმების გამოყენების თავისებურებები ხშირად ირევა მნიშვნელობის მახასიათებლებთან. ფრაზეოლოგიზმების სემანტიკა, მნიშვნელობა სრულიად ახალია. თითოეული ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობა თითქმის ყოველთვის აცდენილია მისი შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობებს, ძირითადი თვისება კი შემადგენელი სიტყვების მსგავსი სიტყვებით ჩაუნაცვლებლობაა.

რისთვის ვიყენებთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს? -ზოგჯერ გადმოსაცემი შინაარსის გასავრცობად, ან მეტი დამაჯერებლობისათვის, ან უფრო ძლიერი შთაბეჭდილების მოსახდენად.

ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელობები ხშირ შემთხვევაში ლოგიკას სცდება და ზოგჯერ წარმოუდგენელ მოქმედებასაც გადმოგვცემს მაგ: *„ყურებზე ხახვის დაჭრა“.*

ფრაზეოლოგიზმებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ თურქულ ენაში. ისინი ასახავს ქვეყანას, კულტურას და თურქი ხალხის ცხოვრების სტილს. ენაში ფრაზეოლოგიზმების გაქრობა კულტურულ ეროზიად ითვლება.

თურქული ენა განსაკუთრებით მდიდარია ფრაზეოლოგიზმებით: „ფრაზეოლოგიზმში ჩანს იდენტობის უნიკალურობა. თურქული არის ენა, რომელიც იყენებს კონკრეტულ საგნებს, სიტუაციებს, ემოციებსა და მოვლენებს თხრობის დროს

გამოხატავს ტრანსფერებით. ფრაზეოლოგიზმები თურქული ენის გამოხატვის ძლიერი საშუალებაა“ (Özdemir, 2014:344).

სხვა განმარტებით, ფრაზეოლოგიზმი „მინიმუმ ორი სიტყვის ერთმანეთთან შეკავშირებაა, რომელიც კარგავს ძირითად მნიშვნელობას და ქმნის აბსტრაქტულ კონცეფციას“(Hepçilingirler, 2018: 53).

„ზემოხსენებული ენათმეცნიერი ასევე გამოყოფს ფრაზეოლოგიზმების შემდეგ თავისებურებებს: „ადამიანმა თუ არ იცის კონკრეტული ენის ფრაზეოლოგიზმები, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის იყენებს ამ ენას მთლიანი შესაძლებლობებით, რადგანაც ფრაზეოლოგიზმები ენის მნიშვნელოვანი სიმდიდრეა“ (Hepçilingirler, 2018: 57).

ფრაზეოლოგიზმები სტერეოტიპულია როგორც ფორმით, ასევე მნიშვნელობით. ვინაიდან ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა დაშორებულია მისი კომპონენტების ძირითად მნიშვნელობებს, ამ უკანასკნელის ცოდნით ვერ გავიგებთ ფრაზეოლოგიზმის სემანტიკას.

ფორმობრივი სტერეოტიპია ის, რომ ფრაზეოლოგიზმის შემადგენელი სიტყვების ადგილები არ შეიცვლება. ფრაზეოლოგიზმი სხვა რომელიმე ენაზე სიტყვასიტყვით არ ითარგმნება. სემანტიკური სტერეოტიპი გულისხმობს მთლიანობაში ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობის უცვლელობას.

როგორც უნდა ვეცადოთ, ორი ერთნაირი მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმიც კი ვერ ჩაანაცვლებს ერთმანეთს, ვინაიდან თითოეული კონკრეტულ სიტუაციაში გამოიყენება. მაგ: *etekleri tutuşmak; etekleri zil çalmak*- ორივე ფრაზეოლოგიზმი აფორიაქებას, შეშფოთებას ნიშნავს, თუმცა პირველი პანიკის გამომხატველია, მეორე კი – სიხარულის შეშფოთების. ფაქტია, რომ ისინი ვერ ჩაანაცვლებს ერთმანეთს.

ფრაზეოლოგიზმი მდგომარეობას, მოქმედებას, ქცევას, გრძნობას ასახავს ყველაზე მეტად ეს მახასიათებელი განასხვავებს ანდაზებისგან.

თურქული ენისათვის ფრაზეოლოგიზმები და მათი როლი მნიშვნელოვანი რომ არის, ეს თანამედროვე თურქული ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოებიდანაც ჩანს. თურქეთის დიდ ქალაქებში: სტამბოლში, ანკარაში, იზმირში, ტრაპიზონში და ა. შ აღნიშნულ საგანგებოდ ისწავლება ფრაზეოლოგია, სწავლებისას გამოიყენება ფრაზეოლოგიზმების პრაქტიკული მასალებიც.

ევროპის საბჭოს მიერ ბოლო წლებში მიღებული ევროპული საერთო კრიტერიუმებში ხაზგასმულია, რომ უცხო ენაში კომპეტენტურობისთვის აუცილებელია ამ ენის ფორმალური მახასიათებლების და მათი გამოყენების არეალის ცოდნა. ენის შესწავლა ასევე მოითხოვს ამ ენისა და ამ ენაზე მოლაპარაკე ერის სოციალური და კულტურული მახასიათებლების ცოდნასაც.

პირველ თავში მოცემული თეორიული მასალიდან ნათლად ჩანს, როგორც საერთაშორისო, ასევე ქართველი ენათმეცნიერების მოსაზრებები ფრაზეოლოგიზმისა და იდიომთა განზოგადებისა. ფრაზეოლოგიური ერთეული შეიძლება შეიცავდეს ლექსიკონში არსებულ სიტყვათა მთლიან მარაგს, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობებით, ამიტომ უფრო იოლია იდენტური თუ შესატყვისი ფრაზეოლოგიზმის პოვნა სხვა ენებთან შეპირისპირებისას, თუმცა იდიომი ხშირ შემთხვევაში არ ავსებს ფრაზეოლოგიზმის განმარტებას.ი დიომი უფრო ვიწრო გაგების ხატოვანი გამოთქმაა, რომლის ზუსტი ან შესატყვისი ფრაზეოლოგიზმის პოვნა სხვა ენებთან შეპირისპირებისას რთულია.

ის რომ თურქულ ენაში ტერმინი ფრაზეოლოგიზმი და იდიომი არ ემიჯნება ერთმანეთს, უფრო აიოლებს საკითხს, კერძოდ, თურქულ ენაში ერთ სივრცეში მოიაზრება და განიხილება ხატოვანი გამოთქმები. ერთმანეთს ემიჯნება მხოლოდ ფრაზეოლოგიზმები და ანდაზები.ეს ყველაფერი შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ თურქული ენა ამ კუთხით ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა, ის სტანდარტები რომლებიც უკვე დამკვიდრებულია საერთაშორისო ენათმეცნიერებაში, თურქულ ენაში ჯერ კიდევ კვლევის დონეზეა. თურქულ ენათმეცნიერებაში არაფერია ნათქვამი ცალკეულ დისციპლინაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ, ფრაზეოლოგიზმის

ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევაზე. არსებულ ფრაზეოლოგიზმებში მოცემული ეთნიკური ტერმინები ენის, ისტორიისა და კულტურის ურთიერთკავშირზე მეტყველებს.

თავი II. კონცეპტის ლინგვოსემანტიკური არსი და თურქული სომატური ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური ველი

კონცეპტების კვლევა თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიის აქტუალური მიმართულებაა. „ენის სიმდიდრე განისაზღვრება არა მარტო ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული შესაძლებლობების, არამედ კონცეპტუალური სამყაროს, კონცეპტოსფეროს სიმდიდრით, რომელშიც ყალიბდება ეროვნული ენობრივი პიროვნება“ (Маслова, 2004: 17).

მსოფლიოში არსებული ენები და კულტურები ერთიმეორისაგან განსხვავდება და საკუთრივი თავისებურებებით გამოირჩევა. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ნებისმიერი ერთი ენიდან მეორეზე ტექსტის ზედმიწევნით ზუსტად თარგმნა და ერთგვარად უცვლელი სახით გადმოცემა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თავად ენობრივი კოდის ცვლას. ადამიანის ცნობიერებაში არსებული კონცეპტუალური სფერო ცვალებადია დროსა და სივრცეში და იგი გაცილებით უფრო მოცულობითი ნაწილია, ვიდრე ის ნაწილი, რომელიც გამოხატულია ენობრივი საშუალებებით.

„ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტის (შემდგომში-კონცეპტი) გაგება არ ემთხვევა ცნების კლასიკურ (ტრადიციულ) დეფინიციას, რომელიც საგნის არსებით ნიშანთა ერთობლიობას გულისხმობს. თანამედროვე კულტუროლოგიური და ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა კონცეპტისადმი, უწინარეს ყოვლისა, სულიერი ღირებულების ცნებად მიიჩნევს მას, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პარადიგმის მორიგ ცვლას, როცა გასული საუკუნის დასაწყისში გაბატონებული სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმის ადგილს ანთროპოცენტრული პარადიგმა იკავებს“ (ომიაძე, 2017: 93).

კონცეპტები, როგორც მენტალური ერთეულები, არამარტო გაიაზრებიან, არამედ განიცდებიან კიდეც, კონცეპტი გამოხატულების პლანში წარმოდგენილია მთელი რიგი ენობრივი სინონიმებით, ხატოვანი გამოთქმებით მათ შორის ფრაზეოლოგიზმებით, მატერიალური კულტურის საგნებითა და სხვა. რაც მიუთითებს შესაბამისი კონცეპტის

არსებობაზე. კულტურულ კონცეპტს ლინგვისტური სტატუსი ენიჭება და შესაძლოა ისინი აღიწეროს სამყაროს ენობრისი სურათის ტერმინებით.

„ენობრივი კონცეპტუალიზაცია, როგორც ლექსიკურ ერთეულთა შინაარსობრივი პლანის სემანტიკური წარმოდგენის საშუალებათა ერთობლიობა, როგორც ჩანს, სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია (ვეჟბიცკა, 1997: 238), მაგრამ სემანტიკური წარმოდგენის მხოლოდ სპეციფიკა არ უნდა იყოს საკმარისი კონცეპტის, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ცნების, გამოყოფისათვის. ყურადსაღებია სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები ამის თაობაზე. ფიქრობენ, რომ ენობრივი და კულტურული თავისებურებანი აქ უფრო მეტად შემთხვევითია და ისინი ვერ ასახავენ სემანტიკის ეროვნულ-კულტურულ (საკუთრივ ეთნიკურ) თავისებურებას და არც ყველა განსხვავება ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა შიდა ფორმებს შორის შეიძლება მივიჩნიოთ კონცეპტუალური თვალსაზრისით ღირებულად (დობროვოლსკი, 1997: 42)“ (ვიმოწმებ ომიაძის მიხედვით, 2017: 103).

კონცეპტი ცნება, მენტალური კატეგორია, რომელიც გამოიყენება მოვლენების, ობიექტების, სიტუაციების, ქცევისა და ადამიანთა კლასიფიკაციისთვის იმის შესაბამისად, რაც აღიქმება (ან მიიჩნევა) ზოგად თვისებებად; აზროვნების ფორმა ან აზრი, რომელიც საგნებსა (სინამდვილის მოვლენებს) და მათ შორის კავშირებს ასახავს განზოგადებული ფორმით ზოგადი და სპეციფიკური ნიშნების ფიქსაციის გზით.

როგორც აღვნიშნეთ, ფრაზეოლოგიზმებში ჩადებული არსი, მნიშვნელობა თავის მხრივ ქმნის კონცეპტუალურ ველებს, კონკრეტულად სომატურ ფრაზეოლოგიზმებთან დაკავშირებული მნიშვნელობები გამოხატულია როგორც სულიერი, ასევე მატერიალური ფორმით, სხეულის სხვადასხვა ნაწილი განსხვავებული მნიშვნელობის კონცეპტებს ქმნის, რომლების სემანტიკური ველიც იძლევა ძალიან საინტერესო სურათს.

ყველაზე საინტერესო ეროვნულ-კულტურული ფრაზეოლოგიზმების კონცეპტთა ერთიანობა და მათი სემანტიკური ველი.

„ენის სიმდიდრე განისაზღვრება არა მარტო ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული შესაძლებლობების სიმდიდრით, არამედ კონცეპტური სამყაროს, კონცეპტოსფეროს სიმდიდრით, რომელშიც ყალიბდება ეროვნული ენობრივი პიროვნება“ (Маслова, 2001: 17).

სხეულის ნაწილების სახელების საფუძველზე შექმნილ ფრაზეოლოგიზმებს ენათმეცნიერებაში სომატურ ფრაზეოლოგიზმებს უწოდებენ. **„სომა“** ბერძნული სიტყვაა და ტანს, სხეულს ნიშნავს. სომატური აღნიშნავს სხეულთან დაკავშირებულს და არა ფსიქიკურს. რუსი მეცნიერი ი. კარაულოვი აღნიშნავს, რომ „ენას ვერ გავიგებთ, თუ არ გავცდებით მის ფარგლებს, თუ არ მივმართავთ მის შემოქმედებას, მატარებელსა და მომხმარებლებს, ადამიანებს, კონკურენტულ ეროვნულ პიროვნებას “ (Караулов,1987: 7).

სომატური ფრაზეოლოგიზმების ერთ-ერთი ტიპური მახასიათებელია სინტაქსი, თითოეული ორგანოს სახელი მეტყველებს მეტაფორულ მნიშვნელობაზე. ადამიანის სხეულის ნაწილების მიერ წარმოქმნილი სომატური გამონათქვამები, მათ მიერ აღებული ფუნქციების მიხედვით, წარმოადგენს ხალხთა ხედვას ცხოვრებაზე, რაც გამოხატავს სამყაროს აღქმის სურათს.

ვინაიდან სომატურ ფრაზეოლოგიზმებში პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობები ერთმანეთს კვეთს, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენობრივი კვლევისათვის.

ფრაზეოლოგიზმები თურქული ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ადამიანის გრძნობებს,ფიქრებს, მსოფლმხედველობასა და გარე სამყაროსთან ურთიერთობას გადმოგვცემს. ფრაზეოლოგიზმები და განსაკუთრებით სომატური ერთეულები, შეიცავს არქაული და თურქული ენის მონათესავე ენების შემცველ ტერმინებს. ფრაზეოლოგიზმებთან დაკავშირებული ბევრი ნაშრომების მიუხედავად, რამდენიმე საკითხი დღემდე გაურკვეველი და სადავოა. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა ფრაზეოლოგიზმებში ძირითადი ელემენტების ფუნქციაა.

ჩვენს ნაშრომში მოცემულია რიგი სომატური ფრაზეოლოგიზმი, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფრაზეოლოგიურ ფონდში: ***შუბლი, თვალი, პირი, ენა, კბილი,წარბი, ხელი, ფეხი, ტერფი, ყური, ცხვირი, მუხლი,*** *მკლავი* სიტყვები წარმოადგენს ძირითად ელემენტებს, რომლებიც გამოხატავენ, მიზანს ფრაზეოლოგიზმებში. ამას გარდა, ჩამონათვალში შესულია ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: ***ფრჩხილი, თითი, ტუჩი, კისერი, ნიკაპი, თმა, წვერი*** და ***ულვაში.***

ტერმინი **სომატიზმი**, რომელიც ფართოდ გამოიყენება ენათმეცნიერებაში, მოდის სიტყვიდან **სომატიკა**, რომელიც იგივე მნიშვნელობით გამოიყენება სამედიცინო მეცნიერებაში. სომატური ფრაზეოლოგიზმების ერთ-ერთი მახასიათებელია ის, რომ სხეულის ნაწილის თითოეული სახელის გამოყენება მიუთითებს მეტაფორულ მნიშვნელობაზე. ფრაზეოლოგიური ლექსიკონის თითქმის 60%-ს სომატური ფრაზეოლოგიზმები შეადგენს.

2.1. სომატური ფრაზეოლოგიზმები თურქულ ენაში

რაოდენობის მიხედვით ყველაზე მრავლად **სომატური, ანუ** ადამიანის სხეულის ნაწილების სახელებით შედგენილი ფრაზეოლოგიზმები გვხვდება, ამ ჩამონათვალში ასევე შესულია ისეთი კონცეპტები, როგორებიცაა: ***წვერი, ულვაში*** და ***თმა.*** მათი ძირითადი ჩამონათვალი ასეთია: ***შუბლი, თვალი, წარბი, ცხვირი, ნიკაპი, ყური, პირი, ტუჩი, კისერი, მხარი, ხელი, მკლავი, ფრჩხილი, თითი, მუხლი, ფეხი, ტერფი...***

ჩვენს ნაშრომში ჩამოთვლილი და განხილული ფრაზეოლოგიური ერთეულები ძირითადად აღებულია ცნობილი ენათმეცნიერის, ომერ აქსოის, ფრაზეოლოგიური ლექსიკონიდან.

სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულების ჩამონათვალს თან ახლავს გრაფიკები, იმის გასარკვევად, თუ რა ემოციებსა და გრძნობებთანაა დაკავშირებული ამა სხეულის თუ იმ ნაწილთან დაკავშირებული ერთეულები, სადაც საერთო გრაფაში მოცემულია ის ფრაზეოლოგიზმები, რომელიც ქართულ ენაშიც მოგვეპოვება და იმავე მნიშვნელობის მატარებელია.

შუბლი:

Alın derisi değil, davul derisidir- შუბლის ტყავი კი არა, დოლის ტყავია (შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვს);

Alnı açık yüzü ak- შუბლგახსნილი და პირნათელი (პატიოსანი);

Alnı açık çıkmak- შუბლგახსნილი გამოსვლა: 1.საქმის წარმატებით, ღირსეულად შესრულება; 2.უდანაშაულო;

Alnı secdeden kalkmamak-შუბლის აუწევლად, სალოცავი ხალიჩიდან თავის აუღებლად, რელიგიაზე ძალიან დამოკიდებული;

Alnına yazılmış-შუბლზე ეწერა, რაც დაემართა მის ბედში ყოფილა.

Alnından öpmek-შუბლზე კოცნა, მოწონება;

Alnından ter boşanmak– შუბლიდან ოფლის მოცილება, გადაღლილობა,ზედმეტი გადაღლა;

Alnını çatmak-შუბლის შეკვრა, იგივეა, რაც წარბის შეკვრა, გაბრაზებით ყურება;

Alnını karışlamak-შუბლის გალანძღვა, ადამიანზე ითქმის, რომელსაც ემუქრებიან ცუდი საქციელის ჩადენის გამო.

Alnının akıyla– შუბლის ნაკადით, ნაკლის უქონლობა, ღირსეულ ადამიანზე ითქმის;

Alnının damarı çatladı– შუბლის ძარღვი გაუწყდა (წარმატების მისაღწევად ბევრი იწვალა).

Alnının teriyle- თავისი (შუბლის) ოფლით, დიდი შრომით, დიდი წვალებით, ჯახირით.

თურქული “შუბლი“	საერთო	ქართული “შუბლი“

Alın derisi değil davul derisidir-შუბლის ტყავი კი არა დოლის ტყავი (სინდისი)	**Alnından öpmek-შუბლზე კოცნა (პატივისცემა)**	შუბლის ძარღვის გაწყვეტა (უსინდისობა)
Alnı açık yüzü ak შუბლგახსნილი,პირნათელი (პატიოსნება)	**შუბლზე აწერია (ბედისწერა)**	
Alnı açık çıkmak-შუბლგახსნილი გამოსვლა(შრომა)	**Alnından ter dökmek-შუბლიდან ოფლისღვრა (შრომა)**	
Alnı secdeden kalkmamak-შუბლის აუწევლად (რელიგიურობა)		
Alnını çatmak-შუბლის შეკვრა(გაბრაზება)		
Alnını karışlamak-შუბლის გალანძღვა (მუქარა		
Alnını akıyla-შუბლის ნაკადით (ღირსება)		
Alnının damarı çatlamak-შუბლის ძარღვის გაწყვეტა (წარმატების მისაღწევად ბრძოლა)		

ქართულ ენაში ***შუბლის ძარღვის გაწყვეტა*** უარყოფითი მნიშვნელობისაა, თუმცა იმავე ფრაზეოლოგიურ ერთეულს თურქულ ენაში დადებითი დატვირთვა აქვს და რაიმე მიზნის მისაღწევად ბოლომდე დახარჯვას ნიშნავს. კონკრეტული მაგალითი კარგად ასახავს ქართული და თურქული ენის კულტურულ და ისტორიულ სხვაობას.

გვაქვს საერთო ფრაზეოლოგიზმებიც, ***შუბლზე დაწერილი ბედი*** ორივე ენაში ბედისწერის მნიშვნელობისაა, *ადამიანი რომ იბადება, თავისი ბედი შუბლზე აწერია. ეს*

ფრაზეოლოგიზმი თანამედროვე ეთნოსისათვისაც ცნობილი და გამოყენებადი ერთეულია. საერთო ჯამში კონცეპტი ,,შუბლი“ გამონაკლისების გათვალისწინებით დადებითი მნიშვნელობისა და ემოციების ამსახველია, რაც ძირითადად შრომასა და სინდისთან ასოცირდება.

თვალი:

Göz açamamak-თვალის გაუხელობა, თვალს ვერ ახელს, იმდენად დატვირთულია შრომით, რომ სხვა საქმისათვის დრო და შესაძლებლობა არ ეძლევა;

Göz açıp kapayıncaya kadar-Göz yumup açıncaya kadar-თვალის გახელა დახუჭვამდე (თვალის დახამხამებაში);

Göz alabildiğine-თვალი სადამდეც მიწვდება, ყველაზე შორი მანძილი;

Göz alıcı- თვალწარმტაცი, მომხიბვლელი;

Göz almak: Göz kamaştırmak; 1. თვალის მოჭრა 2. აღტაცება, მნახველის მოხიბლვა.

Göz aşinalığı- თვალის ნაცნობობა, შეხვედრის შედეგად წარმოქმნილი შთაბეჭდილება, თითქოს იგივე ადამიანი ცოტა ხნის წინ ვნახეთ;

Göz atmak: თვალის გადავლება, სწრაფი დათვალიერება.

Göz banyosu yapar- თვალის აბაზანას იკეთებს (ერთობა, გულს აყოლებს, თვალს წყალს ალევინებს);

Göz (nazar) değmek-თვალისცემა, ცუდი თვალით შეხედვა, რომლესაც ცუდი შედეგი შედეგი მოაქვს.

Göz dikmek- თვალის დასობა, რაღაცის ხელში ჩაგდების სურვილი;

Göz doldurmak-თვალის ავსება, გარეგნობით ზედმეტი შთაბეჭდილების მოხდენა;

Göz doyurmak-თვალის დანაყრება,რაღაცაზე ყურების შედეგად სიამოვნების მიღება;

Göz etti- თვალი ჩაუკრა, თვალით მიანიშნა;

Göz göre göre- ყურებ-ყურებით, თვალნათლივ ცხადად (თვალს და ხელს შუა);

Göz göze geldi- თვალი თვალს მოხვდა (თვალი თვალში გაუყარეს);

Göz gözü görmez- თვალი თვალს ვერ ხედავს (თვალთან თითს ვერ მიიტანს);

Göz hapsinde tutar-Göz hapsine alır- თვალის ტყვეობაში აჰყავს, უთვალთვალებს, ყურადღების ქვეშ ჰყავს;

Göz kamaştırmak- 1.თვალის მოჭრა 2.აღტაცება,მნახველის მოხიბვლა.

Göz kararı-თვალის გადაწყვეტილებით, თვალზომით;

Göz kesildi-თვალად იქცა (მზერად იქცა, თვალს არ აშორებს);

Göz kırpmadan- თვალის დაუხამხამებლად, ყოველგვარი ფიქრის გარეშე, უყოყმანოდ;

Göz koyar- თვალს ადგამს, მოსწონს;

Göz kulak olun- თვალყურიანად იყავი (თვალყურის დევნება, ყურადღებით ყოფნა);

Göz kuyuruğuyla bakar- Göz ucuyla bakar- გვერდულად უყურებს, ჩუმად მალულად ყურება; დათვალიერება;

Göz nuru döker- თვალის ჩინს ღვრის (თვალები დათხრაზე აქვს, დიდხანს ყურადღებით მუშაობა);

Göz önünde kaçırır- თვალწინ უშვებს (თვალს და ხელს შუა ეკარგება);

Gözsüzmek-თვალის დაწვრილება, დაძაბვა, ქუთუთოების ერთმანეთთან მიახლოება, გულწასულივით ყურება; შეთვალიერება;

Göz ucuyla bakmak-თვალის წვერით ყურება, თავის შეტრიალების გარეშე ირგვლივ ყურება;

Göz yıldırmak-დაშინება, ზეგავლენის მოხდენა, ხასიათის გაფუჭება;

Göz yummamak-თვალებს არ ხუჭავს; 1. ნაკლის არდანახვა. 2. არშემჩნევა;

Göz yumar- თვალებს ხუჭავს, არ იმჩნევს;

Gözden çıkarır- თვალიდან ამოიღებს, არაფერს დაზოგავს, ყველაფერს გაიმეტებს (მისთვის);

Gözden kaçar- თვალიდან გამოეპარება, ვერ შეამჩნევს, მხედველობიდან გამორჩება;

Gözden kayboldu- თვალიდან დაიკარგა (თვალს მიეფარა);

Gözden sürmeyi çalar- თვალიდან სურმას იპარავს (თვალიდან ბეწვის ამოცლა);

Gözden uzaklaşır- თვალს შორდება (თვალს ეფარება);

Göze alır-თვალში იღებს, მოსწონს (ჭკუაში ჩაჯდომა);

Göze batar- თვალში ეჩხირება (თვალში ეკლად ესობა);

Göze çarpacak kadar- თვალში საცემად (თვალში მოსახვედრად);

Göze çarpar-თვალში ხვდება, ადვილად ამჩნევს (თვალში მოხვედრა (შეცდომის);

Göze diken oldu- თვალში ეკლად ექცა (თვალში ამოუვიდა, მობეზრდა);

Göze gelir (girer)- თვალში მოსდის, მოსწონს;

Göze göz, dişe diş- თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ (სამაგიეროს გადახდა, შურისძიება);

Gözleri çekik- წვრილი თვალები, ნახევრად დახუჭული თვალის მსგავსი,დაწვრილებული თვალები;

Gözleri dönmek-თვალების გადატრიალება, 1.სიკვდილთან მიახლოების დროს გუგების გათეთრება, 2. სიბრაზისაგან რას აკეთებს არ იცის.

Gözle kaş arasında- თვალსა და წარბს შორის (თვალსა და ხელს შუა);

gözle yer-თვალით ჭამს, თვალმოუშორებლად უყურებს;

Gözleri arkada kaldı- თვალები უკან დარჩა (მას), მოწონება, თვალის დარჩენა;

Gözleri bayılıyor- თვალები ეხუჭება, ძილის მორევა;

Gözleri buğulanır (bulutlanır)-Gözleri bulanır- თვალები ენამება (თვალები უწყლიანდება);

Gözleri çukura gitti- თვალები ორმოში ჩაუცვივდა (თვალები ამოუღამდა);

Gözleri dolu dolu olur- თვალები ევსება (ცრემლის მოდგომა);

Gözleri fal taşı gibi açıldı- თვალები სამკითხაო ქვასავით გაეხსნა (თვალები გაუფართოვდა);

Gözleri kan çanağına döndü- თვალები სისხლის ფიალად გადაექცა (თვალებში სისხლი მოაწვა);

Gözleri kapandı- თვალები დაეხუჭა, გარდაცვალება;

Gözleri kararır- თვალთ უბნელდება (შიმშილისგან, ტირილისგან თვალების დაბნელება);

Gözleri parlar- თვალები უბრწყინავს, ბედნიერია;

Gözleri sulanmak-აწყლიანებული თვალები, თვალზე ცრემლის მოდგომა;;

Gözleri süzülmek-თვალების მინაბვა, ქუთუთოების ნელ-ნელა დახურვის დაწყება;

Gözleri şuraya buraya kaçıyor- თვალები აქეთ-იქით გაურბის (თვალების ცეცება);

Gözleri yollarda kalır- თვალები გზაზე რჩება (თვალი გზისკენ უჭირავს, ელოდება);

Gözlerimin ipi sarardı- თვალების ძარღვი ჩამიყვითლდა(თვალები ამომიღამდა);

Gözlerinde ateş parıldandı- თვალებში ცეცხლი აუკიაფდა (თვალები გაუნათდა);

Gözlerinde şimşekler çakar- თვალებს ჭექა-ქუხილს ყრის (თვალებიდან ცეცხლებს ყრის);

Gözlerinden okur- მის თვალებში კითხულობს, თვალებიდან იგებს მის ფიქრებს;

Gözlerine inanmıyor- თვალებს არ უჯერებს, ნანახი არ სჯერა;

Gözlerini devirdi- თვალები გადმოატრიალა (თვალები დააბრიალა);

Gözlerini dikti- თვალები დაასო (თვალი დაადგა);

Gözlerini dört açar- თვალებს ოთხად ახელს, ყურადღებით ყოფნა;

Gözü aç- მშიერი თვალის (თვალი არ უძღება); გაუმაძღარი;

Gözü açık gitti- თვალგახელილი წავიდა (წატვრის აუსრულებლად გარდაცვალება);

Gözü açılır- თვალი აეხილება (გონს მოეგება);

Gözü almaz- მისი თვალი არ ღებულობს (თვალში არ მოსდის);

Gözü bağlar- თვალს იხვევს (თვალებს იბრმავებს);

Gözü değdi- მისი თვალი ეცა (თვალისცემა);

Gözü doyar- თვალი უძღება, კმაყოფილება;

Gözü dünyayı görmüyor-მისი თვალები სამყაროს ვეღარ ხედავს (თვალებში აღარ უჩანს);

Gözü gibi korur- თვალივით უფრთხილდება (თვალისჩინივით უფრთხილდება);

Gözü gitti- Gözü kaçtı -თვალი წაუვიდა (თვალები ზედ დარჩა, მოეწონა);

Gözü gönlü açıldı- თვალები, გული გაეხსნა, გამხიარულდა გული გაუნათდა;

Gözü ısırmak-თვალის კბენა, როცა ვიღაც გეცნობა,სახე უცხო არ არის;

Gözü ilişmek- თვალის დაჭერა, უნებურად დანახვა;

Gözü kaldı- თვალი დარჩა, მოეწონა;

Gözü dışarda-Gözü kapıda-Gözü penceredе- თვალი გარეთ აქვს (სიარული უყვარს);

Gözü keskin- თვალი უჭრის, კარგი მხედველობა აქვს;

Gözü kızmak- თვალის გაბრაზება, მკაცრი საქციელით გაბრაზების გამოხატვა;

Gözü korkmak- თვალის შეშინება, მწარე გამოცდილების შედეგად მისი ხელახლა განმეორების შიში;

Gözü sönmek-თვალების ჩაქრობა, დაბრმავება;

(Bir şeye) Gözü takılmak- თვალის გაშეშება, რაღაცაზე გამუდმებით ან დროდადრო ყურება (თვალს ვერ აცილებს);

Gözü tok-მაძღარი თვალი, როცა თვალი ქონებაზე არ უჭირავს;

Gözü pek- ძლიერი თვალების მქონე, უშიშარი, მამაცი;

Gözü toprağa bakıyor- თვალები მიწას უყურებს (ცალი ფეხი სამარეში უდგას);

Gözü var- თვალი აქვს (თვალი უჭირავს);

Gözü tutmak-თვალის დაჭერა (თვალში მოხვედრა), ნდობა, მოწონება.

Gözü tutmamak-თვალში არ მოხვედრა, უნდობლობა, არ მოწონება;

(Bir işi) Gözü yememek-რაღაცა საქმეს თვალი არ ჭამს, თვალში არ მოსდის, საქმის შესრულებაში ეჭვი ეპარება.

Gözü yılmak- დაშინება, გულის შერყევა, შეშინება.

Gözü yollarda kalır- თვალები გზაზე რჩება, დიდხანს მოუთმენლად ლოდინი;

Gözü yüksekte - თვალი მაღლა აქვს, თავზე დიდი წარმოდგენის ქონა;

Gözüm çıksın (kör olsun)-თვალი დამეფსოს, დავბრმავდე, რაღაცის სიმართლეში დასამტკიცებლად გამოიყენება, დაფიცების მსგავსად;

(Birini) Gözüm görmesin- თვალზე არ დამენახოს, ვისი ნახვაც საერთოდ არ გვსურს;

Gözün aydın! -თვალი გაგინათდეს, იგივეა, რაც: მომილოცავს, გასახარებელი ამბავის ასაღნიშნად გამოიყენება;

Gözünde büyümek-თვალში გადიდება,რაღაცის იმაზე დიდად და მნიშვნელოვნად დანახვა, ვიდრე არის;

Gözünde büyüdü- მისი თვალში გაიზარდა, უფრო მოეწონა, დააფასა;

Gözünden düşer- თვალიდან ეცვარდება (თვალში აღარ მოსდის);

Gözünden hiç bir şey kaçmaz- თვალიდან არაფერი არ გამოეპარება (ყურადღებითაა, ფხიზლადაა);

Gözüne bakıyor- თვალებში შესცქერის (თვალებში შესციცინებს);

Gözünü hiç bir şey görünmez- თვალში აღარაფერი უჩანს, აღარაფერი არ აინტერესებს;

Gözüne ilişti- თვალში მოხვდა, ყურადღების მიპყრობა, მიქცევა;

Gözünde kara su iner- თვალში შავი წყალი უდგება (თვალები ამოუღამდა, დიდი ხნის მოლოდინი);

Gözünü uyku girmez- თვალზე ძილი არ ეკარება, არ ეძინება;

Gözünü aç- თვალი გაახილე, გამოფხიზლება;

Gözünü açtıramaz- თვალს არ ახელინებს (ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს);

Gözünü alamaz- Gözünü ayırmaz- თვალს არ აშორებს (თვალს ვერ სწყვეტს);

Gözünü boyar- თვალებს უღებავს (თვალში ნაცარს აყრის);

Gözünü daldan budaktan esirgemez- თვალს ტოტსა და ყლორტს არ არიდებს (წარბს არ ხრის);

Gözünü değdirir- თვალს შეავლებს, გადახედვა, შეთვალიერება;

Gözünü gezdirdi- თვალი გადაავლო, გადათვალიერება;

Gözünü gözüne diker- თვალს თვალში უყრის, თვალებში ყურება;

Gözünü kan bürümüş- თვალები სისხლმა დაუფარა (თვალებში სისხლი მოაწვა);

Gözünü keser- თვალს ჭრის, მოხიბვლა;

Gözüne dizine dursun!-თვალზე,მუხლზე გაჩერდეს! უმადური ადამიანის წინააღმდეგ ითქმის, როგორც წყევლა;

(Birinin) Gözüne girmek- ვიღაცის თვალში შესვლა, ნდობისა და სიყვარულის მოპოვება;

Gözün önünden gitmez- თვალიდან არ შორდება, ვერ ივიწყებს.

თურქული „თვალი“	საერთო	ქართული „თვალი“
Göz açamamak-თვალს ვერ ახელს (შრომა)	**Göz açıp kapancaya kadar-თვალის დახამხამებაში(სისწრაფე)**	თვალს ვერ ახელს (ძილი)
Göz aşinalığı-თვალის ნაცნობობა, წარმოდგენიის ხელახლა ნახვა დეჯავუ(განმეორებითი ნახვის შეგრძნება)	**Göz(nazar) değmek-თვალისცემა (უარყოფითი შედეგი)**	

Göz banyosu yapar-თვალის აბაზანა (გართობა)	**Göz kırpmadan-თვალის დაუხამხამებლად (სისწრაფე)**	
Göz dikmek-თვალის დასობა(სურვილი)	**Göz koymak-თვალის დადგმა (მოწონება)**	კბილის დასობა(მოწონება,სურვილი)
Göz kulak olmak-თვალყურიანად იყავი (ყურადღება)	**Gözleri bayılıyor-თვალები ეხუჭება (ძილი ერევა)**	თვალყურის დევნება (ყურადღება)
Göz nuru döker-თვალის ჩინს ღვრის (შრომა)	**Gözleri kararır-თვალები უბნელდება (შიმშილი)**	
Göz yumamak-თვალებს არ ხუჭავს (ნაკლის დანახვა, უძილობა)	**Gözleri parlar-თვალები უბრწყინავს (სიხარული)**	
Gözden kaçar-თვალიდან გამოეპარება (მხედველობა)	**Gözleri şuraya buraya kaçıyor-თვალებს აქეთ იქეთ აცეცებს (ყურადღება)**	მხედველობიდან გამორჩა (მხედველობა)
Gözden kayıboldu-თვალიდან დაიკარგა (მხედველობა)	**Gözlerinden okur-თვალებში კითხულობს(გაგება)**	
თვალს შორდება	**Gözü açılır-თვალის ახელა (სიმართლის დანახვა)**	თვალს ეფარება
თვალში იღებს (მოსწონს)	**Gözünü uyuku girmez-თვალზე ძილი არ ეკარება (შფოთვა)**	თვალიდან იღებს (ათვალწუნება)
თვალში ეკლად ექცა(მობეზრება)	**Gözünü gezdirmek-თვალის გადავლება (დათვალიერება)**	
Gözleri çukura gitmek-თვალების ჩაღრმავება (ავადმყოფობა)		

Gözlerini devirdi-თვალები გადმოატრიალა(გაბრაზება)		
Gözleri arkada kalıyor-თვალები უკან რჩება (მოწონება)		
Gözle kaş arasında-თვალს და წარბს შორის (სიახლოვე)		თვალს და ხელს შუა (სიახლოვე)
Gözlerini dört açar-თვალებს ოთხად ახელს (ყურადღება)		
Gözu aç-მშიერი თვალის (ხარბი)		
Gözü açık gitmk-თვლგახელილი წასვლა(სინანული)		
Gözü gibi korur-თვალივით უფრთხილდება (ყურადღება)		*თვალისჩინივით უფრთხილდება*
Gözü sönmek-თვალების ჩაქრობა (დაბრმავება)		
Gözü toprağa bakıyor-თვალები მიწას უყურებს (მომაკვდავი)		*ცალი ფეხი სამარეში უდგას*
Gözünü kan bürümüş-თვალებში სისხლი მოაწვა (გაბრაზება)		
Göze girmek-თვალში შესვლა (ნდობა)		
Gözün önünden gitmez-თვალიდან არ შორდება (ვერ ივიწყებს)		
Göz alıcı-თვალწარმტაცი (მომხიბვლელი)		
Gözü yüksekte-თვალი მაღლა აქვს (სიამაყე)		

Gözün aydın!-თვალი გაგინათდეს (მოლოცვა)		

როგორც ჩამონათვალი გვიჩვენებს, „თვალ“ კონცეპტთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულების რაოდენობა საკმაოდ დიდია, რაც მიუთითებს კონკრეტულად სხეულის ამ ნაწილის მნიშვნელობაზე, როგორც რეალურ ცხოვრებაში, ასევე გადატანითი მნიშვნელობით. მოკლედ, **თვალი** ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მისი მეშვეობით შეგვიძლია სამყაროს სურათის აღქმა, როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი ემოციების გამოხატვა: ***თვალის დახამხამება; თვალის დადება; თვალის არიდება*** და მსგავსი გამონათქვამები გამოხატავს ადამიანის ემოციასა და დამოკიდებულებას კონკრეტულ სიტუაციაში.

ცხრილიდან გამომდინარე, მიღებული კონცეპტუალური ველი ნათლად გვიჩვენებს **თვალის** მნიშვნელობას, ფრაზეოლოგიზმებში **თვალის** როლი რეალურ ცხოვრებაში მის მნიშვნელობასთანაა გათანაბრებული; „თვალს შეუძლია როგორც კარგის, ასევე ცუდის დანახვა“.

სიტყვა ***თვალს*** რაოდენობის თვალსაზრისით შეგვიძლია გავუთანაბროთ სიტყვა ***პირი, ენა;*** რომელიც ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში და აქედან გამომდინარე ამავეს გვიდასტურებს ამ სიტყვით შედგენილი ფრაზეოლოგიური ერთეულების რაოდენობაც, რომელიც შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი ხასიათის: *„სიტყვას შეუძლია მოკლას ან მოარჩინოს ადამიანი“,* ეს გამონათქვამიც დასტურია ზემოხსენებული მოსაზრებისა, რომ ადამიანის მიერ ნათქვამ სიტყვას, მეტყველებას, შეუძლია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა.

პირი

Ağız birliği ettiller - პირი შეკრეს;

Ağıza alınmaz- ბილწი უწმწური სიტყვა, რომელიც უხერხულობას შექმნის;

Ağıza sakız oldu - პირში კევად იქცა (დაცინვის საგნად გადაიქცა) (ყბაში ჩავარდნა); ყბად აღება;

Ağızdan ağıza dolaştı - პირიდან პირზე იარა (ენიდან ენაზე იარა, ყველგან გავრცელდა, ქვეყანას მოედო); ყბად აღება;

Ağız alışkanlığı- პირის, ენას შეჩვეული, ხშირად ნათქვამი სიტყვა, რომელიც უცებ გცდება ხოლმე. უადგილო ადგილას რაღაცის თქმა;

Ağza koyacak bir şey - პირში ჩასადები რამ (უცებ წასახემსებელი რამე);

Ağzı açık ayran delisidir - უნახავივით მოქცევა, ყველაფერზე თვალის დარჩენა;

Ağzı açık kaldı - პირი ღია დარჩა (სახტად დარჩა);

Ağzı açıldı - პირი გაეხსნა (კრიჭა გაეხსნა, ალაპარაკდა);

Ağzı ağıza kavuşmaz - პირი პირს (ტუჩი ტუჩს) ვერ სწვდება (სიხარულისაგან ტუჩებს თავს ვერ უყრის);

Ağzı bir karış açık kaldı - პირი ერთ მტკაველზე ღია დაურჩა (გაოცება);

Ağzı boştur - მისი პირი ცარიელია (საიდუმლოს ვერ ინახავს, ყველაფერს ამბობს);

Ağzı bozuk - გაფუჭებული პირი (ენა) აქვს. ბინძური სიტყვების პატრონი; ენამყრალი;

Ağzı burnu birbirine karıştı - ცხვირ-პირი ერთმანეთში აერია (სახის ფორმა დაეკარგა, სახე წაეშალა); (ცემა);

Ağzı burnu yerinde-ცხვირ-პირი თავის ადგილზე აქვს (სიმპათიური, ლამაზი დაწყობილი სახის მქონე);

Ağzı dili yok - ენა და პირი არ აქვს (ჩუმი, უენო, უთქმელი);

Ağzı gevşektir - პირფართო, პირმოშვებული (მოლაყბე, ენაჭარტალა);

Ağzı kapandı - პირი მოეკეტა (ენა ჩაუვარდა);

Ağzı kara - შავი პირის, პირშავი (ცუდი ენის პატრონი);

Ağzı kenetlidir, Ağzı kilitlidir - პირაკრული, პირჩაკეტილი (პირში წყალი აქვს ჩაგუბებული);

Ağzı kulaklarına vardı - პირი ყურებამდე მიუვიდა (ძალიან გაუხარდა);

Ağzı pek, Ağzı sıkı - მაგარი პირის (საიდუმლოს შემნახავი);

Ağzı sulandı – პირწყალი მოადგა (ნერწყვი მოადგა);

Ağzı süt kokuyor - პირზე რძის სუნი ასდის (პირზე რძე არ შეშრობია), პატარაა;

Ağzı torba değil ki- მისი პირი ტომარა ხომ არ არის? (პირს ვერ მოვუკერავ ლაპარაკს ვერ ავუკრძალავ);

Ağzı yandı - პირი დაეწვა (დაზარალდა დამარცხდა);

Ağzına atacak değil - იმის პირში ჩასაგდები არ არის (იმის ყბაში ჩასაგდები არ არის);

Ağzına bakıyor - პირში შესცქერის (თვალებში შესცქერის);

Ağzına bir kemik attı – პირში ძვალი ჩაუგდო, მცირედით გააჩუმა (საკენკი მისცა);

Ağzına bir parmak bal çaldı - პირში ერთი თითი თაფლი გამოუსვა (ტკბილი დაპირებები მისცა მოატყუა, გააწბილა);

Ağzına düştü - ყბაში ჩავარდა (პირში ჩავარდნა);

Ağzına geleni söyler - რაც ენაზე მოადგება, ყველაფერს ამბობს, ენაჭარტალაა, გრძელი ენა აქვს;

Ağzına kira ister - პირის ქირას ითხოვს (ლაპარაკი ეზარება);

Ağzına taş aldı - პირში ქვა ჩაიდო, გაჩუმდა, ხმა გაკმინდა;

Ağzına tıkaç vurdu - პირში საჩობი ჩასჩარა(გააჩუმა, ხმა გააკმენდინა);

Ağzına vur lokmasını al - პირში ჩაარტყი, ლუკმა წაართვი (თავში რომ ჩაარტყა ხმას არ ამოიღებს);

Ağzına bakla ıslanmaz - პირში ცერცვი არ უსველდება (საიდუმლოს ვერ ინახავს);

Ağzında bakla mı var? - პირში ცერცვი გიდევს?(პირში წყალი ჩაიგუბე?);

Ağzında dili yok - პირში ენა არ აქვს (ენა მუცელში აქვს ჩავარდნილი);

Ağzından bal akar - პირიდან თაფლი გადმოსდის (პირიდან შაქარი გადმოსდის);

Ağzından çıkanı kulağı işitmez - პირიდან რაც ამოსდის, მისი ყური არ უსმენს (თვითონაც არ იცის რას ამბობს);

Ağzından laf dirhemle çıkıyor - პირიდან სიტყვა გრამობით ამოსდის (ლაპარაკი ეზარება);

Ağzından laf kaçıyor - სიტყვა პირიდან გაურბის (ენა წინ უსწრებს);

Ağzından lokmasını alır - პირიდან ლუკმას აცლის (ყველაფერს ართმევს, უარაფროდ ტოვებს);

Ağzından sular akıyor - პირიდან ნერწყვი მოსდის (ნერწყვებს ყლაპავს, რისამე დიდი სურვილი);

Ağzını açık bıraktı - პირღია დატოვა (სახტად დატოვა);

Ağzını açtı gözünü yumdu - პირი დააღო, თვალები დახუჭა, უთქმელიც კი თქვა, ყველაფერი იკადრა;

Ağzını aradı – პირი მოუძებნა (კბილი მოუსინჯა);

Ağzını bıçak açmaz - დანა პირს არ უხსნის;

Ağzını değiştirdi - პირი იცვალა, პირობა დაარღვია, პირი იცვალა;

Ağzını dört karış açtı - პირი ოთხ მტკაველზე დააღო, გაოცდა, პირღია დარჩა;

Ağzını kapadı- (kapattı) Ağzını sıkkı tuttu - პირი დახურა, პირი დაახურინა(გაჩუმება);

Ağzını yaydı - პირი მიაბრუნა (პასუხს თავი აარიდა);

Ağzının kaşığı değil - მისი პირის კოვზი არ არის (მისი დონის არ არის, სად ეს და სად ის);

Ağzının ölçüsünü verdi- Ağzının payını verdi - პირის ზომა მისცა (თავისი ადგილი მიუჩინა);

Ağzının tadını bilir - პირის გემო იცის(საჭმელს კარგად არჩევს);

თურქული „პირი“	საერთო	ქართული „პირი“
Ağız ağıza kalmak-პირისპირ დარჩენა (სიახლოვე)	**Ağız birliği ettiler-პირი შეკრეს (მოლაპარაკება)**	
Ağız alışknlığı-პირს, ენას შეჩვეული (ლაპარაკი)	**Ağzına düştü-ყბაში ჩავარდნა**	
Ağzı açıldı-პირი გაეხსნა (ალაპარაკდა)	**Ağzından bal akar-პირიდან თაფლი გადმოსდის (კარგი მოსაუბრე)**	
Ağız ağıza (dudak dudağa) kavuşmaz-პირი პირს ტუჩი ტუჩს ვერ წვდება (სიხარული)	**Ağzını bıçak açmaz-დანა პირს არ უხსნის (მდგომარეობა)**	სიხარულისაგან ტუჩებს თავს ვერ უყრის
Ağzı boştur-მისი პირი	**Ağzının tadını bilir-პირის გემო იცის (გემოვნება)**	
Ağzı bozuk-გაფუჭებული პირი აქვს (ბილწსიტყვაობა)	**Ağzını değiştirdi-პირი იცვალა (პირობა დაარღვია)**	
Ağzı burnu birbirine karıştı-ცხვირ-პირი ერთმანეთში აერია (ემოცია)		სახე წაეშალა
Ağızdan ağıza dolaştı-		

პირიდან პირზე იარა (ლაპარაკი)		
Ağzı dili yok-ენა და პირი არ აქვს (ჩუმი)		ენა გადაყლაპა (გაჩუმება)
Ağzı kapandı-პირი დაეკეტა (გაჩუმება)		ენა ჩაუვარდა (გაჩუმდა)
Ağzı kulaklarına vardı-პირი ყურებამდე მიუვიდა (სიხარული)		ყურებამდე იცინის (სიხარული)
Ağzı süt kokuyor-პირზე რძის სუნი ასდის (პატარა)		
Ağzı torba değil kı_პირი ტომარა ხომ არ არის? (ლაპარაკი)		
Ağzına atacak değil-პირში ჩასაგდები არარის (ჭორაობა)		
Ağzına kemik attı-პირში ძვალი ჩაუგდო (გაჩუმება)		
Ağzına bir parmak bar çaldı-პირში ერთი თითი თაფლი გამოუსვა (მოტყუება)		
Ağzına kıra ister-პირის ქირას ითხოვს (სიზარმაცე)		
Ağzında dili yok-პირში ენა არ აქვს (ჩუმი)		ენა მუცელში აქვს ჩავარდნილი
Ağzından laf kaçıyor-სიტყვა პირიდნ გაურბის(მოლაყბე)		

Ağzından laf dirhemle çıkıyor-სიტყვა პირიდან გრამობით ამოსდის (სიზარმაცე)		
Ağzından sular akıyor-პირიდან ნერწყვები მოსდის (სურვილი)		ნერწყვებს ყლაპავს
Ağzını açık bıraktı-პირღია დატოვა (გაოცება)		სახტად დარჩენა
Ağzını kapadı-პირი დახურა (გაჩუმება)		
Ağzının kaşığı değil-მისი პირის კოვზი არ არის (შეუფერებლობა)		
Ağzının ölçüsünü verdi-პირის ზომა მისცა (ადგილი მიუჩინა)		

გრაფიკზე დაკვირვებით იკვეთება „პირის“ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მნიშვნელობები, ამასთან საინტერესოა საერთო გრაფაში მოხვედრილი ფრაზეოლოგიზმების ჩამონათვალიც. რეალურ ცხოვრებაში **პირი** კომუნიკაციის, ჭამის გამომხატველია, თუმცა ფრაზეოლოგიზმებში ჩადებული კოდური მნიშვნელობა ლაპარაკთან, სიჩუმესთან, ემოციებთან, მოწონებასა და სიძულვილთანაა დაკავშირებული, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონცეპტი **პირი** ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებითაცაა მოცემული.

ენა

Ağır dilli - მძიმე ენის პატრონი (ენაბილწი);

Dil birliği - ენის ერთობა (ერთი პირის ქონა);

Dili bir karış dışarı çıkmak- ენის გადმოგდება, ბევრი სიარულისაგან ან სირბილისაგან დაღლა;

Dili damağı kurumak- ენის პირის გაშრობა, წყურვილისაგან ან აღელვებისაგან პირის გაშრობა;

Dil döktü - ენად დაიღვარა (ენად გაიკრიფა, ენად იქცა);

Dil ebesidir - ენის ბებია ქალია (ენამახვილი, მოლაპარაკე);

Dilden dile dolaşır - ენიდან ენაზე გადავა (ქვეყანას მოედება);

Dile düşer - ენაზე ეცემა (ხალხის ყბაში ვარდება);

Dile kolay - ენისათვის ადვილი(სათქმელად ადვილი);

Dili açıldı - ენა გაეხსნა (ენა ამოიდგა);

Dili bir karış- Dili uzun - ერთი მტკაველი ენის პატრონი(გრძელი ენის პატრონი);

Dili kılıçtan keskin- ენა ხმალზე უფრო გასრია, მძიმე და პირდაპირი მოლაპარაკე ადამიანზე ითქმის;

Dili pabuç kadar-ფეხსაცმლისხელა ენა, ჭორიკანა, უპატივცემულოდ, გაუჩერებლად მოლაპარაკე;

Dili dönmüyor - ენა არ უბრუნდება (სიმართლეს ვერ ამბობს);

Dili tutuldu - ენა წაერთვა (ენა ჩაუვარდა შიშისაგან);

Dili varmaz - ენა არ წვდება (ენა არ უბრუნდება);

Dilinde tüy bitti - ენაზე ბეწვი აღმოცენდა (ბევრი ილაპარაკა ენა გაუცვდა);

Dilinden düşürmez - ენიდან არ ჩამოუვარდება (ენაზე, პირზე აკერია);

Dilini fare mi yedi? – Dilin peynir ekmekle mi yedin? - ენა თაგვმა შეგიჭამა? ენა პურთან და ყველთან ერთად შეჭამე? (ენა გადაყლაპე? რატომ გაჩუმდი?);

Dilini yuttu - ენა გადაყლაპა;

Dilinin altında bir bakla var- Dilinin altında bir şey var - ენის ქვეშ ცერცვი აქვს- ენის ქვეშ რაღაც აქვს - (სათქმელისაგან თავს ვერ იკავებს);

Dilinin ucunda oluyor - ენის წვერზე ადგას;

თურქული „ენა“	*საერთო*	*ქართული „ენა“*
Ağır dilli-მძიმე ენა (ენაბილწი)	***Dili bir karış dışarı çıkmak-ენის გადმოგდება (დაღლილობა)***	
Dil birliği-ენის ერთობა (მოლაპარაკება)	***Dili dönmüyor-ენა არ უბრუნდება (ვერ ლაპარაკობს)***	*პირი შეკრეს*
Dili damağı kurmak-ენის გაშრობა (აღელვება, წყურვილი)	***Dili tutuldu-ენა წაერთვა (შიში)***	*პირის გაშრობა*
Dil dökmek-ენად დაღვრა (ლაპარაკი)	***Dilini yuttu-ენა გადაყლაპა (სიჩუმე)***	*ენად ქცევა (ლაპარაკი)*
Dil ebesidir-ენის ბებია ქალი (ენამახვილი)	***Dilinin ucunda oluyor-ენის წვერზე ადგას (გახსენება)***	
Dile düşer-ენაზე ეცემა (სალაპარაკო თემა ხდება)		*ყბაში ჩავარდნა*
Dile kolay-ენისათვის ადვილი (სათქმელად ადვილი)		

Dili açıldı-ენა გაეხსნა (ლაპარაკი)		
Dili bir karış-ერთი მტკაველი ენის პატრონი (ყბედობა)		
Dili kiliçtan keskin-ენა ხმალზე უფრო ბასრია (პირდაპირობა,ენამახვილი)		
Dili pabuc kadar-ფეხსაცმლისხელა ენა (მოლაპარაკე)		
Dilinde tüy bitti-ენაზე ბეწვი გამოელია (ენა გაუშრა)		
Dilinden düşürmez-ენიდან არ ჩამოუვარდება (ენაზე აკერია)		
Dilini fare mi yedi?-ენა თაგვმა შეგიჭამა?(სიჩუმე)		

ენა, როგორც ადამიანის სხეულის ნაწილი და ენა რომელზეც ვსაუბრობთ, თავისმხრივ მნიშვნელოვანია კომუნიკაციისათვის. ფრაზეოლოგიზმებიდანაც ნათლად ჩანს მისი როლი, უმეტესწილად ლაპარაკს, კავშირს და ურთიერთდამოკიდებულებას ასახავს. საერთო მაგალითები ადასტურებს თურქულ ენასა და ქართულ ენას შორის მსგავსებას, ვინაიდან აღნიშნული ფრაზეოლოგიზმები ძველი დროიდან შემორჩენილია ენაში და დღემდე გამოიყენება, როგორც სალიტერატურო ასევე სასაუბრო ენაში, ეს ნიშნავს, რომ არ მომხდარა მათი ენიდან გაქრობა, ან სხვა ფრაზეოლოგიური ერთეულით ჩანაცვლება, ეს ფაქტორიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

კბილი

Diş biler - კბილებს ილესავს (საჩხუბრად ემზადება);

Diş gıcırtadır - კბილებს აჭრიალებს(იმუქრება);

Diş gösterdi - კბილი აჩვენა (დააშინა);

Dişine dokunur - კბილს ეხება (მისი საკბილოა);

Dişine geçmiyor - მის კბილზე არ მოქმედებს (მისი საკბილო არ არის);

Dişinin kovuğuna yetmez - კბილის ღრმულს არ ყოფნის (პატარაა, უმნიშვნელოა); არასაკმარისია.

თურქული „კბილი“	**საერთო**	**ქართული „კბილი“**
Diş biler-კბილებს ილესავს (საჩხუბრად ემზადება)		
Diş gıcırtarmak-კბილების ჭრიალი (მუქარა)		
Diş gösterdi- კბილის ჩვენება (დაშინება)		
Dişine dokunur- კბილს ეხება (შესაფერისი)		
Dişine geçmiyor- მის კბილზე არ მოქმედებს (შეუფერებელი)		
Dişinin kovuğuna yetmez- კბილის ღრმულს არ ყოფნის (პატარაა)		

კბილის მნიშვნელობებს ძალიან საინტერესო დასკვნამდე მივყავართ. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი **კბილებს ილესავს** თურქულში საჩხუბრად მომზადებას ნიშნავს, ხოლო ქართულში გემრიელი საჭმელის მისართმევად მზადებას.მათი მნიშვნელობები, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ხასიათისაა.

მიუხედავად იმისა, რომ კბილი, როგორც პირი რეალური მნიშვნელობიდან გამომდინარე ჭამასთან ან ძლიერ ტკივილთან უნდა იყოს

გათანაბრებული,ფრაზეოლოგმზებში სულ სხვა დატვირთვით გვქვს მოცემული, ეს ვითარება სრულიად ამართლებს ფრაზეოლოგიზმების განმარტებას, რომ მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამი არ უდრის საბოლოო მნიშვნელობას და შეიძლება სულ სხვა ფუნქცია ჰქონდეს დაკისრებული ხატოვან გამოთქმებში.

ტუჩი

Dudak Büktü - ტუჩები აიბზუა (დაიწუნა, იუკადრისა);

Dudak ısırdı - ტუჩი მოიკვნიტა, შეშფოთდა, აღელდა;

Dudak sarkıttı - ტუჩები ჩამოუშვა (ცხვირი ჩამოუშვა, მოიწყინა).

თურქული „ტუჩი“	**საერთო**	**ქართული „ტუჩი“**
Dudak sarkıttı-ტუჩები ჩამოუშვა (მოწყენა)	**Dudak büktü-ტუჩები აიბზუა (დაწუნება)**	ცხვირი ჩამოუშვა-(მოწყენა)
	Dudak ısırdı-ტუჩი მოიკვნიტა (აღელვება)	

კომპონენტ **ტუჩთან** დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების სიმცირის მიუხედავად, ქართულსა და თურქულში საერთო ერთეულები მოგვეპოვება. უცნობია, რომელ ენაში გაჩნდა, რომელი ენიდან გადავიდა მეორეში. შესაძლებელია საერთო ფრაზეოლოგიზმების არსებობა აიხსნას იმითაც, რომ ისინი ორივე ენაში დამოუკიდებლად გაჩნდა.

წარბი

Kaş atmak- წარბის შეკვრა, რაღაცის ახსნა, მინიშნება;

Kaş yapayım derken göz çıkarmak- წარბის გაკეთების დროს თვალის ამოგდება, საქმის გასწორების ნაცვლად, მისი გაფუჭება;

Kaşının altında gözüm var demez - წარბქვეშ თვალები მაქვსო არ იტყვის (უწყინარია, ჭიანჭველას ფეხს არ აბიჯებს);

Kaşlarını çatmak- წარბის შეკვრა, გაბრაზება;

Kaşla göz arasında - წარბსა და თვალს შორის (თვალსა და ხელს შუა).

თურქული „წარბი„	საერთო	ქართული „წარბი“
Kaş atmak-წარბის ჩაკვრა (მინიშნება)	***Kaşlarını çatmak*-წაბების შეკვრა (გაბრაზება)**	თვალის ჩაკვრა
Kaş yapayım derken göz çıkarmak-წარბის გაკეთების დროს თვალის ამოგდება (საქმის გაფუჭება)		
Kaşının altında gözüm var demez-წარბქვეშ თვალი მაქვსო არ იტყვის (უწყინარი)		
Kaşla göz arasında-წარბს და თვალს შორის (უცებ)		თვალს და ხელს შუა

წარბი გაბრაზებასთან, სახის, ემოციების ცვალებადობასთანაა დაკავშირებული, რაც ქართული ენისათვის განსხვავებულ ფორმას არ წარმოადგენს. იდიომი ***წარბს და თვალს შორის***, თურქულ ენაში გამოიყენება უცებ მომხდარი სიტუაციის გამოსახატავად, რაც ქართულ ენაში ***თვალს და ხელს შუა*** ფრაზეოლოგიზმითაა ცნობილი. საერთო ფრაზეოლოგიზმი- **წარბების შეკვრა** ადამიანის გარეგნულ მიმიკას, ემოციას გამოხატავს, და ორივე ენაში ერთი და იმავე მნიშვნელობას– ადამიანის გაბრაზებას აღნიშნავს.

ნიკაპი (ყბა)

Çenesi kitlenmek-ყბის ჩაკეტვა, დუმილი;

Çenesi kuvvetli-ძლიერი ყბის მქონე, ადვილად და დამაჯერებლად მოსაუბრე;

Çenesi oynamak-ყბის თამაში (ქნევა)-ჭამა;

(Birinin) Çenesini bağlamak- ვიღაცის ყბის შეკვრა (გადატანითი მნიშვნელობით) ვიღაცის სიკვდილის სურვილი, გაჩუმება;

Çeneni tut - ყბა გააჩერე! გაჩუმდი!

Çenesi açıldı- Çenesi çalar- Çenesi durmaz - ყბა გაეხსნა, ყბა არ უჩერდება– გაუთავებლად ლაპარაკობს;

Çenesi düşük – Çenesi gevşek - ყბად დაცემული, ყბედი (ენაჭარტალა);

Çenesi makine gibi işliyor - ყბა მანქანასავით უმუშავებს (ყბას არ აჩერებს);

Çenesini kapattı - ყბა დაუხურა, გააჩუმა;

Çenesini yorar - ყბას იღლის (ენას ამაოდ იღლის).

თურქული „ყბა“	*საერთო*	*<u>ქართული „ყბა“</u>*
Çenesi kitlenmek-ყბის ჩაკეტვა (დუმილი)		
Çenesi kuvetli-ძლიერი ყბის მქონე (მოლაპარაკე)		
Çenesi oynamak-ყბის ქნევა (ჭამა)		
Çenesini bağlamak-ყბის შეკვრა (სიკვდილი)		
Çeneni tut-ყბა დაიჭირე		

(გაჩუმება)		
Çenesi açıldı-ყბის გახსნა (ლაპარაკი)		
Çenesi düşük-ყბად დაცემული (ყბედი)		
Çenesi makine gibi işliyor-ყბა მანქანასავით უმუშავებს (ყბედი)		
Çenesini yorar-ყბას იღლის (ტყუილად ლაპარაკი)		

ყბა, ისევე როგორც **პირი და ენა** ლაპარაკსა და ჭამასთან ასოცირდება, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოცემულ ცხრილში საერთო გრაფა ცარიელია, სიტყვა **ყბა** ქართულ ენაშიც იმავე მნიშვნელობების გამომხატველია, ლაპარაკთან ასოცირდება. სწორედ აქედან დამკვიდრდა სიტყვა **ყბედიც** (ბევრს ვინც ლაპარაკობს, ფუჭი საუბარი).

ცხვირი

Burun buruna gelmek-ცხვირით ცხვირთან მისვლა, ძალიან ახლოს, მიახლოება;

Burun kıvırmak-ცხვირის აბზუება, არაფრად ჩაგდება, არ მოწონება;

Burun şişirmek- ცხვირის გასიება, ამპარტავნობა;

Burnu büyük- დიდცხვირა, ამაყი, ცხვირიანი;

Burnu düştü- ცხვირი დაუვარდა (ცუდმა სუნმა შეაწუხა);

Burnu havada-Burnu kaf dağında- Burnunu burur - ცხვირი ჰაერში აქვს (ამაყი, ამპარტავანი);

Burnu kanamadan - ცხვირის გაუსისხლიანებლად (სისხლის დაუღვრელად);

Burnuna çıkar - ცხვირში ამოსდის (ყელში ამოსდის);

Burnuna tüter - ცხვირში უბოლავს (ძალიან ენატრება, თვალწინ უდგას);

Burnundan ateşi püskürür - ცხვირიდან ცეცხლს აფრქვევს (გაბრაზებულია);

Burnundan fitil fitil geldi - ცხვირიდან პატრუქად წამოუვიდა (ცხვირიდან ძმრად წამოუვიდა);

Burnundan kıl aldırmaz - ცხვირიდან ბეწვს არ აცლევინებს (ბეწვს არ ჩამოაგდებინებს ვინმეს, თავს არ დააჩაგვრინებს);

Burnundan ötesini görmez - თავისი ცხვირის იქეთ ვერაფერს ხედავს, არავინ არ აინტერესებს საკუთარი თავის გარდა;

Burnunu her işe sokar - ყველა საქმეში ცხვირს ჰყოფს (არამკითხე მოამბე, ცნობისმოყვარე);

(Birini) Burnundan yakalamak-ცხვირით დაჭერა, ყველა მიზეზის გარეშე, რომ ვერ გაიქცევა;

Burnunu sıksan canı çıkacak- ცხვირზე რომ მოუჭირო, სული გამოეცლება, ძალიან სუსტი, უძლური;

Burnunun ucunu görmez - ცხვირის წვერს ვერ ხედავს (სიმთვრალისაგან თვალში ერთი ორად უჩანს ყველაფერი);

Burnunun yeli harman savuruyor - ცხვირის ქარი კალოს ლეწავს (მედიდურობს, თავი მაღლა უჭირავს);

Burnunun dibinde olmak- ცხვირისწინ ყოფნა, ახლოს მყოფის ვერ დანახვა; Göremediği pek yakınında olmak.

Burnunun dikine (doğrusuna) gitmek:ცხვირის რჩევისკენ სიარული, არავის რჩევას არ ითვალისწინებს;

Burnunun direği kırılmak- ცხვირის ძვლის გატეხა, ცუდი სუნისგან შეწუხება;

Burnunun direği sızlamak- ცხვირის ძლივს ჩხვლეტა, ძალიან მწარე (მატერიალური ან სულიერი მხარე).

თურქული „ცხვირი“	საერთო	ქართული „ცხვირი“
Burun buruna gelmek- ცხვირი ცხვირთან მისვლა (სიახლოვე)	**Burun kıvırmak- ცხვირის აბზუება (დაწუნება)**	
Burun şişirmek- ცხვირის გასიება (ამპარტავნოა)	**Burnunu sokmak- ცხვირის ჩაყოფა (ცნობისმოყვარეობა)**	
Burnu büyük-დიდცხვირა (სიამაყე)		
Burnu düştü-ცხვირი დაუვარდა (ცუდი სუნი)		
Burnu havada-ცხვირი ჰაერში აქვს (სიამაყე)		
Burnu kanamadan-ცხვირის გაუსისხლიანებლად (სისხლის დაუღვრელად)		
Burnuna çıkar-ცხვირში ამოსდის (მობეზრება)		ყელში ამოსვლა
Burnundan ateşi püskürür- ცხვირიდან ცეცხლებს აფრქვევს (გაბრაზება)		თვალებიდან ცეცხლებს ყრის
Burnundan kıl aldırmaz- ცხვირიდან ბეწვს არ აცლევინებს (ჩაგვრა)		
Burnundan ötesini görmez- ცხვირის იქეთ ვერაფერს ხედავს (სიამაყე)		
Burnundan yakalamak- ცხვირით დაჭერა (გამოჭერა)		
Burnunu sıksan canı çıkar-		

ცხვირზე რომ მოუჭირო სული გამოეცლება (სისუსტე)		
Burnunun ucunu görmez- ცხვირის წვერს ვერ ხედავს (სიმთვრალე)		
Burnunun dibine olmak- ცხვირისწინ ყოფნა (სიახლოვე)		
Burnunun dikine)doğrusuna) gitmek-ცხვირის მიმართულებით სიარული (გაუგონარი)		
Burnun direği kırılmakცხვირის ძვლის გატეხა (უსიამოვნო სუნი)		
Burnunun direği sızlamak- ცხვირის ძვლის ჩხვლეტა (მდგომარეობა)		

როგორც ვიცით, **ცხვირის** მთავარი ფუნქცია ყნოსვაა, ფრაზეოლოგიზმების უმრავლესობაშიც სწორედ ეს მნიშვნელობა არის ასახული, თუმცა ასევე გამოიყენება ადამიანის ამპარტავანი და ამაყი ხასიათის გადმოსაცემად. ***ცხვირი აიბზუა, ცხვირზე ბუზს არ ისვამს*** მსგავსი ფრაზეოლოგიზმებიც, თავის თავზე შეყვარებულ, ამაყ ადამიანზე ითქმის. კონცეპტ **ცხვირთან** დაკავშირებულ ფრაზეოლოგიზმები გამოხატავს ასევე **სისუსტეს, გაბრაზებას,უმადურობას.** ამრიგად, **ცხვირთან** დაკავშირებული ერთეულები უარყოფითი კონოტაციისაა.

ყური

Kulağı delik- ყური გახვრეტილი აქვს, ყურმახვილია;

Kulağı kirişte- Kulağı tetikte- ყური სიმზე, ყური სასხლეტზე (ყურები დაცქვეტილი აქვს);

Kulağı tıkalı- ყურები დაცობილი აქვს (ყურებში გამბა აქვს);

Kulağıma sesler geliyor- ყურში ხმები მომდის (რაღაც გავიგე);

Kulağına çalındı- Kulağına çarptı- იმის ყურთან დაირეკა- ყურს დაეჯახა, მოესმა, გაიგონა(ყური მოჰკრა, ყურში ჩაეწვითა);

Kulağına girdi- ყურში შეუვიდა, მიხვდა, გაიგო (თავში, ტვინში შეუშვა);

Kulağına kar suyu kaçtı- ყურში თოვლის წყალი ჩაუვიდა (მძიმე, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, ცუდ დღეშია ჩავარდნილი); ცუდი, მოსაწყენი ინფორმაციის გაგება;

Kulağına kurşun mu aktı?- ყურებში ტყვია ჩაგესხა? (ყურებში გამბა ხომ არ გაქვს, დაყრუვდი?);

Kulağına küpe olsun!- ყურზე საყურედ ჰქონდეს, გაკვითილად დარჩეს, ჭკუა ისწავლოს (მისთვის გაკვითილი იყოს);

Kulağını açar- ყურს გაიხსნის, ყურადრებით იქნება, ყურადღებით მოუსმენს (ყურს კარგად დაუგდებს);

Kulağını çeker- ყურს უწევს, ტუქსავს;

Kulağının ardına atar- ყურს უკან აგდებს, არ უსმენს, უყურადღებოდაა (ერთი ყურიდან შეუშვებს, მეორედან გამოუშვებს);

Kulak astı- ყური ჩამოკიდა, მოუსმინა (ყური უგდო);

Kulak kabarttı- ყურები გაისია, დაინტერესდა, ყურადღებით მოუსმინა (ყურები დაიგრძელა);

Kulak kesildi- ყურად იქცა (სმენად იქცა);

Kulak tutar- ყური უჭირავს (ყურს უგდებს);

Kulak verir- ყურს აძლევს (ვინმეს ჭკუაზე დადის); ყურის დაგდება

Kulakları doldu- ყურები გამოეჭედა(ერთი და იმავეს მოსმენით შეწუხდა);

Kulakları düşmüş- ყურები ჩამოყრილი აქვს (ცუდ ხასიათზეა);

Kulaklarına geldi- მის ყურამდე მივიდა (ამბავი გაიგო);

Kulaklarına inanmadı- ყურებს არ დაუჯერა (დაეჭვდა, არ დაიჯერა);

Kulaklarına kadar kızarmıştı- ყურებამდე გაწითლდა, შერცხვა;

Kulaklarını tıkar- ყურებს იცობს, გაგონება არ სურს, ყურს არ აძლევს, ყურებს იყრუებს;

Kulaktan dolma- ყურით შევსებული (აქა-იქ მოსმენილი, გაგონილი, ყურმოკრული);

თურქული „ყური“	საერთო	ქართული „ყური“
Kulağı delik-ყური გახვრეტილი (სმენამახვილი)	ყურის აწევა (დატუქსვა)	
Kulağı tıkalı-ყურები დაცობილი (სმენა)	Kulaklarına kadar kızarmak-ყურებამდე გაწითლება (შერცხვენა)	ყურებში ბამბა აქვს
Kulağa sesler gelmek-ყურში ხმების მოსვლა (ახალი ამბავი)		
Kulağına çalındı-ყურთან დაირეკა		ყური მოჰკრა
Kulağına girdi-ყურში შეუვიდა (მიხვედრა)		ტვინში შეუვიდა
Kulağına kar suyu kaçtı-ყურში თოვლის წყალი ჩაუვიდა (ცუდი მდგომარეობა)		
Kulağına küpe olsun!-ყურზე საყურედ ჰქონდეს (ჭკუის სწავლა)		მისთვის გაკვეთილი იყოს
Kulağını açar-ყურს გაიხსნის		

(ყურადღება)		
Kulağıın ardına atar-ყურს უკან აგდებს (არ უსმენს)		ერთი ყურიდან შეუშვებს, მეორედან გამოუშვებს.
Kulak astı-ყური ჩამოჰკიდა (მოსმენა)		ყური უგდო
Kulak kabarttı-ყურები გაისია (მოუსმინა)		ყურები დაიგრძელა
Kulak verir-ყურს აძლევს (მოსმენა, დაჯერება)		ყურის დაგდება

ყური სმენის, გაგონებისა და შესაბამისად ინფორმაციის დაგროვების წყაროა. ნაწილობრივ სწორედ ამ მნიშვნელობას ავლენს ფრაზეოლოგიზმებშიც. საერთოა ***ყურებამდე გაწითლება და ყურის აწევა.*** ისინი ქართულში დღემდე აქტიურად გამოიყენება.

კისერი

Boyunu armut sapına döndü- კისერი მსხლის ყუნწად ექცა, ძალიან გახდა ჩამოხმა (კისერი დაუწვრილდა);

Boyunu eğri- კისერწახრილი, მორჩილი, თავწახრილი (ქედმოხრილი);

Boyununa aldı- თავი კისერზე აიღო, ვალდებულება აიღო (თავისთავზე აიღო, მის კისერზე აიღო);

Boyununa atıldı- კისერზე ჩამოეკიდა, ეხვეწა, ემუდარა, სთხოვა;

Boyununa yük oldu- კისერზე ტვირთად ექცა (დააწვა) იმის საზრუნავი გახდა.

თურქული „კისერი“	საერთო	ქართული „კისერი“
Boyunu armut sapına döndü-კისერი მსხლის ყუნწად ექცა (გახდომა)	**Boyununa atılmak-კისრზე ჩამოკიდება (თხოვნა)**	კისერი დაუწვრილდა
Boyunu eğri-კისერწახრილი (ქედმოხრილი)	**Boyununa yük oldu-კისერზე ტვირთად დააწვა (ზრუნვა)**	კისერი მოუგრიხა
Boyununa aldı-თავის კისერზე აიღო (პასუხისმგებლობა)		თავის თავზე აიღო

სიტყვა **კისრის** ხსენებაზე, რატომღაც ქვეცნობიერს სილამაზის, მიმართულებით მივყავართ, თუმცა რაოდენ გასაკვირიც არუნდა იყოს, ფრაზეოლოგიზმებში სულ სხვა ფუნქცია აკისრია: **გახდომა, თხოვნა, ზრუნვა, ქედის მოხრა, პასუხისმგებლობა** ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობებია.

კისერწახრილი, მორჩილი, დამარცხებული,– ქართულ ენაში *კისერი მოუგრიხა* ფრაზეოლოგიზმთან ასოცირდება და ძალის მოგებას, ერთის მიერ მეორის ძლევას გამოხატავს.

მხარი

Omuz omuza- მხარი მხარს, ერთად, ერთიანი ძალით (მხარში დადგომა);

Omuzdan attı- მხრებიდან გადაიგდო, არასასურველი რაღაცისაგან გათავისუფლდა (თავი დაიძვრინა);

Omuzlar kaldırır- მხრებს იჩეჩავს; დაბნეულია, არ იცის, რა ქნას (ქართ: იგივე ჟესტი ქართულ ენაში როგორც დაბნეულობის, ასევე რაიმეს არცოდნის გამომხატველია);

Omuzları çökmüş- მხრებჩამოშვებული, დაღვრემილი, გულგატეხილი (ყურებჩამოყრილი);

Omuzuna alır- თავის მხრებზე იღებს (თავისთავზე იღებს);

Omuzuna biner- მხრებზე აწევს (ურთულდება, ტვირთად აწვება);

Omuzuna vurur- მხარზე აჰკიდებს (დაავალებს, დააკისრებს);

Omuzunu silkti- მხრები შეიბერტყა (თავიდან მოიშორა);

Omuzunda taşır- ზურგით ატარებს, ძალიან უფრთხილდება, უვლის, პატრონობს, მზრუნველობს (ცივ ნიავს არ აკარებს). (ქართ. ხელის გულზე ატარებს);

Omuzunu verdi- მხარი მისცა, დაეხმარა, მიეშველა, მხარში ამოუდგა.

თურქული „მხარი“	საერთო	ქართული „მხარი“
Omuz omuza-მხარი მხარს (მხარდაჭერა)	**Omuzlar kaldırır-მხრებს იჩეჩავს (არცოდნა, დაბნეულობა)**	
Omuzdan attı-მხრებიდან გადაიგდო (თავისუფლება)		
Omuzları çökmüş-მხრებჩამოშვებული (იმედგაცრუებული)		ყურებჩამოყრილი
Omuzuna alır-თავის მხრებზე იღებს (პასუხისმგებლობა)		თავის თავზე იღებს
Omuzuna biner-მხრებზე აწევს (სირთულე)		ტვირთად აწევს
Omuzunu silkti-მხრები შეიბერტყა (თავისუფლება)		თავიდან მოიშორა
Omuzunda taşır-ზურგით ატარებს (მოვლა)		ხელის გულზე ატარებს
Omuzunu verdi-მხარი მისცა (დახმარება)		მხარში ამოუდგა

მხართან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და მათი მნიშვნელობები, სხვა კონცეპტებთან შედარებით, უფრო იოლად გასაშიფრი და გამოსაყენებელია, ვინაიდან უმეტესწილად დახმარებას აღნიშნავს, როგორც თურქულ, ასევე ქართულ ენებში. ***მხარში დგომა, მხარის მიცემა, მხრებზე პასუხისმგებლობის აღება*** – ყველა ეს ფრაზეოლოგიზმი ერთმანეთის დახმარებასა და გვერდში დგომაზე მიგვანიშნებს. რაც შეეხება საერთო ფრაზეოლოგიზმს– *„მხრებს იჩეჩავს“* ადამიანის გარეგნული ქცევით გამოხატული მოქმედებაა, რომელიც ორივე ენისათვის ნაცნობი ქცევაა.

როცა ადამიანს ვახსენებთ, პირველ რიგში **ხელი, ფეხი, თავი და ტანი** გვიქმნის გვახსენდება. მათი დატვირთვა სხეულის სხვა რომელიმე ნაწილთან შედარებით უფრო მაღალია, ეს ვითარება არ იკარგება ფრაზეოლოგიურ ერთულებშიც, ამას აღნიშნულ კონცეპტებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების რაოდენობა გვიდასტურებს.

ხელი როგორც ადამიანის სხეულის მთავარი ნაწილი, ფრაზეოლოგიზმებში შეიძლება გამოხატავდეს, როგორც დადებით, ასევე უარყოფით მნიშვნელობას. ყოველდღიურობაში **ხელი და ფეხი** შრომას, საქმის კეთებას, დახმარებას აღნიშნავს, სწორედ ამ მნიშვნელობებით გვევლინება ფრაზეოლოგიზმებშიც.

ხელი

El açar- ხელს შლის (მათხოვრობს, მოწყალებას ითხოვს);

El değmemiş- ხელი არ შეხებია, ხელშეუხებელი (გამოუყენებელი);

El el üstünde oturur- ხელი ხელზე დადებული ზის, უმოქმედოდაა, არაფერს არ აკეთებს (გულხელდაკრეფილი ჯდომა);

El ele verdiler- ხელი ხელს მისცეს (ერთმანეთს დახმარების ხელი გაუწოდეს);

El eteğini öper- ხელს, კალთას უკოცნის (ეხვეწება);

El kiri- ხელის ჭუჭყი (ფული);

Elde avuçta bir şey kalmadı- ხელში არაფერი შერჩა, ხელცარიელი დარჩა;

Elde değil-ხელში (ხელთ) არ არის, მასზე დამოკიდებული არ არის;

Elde tutar- ხელში უჭირავს, ეპატრონება, ისაკუთრებს;

Elde yok avuçta yok- ხელში არა, მუჭში არა, უფულოა, ღარიბია;

Elden ayaktan düşer- ხელ-ფეხი ერთმევა, უძლურდება, ღონე ეცლება, ველარ დადის, ფეხზე ვერ დგას;

Elden çıkarır- ხელიდან უშვებს (კარგავს, ყიდის);

Elden ele dolaşır- ხელიდან ხელში გადადის (დიდ ინტერესს იწვევს, მოწონებას იმსახურებს);

Elden gitti- ხელიდან წავიდა, გაფუჭდა (შესატყვისი, ზუსტად ამ სახით და მნიშვნელობით ქართულ ენაშიც გვაქვს);

Ele alınmaz- ხელში არ აიღება (ძალიან ცუდია, არ შეიხედება);

Ele alır- ხელში იღებს (საქმის დაწყება, განხილვა);

Ele avuca sığmıyor- ხელში, მუჭში არ ჩერდება, არ ეტევა (ვერცხლისწყალივითაა);

Eli açık- ხელგაშლილი, გულუხვი.

Eli ağır- მძიმე ხელი აქვს (საქმეში ნელი);

Eli armut devşirmiyor ya- მისი ხელი მსხალს კი არ კრეფს, ვალში არ დარჩება, თუ დაარტყამენ ესეც დაარტყამს (ხელ-ფეხი შეკრული არ აქვს);

Eli ayağı çözüldü- Eli ayağı gevşedi- ხელ-ფეხი მოუდუნდა, ფეხებში ძალა წაერთვა (მუხლები წაერთვა);

Eli ayağı oldu- მის ხელ-ფეხად გადაიქცა, ყოველგვარ საქმეში გვერდში მდგომი (მარჯვენა ხელი);

Eli ayağı bağlıdır- ხელ-ფეხი შეკრული აქვს, გასაკეთებელს ვერ აკეთებს, შეზღუდულია;

Eli ayağı boşandı- ხელ-ფეხი წაერთვა, შეეშინდა, გაოგნდა;

Eli ayağı buz kesildi- ხელ-ფეხი გაეყინა, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა (მკვდარს დაემსგავსა (ხელ-ფეხი წაერთვა);

Eli ayağı titrer- ხელ -ფეხი უკანკალებს (ეშინია);

Eli ayağı tutmaz- ხელ-ფეხს ვერ იმორჩილებს (ძალ-ღონე არ აქვს);

Eli ayağı tutulmuştur- ხელ-ფეხი გაუკავდა, მოძრაობის უნარი წაერთვა (ხელ-ფეხი წაერთვა);

Eli bayraklı- El maşalı-ხელდროშიანი, მოჩხუბარი, ბუნტისთავი;

Eli bol- ხელსავსე (ფულიანი);

Eli boş çıktı- ხელცარიელი დარჩა, უარაფროდ დარჩა (მშრალად დარჩა);

Eli çabuk- სწრაფი ხელის მქონე (მარჯვე ხელის პატრონი);

Eli dardır- ვიწრო ხელი აქვს (ძუნწია, წუწურაქია);

Eli dursa ayağı durmaz- ხელი რომ გაჩერდეს, ფეხი არ გაჩერდება (ენერგიული, მოძრავი, მშრომელი);

Eli ekmek tutuyor- ხელში პური უჭირავს (პურის ფული გააჩნია, მის თავს არჩენს);

Eli hafif- მსუბუქი ხელი (უმტკივნეულო ხელის მქონე);

Eli işe yatıyor- საქმეს ხელს აჩვევს, იწაფება;

Eli işte,gözü oynaşta- ხელი საქმეში, თვალი კი საყვარელთან (ერთ საქმეს აკეთებს და სხვაზე ფიქრობს);

Eli kalem tutuyor- ხელში კალამი უჭირავს(კარგად წერს);

Eli olur-მისი ხელი იქნება (მისი ხელი ურევია);

Eli sakalında kalmış- ხელი წვერზე შერჩა, გაუკვირდა (პირღია დარჩა);

Eli uzun- გრძელი ხელის მქონე (ხელმრუდე);

Eli varmaz- ხელი არ მისდის (არ აქვს გაკეთების სურვილი);

eli yatkın- გაწაფული ხელისა (ხელიდან ყველაფერი გამოსდის);

Elinden kaçtı- ხელიდან გაექცა, დაუსხლტა;

Elinden kurtuldu-მიი ხელიდან გაანთავისუფლა, თავი დაიხსნა;

Eline aldı- ხელში აიღო, იგივეა რაც თავს თავზე აიღო;

Eline ayağına düşer- ხელებში- ფეხებში უვარდება, ხვეწნა, მუდარა;

Eline bakar- ხელში უყურებს, სხვისი ხელის შემყურეა;

Eline çabuk- სწრაფი ხელის პატრონი, მარჯვე;

Eline düştü- ხელში ჩაუვარდა (ვინმეს განკარგულებაში ჩავარდა);

Eline eteğine doğru-თავისი ხელით, კალთით მართალი (უდანაშაულო);

Eline eteğine sarıldı- ხელზე, კალთაზე შემოეხვია (ეხვეწა, ემუდარა, დაუჩოქა);

Eline geçirir- ხელში ჩაგდება;

Eline kına yakar- ხელზე ინას იდებს (ხაროზს დაფრინავს);

Eline su döker- ხელზე წყალს უსხმას (ეპირფერება, ფეხქვეშ ეგება);

Eline verdi- ხელში მისცა (დაასმინა);

Eline vur ekmeğini al- ხელზე დაარტყი, პური წაართვი (ენაუთქმელია, ადვილად დასაჩაგრავია, თავში რომ ჩაარტყა ხმას არ ამოიღებს);

Elini ayağını kesti- ხელ-ფეხი ამოიკვეთა (მისვლა შეწყვიტა);

Elini cebine attı- ხელი ჯიბეში ჩაიდო (ფული ამოიღო);

Elini çeker- ხელს იღებს (უარს ამბობს);

Elini genişledi-ხელები ფართოდ გაშალა (წელში გაიმართა);

Elini kaldırır- ხელს ასწევს, სცემს;

Elini kana buladı- ხელი სისხლში გაისვარა (მკვლელობა ჩაიდინა);

Elini katar- თავის ხელს უერთებს, უმატებს (რაიმე საქმეში მონაწილეობს);

Elini kolunu bağladı- ხელები შეუკრა, მოქმედების საშუალება არ მისცა (გასაქანი არ მისცა);

Elini kolunu sallaya sallaya geldi- ხელების ქნევა-ქნევით მოვიდა, უმოქმედოდ, უშედეგოდ (ხელცარიელი დაბრუნდა);

Elini koyar- ხელს ადებს (ადანაშაულებს);

Elini sıcak sudan soğuk suya sokmuyor- ხელს ცხელი წყლიდან ცივ წყალში არ ყოფს (არაფერს არ აკეთებს);

Elini sokar- ხელებს ყოფს (სხვის საქმეში ერევა);

Elini sürmez- ხელს არ აკარებს, ხელს არ ახლებს;

Elini tuttu- ხელი მოჰკიდა (საქმე დაიწყო);

Elini uzatır- elini verir- ხელს უწოდებს, დახმარების ხელს აძლევს;

Elini vicdanına koyudu- ხელი სინდისზე დაიდო, დაიფიცა (ხელი გულზე დაიდო);

Elinin üstünde tutar- ხელისგულზე ისვამს, ხელისგულზე ატარებს;

Elle tutulur, gözle görülür- ხელით დასაჭერი, თვალით დასანახი (ნათელი, ცხადი, ადვილად მისახვედრი);

Elleri tutmaz- ხელები არ ემორჩილება, შეიბოჭა;

Elime doğdu- ჩემს ხელში დაიბადა (ჩემ თვალწინ გაიზარდა).

თურქული „ხელი“	საერთო	ქართული „ხელი“
El açar-ხელს შლის (მოწყალება)	**El ele verdiler-ხელი ხელს მისცეს (დახმარება)**	
El değmemiş-ხელი არ შეხებია (წმინდა)	**El kiri-ხელის ჭუჭყი (ფული)**	
El el üstünde oturur-ხელი ხელზე დადებული ზის (უმოქმედობა)	**Eli yağı boşandı-ხელ-ფეხის წართმევა (უძალობა)**	
El eteğini öper-ხელს კალთას უკოცნის (ხვეწნა)	**Elinden gitmek-ხელიდან წასვლა (გაფუჭება)**	
Elde tutar-ხელში უჭირავს (ეპატრონება)	**Eli ayağı bağlıdır-ხელ-ფეხი შეკრული აქვს (უმოქმედობა)**	
Elde yok,avuçta yok-ხელში არა,მუჭში არა (უფულობა)	**Elinden kaçtı-ხელიდან დაუსხლტდა (გაქცევა)**	
Elden çıkarır-ხელიდან უშვებს (გაყიდვა)	**Eline bakar-ხელში ყურება (სხვისი ხელის შემყურე)**	ხელიდან უშვებს (დაკარგვა)
Elde alınmaz-ხელში არ აიღება (ძალიან ცუდია)	**Eline geçirir-ხელში ჩაგდება**	
Ele, avuca sığmıyor-ხელში, მუჭაში არ ეტევა (სწრაფი)	**Elini kaldırmak-ხელის აწევა (ცემა)**	
Eli ağır-მძიმე ხელი (ნელი)	**Elini kana buladı-ხელის სისხლში გასვრა(მკვლელობა)**	
Eli armut devşirmiyor ki-მისი		

ხელი მსხალს კი არ კრეფს (ვალში არ დარჩება)		
Eli ayağı çözüldü-ხელ-ფეხი მოუდუნდა (დასუსტება)		მუხლები წაერთვა
Eli ayağı oldu-მის ხელ-ფეხად გადაიქცა (დახმარება)		მისი მარჯვენა ხელი
Eli bol-ხელსავსე (ფულიანი)		
Eli ayağı tutuldu-ხელ-ფეხი გაუკავდა (უმოძრაობა)		ხელ-ფეხი წაერთვა
Eli dardır-ვიწრო ხელი აქვს (ძუნწი)		
Eli dursa,ayağı durmaz-ხელი რომ გაჩერდეს, ფეხი არ გაჩერდება (მშრომელი)		
Eli ekmek tutuyor-ხელში პური უჭირავს (თავის რჩენა)		
Eli hafif-მსუბუქი ხელი (უმტკივნეულო)		
Eli işte,gözü oynaşta-ხელი საქმეში თვალი კი საყვარელთან (გაფანტული)		
Eli kalem tutuyor-ხელში კალამი უჭირავს (კარგად წერს)		
Eli sakalında kalmış-ხელი წვერზე შერჩა (გაკვირვება)		
Eli uzun-გრძელი ხელის მქონე (ხელმრუდი)		
Eli varmaz-ხელი არ მისდის (სურვილი)		
Eli yatkın-გაწაფული ხელის		

(ნიჭიერი)		
Elime doğdu-ჩემს ხელში დაიბადა		<u>ჩემ თვალწინ გაიზარდა</u>
Eli çabuk-სწრაფი ხელის პატრონი (მარჯვე)		
Eline eteğine sarıldı-ხელზე, კალთაზე შემოეხვია (ხვეწნა)		
Eine kına yakar-ხელზე ინას იდებს (სიხარული)		
Eline,eteğine doğru-თავის ხელით, კალთით მართალი (უდანაშაულო)		
Eline su döker-ხელზე წყალს უსხამს (პირფერობა)		
Eline verdi-ხელში მისცა (დასმენა)		
Eline vur, ekmeğini al-ხელზე დაარტყი პური წაართვი (მშვიდი, ჩუმი)		
Elini cebine atti-ხელი ჯიბეში ჩაიდო (ფულის ამოღება)		

Elimde kaldı- ხელში დამრჩა (აღნიშნული ფრაზეოლოგიზმი ხშირად გამოიყენება სასაუბრო სტილში უარყოფითი (მუქარის) მნიშვნელობით: ***ხელში შემრჩები, დამრჩები, შენს თავს ვერავინ გამომართმევს ხელიდან.***

Elinden bir iş gelmiyor- **ხელიდან რაიმე საქმე არ გამოსდის** (არაფერი არ იცის, ვერ აკეთებს, მოუხერხებელია); მსგავსი გამოთქმა ქართულ ენაშიც მოიპოვება, *ეს საქმე მას* ***ხელიდან არ ასდის.***

თურქულში, როგორც სასაუბრო, ისე მწიგნობრულ სტილში ხშირად გამოყენებადი ფრაზეოლოგიზმია *Elimden geleni yaparım* რაც შემიძლია, რაც ჩემზეა დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ.

Elinden her iş gelir- ხელიდან ყველაფერი გამოსდის, ყველაფერი ეხერხება.

Elinden hiç bir şey kurtulmaz- მის ხელს არაფერი გადაურჩება, ყველაფერს ითვისებს და აკეთებს, საპირისპირო ფრაზეოლოგიზმია *Elinden iş çıkmaz*, არაფერი არ გამოსდის.

ხელთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები შრომის კონცეპტუალურ ველს ქმნიან: ხელს შეუძლია გააკეთოს საქმე, დაეხმაროს სხვას, რაც დადებითად მუხტავს მის მნიშვნელობას, თუმცა იკვეთება უარყოფითი კონოტაციაც: ქურდობა, სიძუნწე, უფულობა, გაჭირვება და სისუსტე...ხელს შეუძლია გააკეთოს, როგორც კარგი, ასევე ცუდი საქმე. მოცემული ცხრილიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ხელი** უფრო დადებითი მნიშვნელობების აღმნიშვნელია, ვიდრე - უარყოფითისა.

თითი

Parmak bozmak- თითის გაფუჭება (ბავშვებს შორის), გაბუტვა;

Parmak ısırmak/ısırtmak- თითის კბენა, გაკვირვება, გაკვირვებული დარჩენა;სინანული;

Parmağı ağzında kaldı- თითი პირში შერჩა, გაოცდა, გაოგნდა (პირი დააღო);

Parmağına dolar- თითზე იხვევს, ატყუებს (თითზე დახვევა იგივე მოთაფლვა);

Parmağında oynatır- თითზე ათამაშებს, იმორჩილებს, თავის ჭკუაზე დაჰყავს;

Parmağını bile oynatmaz- Parmağını kıpırdatmz- თითს არ გააქანებს(უსაქმურადაა);

Parmağını kıpırdatacak halı kalmadı- თითის გაქანების ძალაც კი არ შერჩა (ძალიან დაიღალა);

Parmağını basar- თითს აჭერს (ყურადებით ეპყრობა);

Parmakla gösterilir- თითით საჩვენებელი, სამაგალითო;

Parmaklarında ziller eksik-თითებს ზარი აკლია (სიხარულისგან ფრენა);

Parmaklarını da beraber yer- თითებსაც აყოლებს (საჭმელს გემრიელად ჭამს).

თურქული „თითი“	საერთო	ქართული „თითი“
Parmak bozmak-თითის გაფუჭება (გაბუტვა)	**Parmağına dolar-თითზე იხვევს (მოთაფვლა)**	
Parmak ısırmak-თითის კბენა (გაკვირვება)	**Parmağında oynatır-თითზე ათამაშებს (დამორჩილება)**	
Parmağı ağzında kaldı-თითი პირში შერჩა(გაოგნება)	**Parmağını bile oynatmaz-თითსა არ ანძრევს (უსაქმურობა)**	პირი დააღო
Parmağını kıpırdatacak halı kalmadı-თითის გაქანების ძალაც კი არ შერჩა (დაიღლა)	**Parmakla gösterilir-თითით საჩვენებელი (სამაგალითო)**	
Parmağını basar-თითს აჭერს (ყურადღება)		
Parmaklarında ziller eksik-თითებს ზარი აკლია (სიხარული)		
Parmaklarını da beraber yer-თითებიანად ჭამს (გემრიელი)		

კომპონენტი **თითი** ფრაზეოლოგიზმში სხვადასხვა ემოციას და მნიშვნელობას გამოხატავს: გაბუტვა, დაღლა, ყურადღება, სიხარული და მზრუნველობა. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ, როგორც სხეულის ბევრი სხვა ნაწილი, თითიც

კონოტაციურად ორსახოვანია და მასთან დაკავშირებული მნიშვნელობები, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ხასიათისაა.

ფრჩხილი

Tırnağı bile olmamak (birinin)- ფრჩხილიც კი არ არის (ვიღაცის) ფრჩხილის ფასიც კი არ აქვს;

Tırnağına (ya da attığı tırnağa) değmemek (birinin)- ფრჩხილადაც (ან გადაგდებულ ფრჩხილადაც) კი არ ღირს;

Tırnak göstermek-ფრჩხილის ჩვენება: 1.გაბრაზება; 2.შეშინება;

Tırnak iliştirmek (takmak, geçirmek)-ფრჩხილის მიმაგრება, 1. (ვიღაცის) მოუშორებლად მიწებება; 2. ტვირთად, დარდად ყოფნა;

Tırnak sürüştürmek-ფრჩხილის გატარება, ორ ადამიანს შორის უთანხმოება;

(Bir şeyin ya da bir kimsenin) tırnağına (attığı tırnağa) benzememek- მის ფრჩხილსაც არ ჰგავს (მის ფრჩხილამდეც ვერ მივა);

(Birinin) tırnaklarını sökmek- (ვიღაცის) ფრჩხილის ამოგლეჯა, ხელებიდან ძალის წართმევა.

თურქული „ფრჩხილი“	**საერთო**	**ქართული „ფრჩხილი“**
Tırnağı bile olmamak-ფრჩხილიც კი არ არის (მნიშვნელობა)	**Tırnağına değmemek-ფრჩხილადაც არ ღირს**	
Tırnağına göstermek-ფრჩხილის ჩვენება (გაბრაზება)		
Tırnak iliştirmek-ფრჩხილის		

მიმაგრება (დარდი)		
Tırnak sürüştürmek- ფრჩხილის გატარება (უთანხმოება)		
Tırnaklarını sökmek- ფრჩხილის ამოგლეჯა (ძალის წართმევა)		

ფრჩხილი, როგორც ხელისა და თითის შემადგენელი ნაწილი, ფრაზეოლოგიურ ერთეულებში სიმცირესთან, უმნიშვნელობასთანაა დაკავშირებული. ფრჩხილს, როგორც კონცეპტს, მნიშვნელობა არ ენიჭება და, შესაბამისად, ფრჩხილთან გაიგივებული ადამიანიც არაფერს წარმოადგენს. ამ მოსაზრების მტკიცებულებაა საერთო ფრაზეოლოგიზმიც: **„ფრჩხილადაც არ ღირს“** ანუ არანაირი ფასი არ აქვს. საერთო ჯამში ფრჩხილთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები უარყოფითი კონოტაციისაა.

მუხლი

Diz çöktü- მუხლი მოიყარა, (დაიჩოქა, დანებდა);

Dize getirir- მუხლზე დააჩოქებს, კისერს მოუდრეკს;

Dizine derman gelmiş- მუხლში ძალა მოუვიდა (ფეხზე დადგა);

Dizine döver- მუხლებზე იცემს, ნანობს (თავში ხელებს იცემს);

Dizini öptü- მუხლები დაუკოცნა, ეხვეწა;

Dizleri kesildi- Dizlerinin bağı çözüldü- მუხლები მოეკვეთა, ფეხზე დგომის უნარი წაერთვა

ქართულ ენაში მოცემული ფრაზეოლოგიური ერთეული მოხუცებულობის გამომხატველიცაა.

Dizlerine kapanır-მუხლებში უვარდება;

თურქული „მუხლი“	საერთო	ქართული „მუხლი“
Dizine derman gelmiş-მუხლში ძალა მოუვიდა (ღონე)	**Diz çoktu-მუხლი მოიყარა (დაჩოქება)**	
Dizine döver-მუხლებს იცემს (სინანული)	**Dizlerine kapanır-მუხლებში ჩავარდნა (ხვეწნა)**	
Dizini öptü-მუხლები დაუკოცნა (ხვეწნა)	**Dizleri kesildi-მუხლები მოეკვეთა (უძალობა, მოხუცებულობა)**	

ქართულ ენაში მუხლი ძირითადად ძალას გამოხატავს: ***მუხლმაგარი, ძლიერი მუხლი;*** ასევე აღნიშნავს ხვეწნასა და მუდარას ***„მუხლებში ჩავარდნა“.*** საინტერესო ფრაზეოლოგიური ერთეულია ***„მუხლების მოკვეთა“,*** *რომელიც საერთოა ორივე ენისათვის, თუმცა მნიშვნელობებით განსხვავდება. აღნიშნულ ფრაზეოლოგიზმს ქართულ ენაში უძალობისა და ღონემიხდილობის გარდა, სიბერის მნიშვნელობაც ენიჭება. მუხლის მნიშვნელობაც ძალასთან და შრომასთანაა დაკავშირებული, თუმცა აღნიშვნის ღირსია თავმდაბლობის სემანტიკაც „მუხლის მოდრეკა“, ორივე ენისათვის საერთო ფრაზეოლოგიზმია.*

ფეხი

Ayağa kalktı- ფეხზე წამოდგა (მოძლიერდა);

Ayağı alıştı- ფეხი აუწყო (შეეგუა, გაუგო);

Ayak basacak yer yok-ფეხის დასაბიჯებელი ადგილი არ არის (ხალხმრავლობაა);

Ayağı bu yerden kesildi-აქედან ფეხი ამოეკვეთა (აღარ მიესვლება);

Ayağı düştü- ფეხი მოუხვდა (გზად შეუარა);

Ayağı ile geldi- თავისი ფეხით მოვიდა, თავისი სურვილით;

Ayağı suya erdi- ფეხი წყალზე მიუწვდა (აზრზე მოვიდა, გონება გაუნათდა);

Ayağına bağ oldu-ფეხზე კვანძად ექცა (შეაფერხა, წინაღობად ექცა);

Ayağına çelme taktı- კვანტი გამოსდო (დააბრკოლა);

Ayağına düştü- ფეხებში ჩაუვარდა (ეხვეწა);

Ayağına kara su indi- ფეხებში შავი წყალი ჩაუდგა (მუხლებში წყალი ჩაუდგა);

Ayağına karpuz kabuğu koydu- ფეხქვეშ საზამთროს კანი დაუდო (შეაფერხა);

Ayağına kira ister-ფეხის ქირას ითხოვს(გასამსჯელოს ითხოვს);

Ayağına sıcak su mu dökelim-ფეხზე ცხელი წყალი ხომ არ დაგასხათ, აქამდე სად იყავი (კედელს ნახშირი);

Ayağına taş değdi- ფეხზე ქვა მოხვდა (წინააღმდეგობა შეხვდა);

Ayak atmaz-Ayak basmaz- ფეხს არ დგამს (არ აბიჯებს);

Ayağını diredi- ფეხი მიაჭირა (გაჯიუტდა, თავისი გაიტანა);

Ayağını uyduruyor-ფეხს უწყობს (ბაძავს);

Ayağının altına aldı- ფეხქვეშ ამოიღო (ცემით გათელა);

Ayağının bağını çözdü- ფეხის კვანძი გაუხსნა, გაათავისუფლა (ხელ-ფეხი გაუხსნა);

Ayağının bastiği yerde ot bitmez- მის ნაფეხურზე ბალახი არ ამოდის (ბოროტია);

Ayağının pabucu olamaz- მის ფეხსაცმლად არ ივარგებს (შესაფერისი არ არის);

Ayağının pabucunu başına giydi-ფეხსაცმელი თავზე დაიხურა (თავი გაუყადრა);

Ayağının tozu ile- თავისი ფეხის მტვრით (მაშინვე, დაუყონებლივ);

Ayak bastı- ფეხი დადგა (მივიდა);

Ayaklı kütüphane- მოძრავი ბიბლიოთეკა (ცოცხალი ენციკლოპედია);

Ayakları geri geri gider- ფეხები უკან უკან რჩება (წასვლის სურვილი არ აქვს);

Ayaklarını dikti- ფეხები გაფშიკა (მოკვდა, ჭირი წაიღო);

Ayaklarını sürer- ფეხს ითრევს (განგებ იგვიანებს, წასვლა ეზარება);

Ayaklarını yere basmiyor- მიწაზე ფეხს არ აკარებს (ძალიან გახარებულია);

Ayaklarının ucuna basarak yürür- ფეხის წვერებზე დადის (უხმაუროდ, ფრთხილად დადის).

თურქული „ფეხი“	საერთო	ქართული „ფეხი“
Ayağa kalktı-ფეხზე წამოდგა (ძალა)	**Ayağı bu yerden kesildi-ფეხი ამოიკვეთა (აღარ მიდის)**	
Ayağı alıştı-ფეხი აუწყო (გაგება)	***Ayağına düştü-ფეხებში ჩაუვარდა (ხვეწნა)***	
Ayak basacak yer yok-ფეხის დასაბიჯებელი ადგილი არ არის (ხალხმრავლობა)	***Ayağı basmak-ფეხის დადგმა (მისვლა)***	
Ayağı düştü-ფეხი მოუხვდა (შევლა)	***Ayak kütüphane-მოძრავი ბიბლიოთეკა (მცოდნე)***	
Ayağı ile geldi-თავისი ფეხით მოვიდა (სურვილი)	***Ayakları geri geri gider-ფეხები უკან უკან რჩება (სურვილი)***	
Ayağı suya erdi-ფეხი წყალზე მიუწვდა (გონების განათება)	***Ayaklarını dikti-ფეხები გაფშიკა (სიკვდილი)***	
Ayağına bağ oldu-ფეხზე კვანძად ექცა (შეფერხება)	***Ayaklarını sürer-ფეხს ითრევს (სიზარმაცე)***	
Ayağına çelme taktı-კვანტი	***Ayaklarını yere basmiyor-***	

გამოსდო (წინაღობა)	***მიწაზე ფეხს არ ადგამს (სიხარული)***	
Ayağına kara su indi-ფეხებში შავი წყალი ჩაუდგა (მოხუცებულობა)		
Ayağına karpuz kabuğu koydu-ფეხქვეშ საზამთრო კანი დაუდო (შეფერხება)		
Ayağına kira ister-ფეხის ქირას ითხოვს (გასამსჯელო)		
Ayağına taş değdi-ფეხზე ქვა მოხვდა (წინააღმდეგობა)		
Ayağını diredi-ფეხი მიაჭირა (ჯიუტი)		
Ayağının altına aldı-ფეხქვეშ ამოლება (ცემა)		
Ayağının bağını çözdü-ფეხის კვანძი გაუხსნა-თავისუფლება)		*ხელ -ფეხი გაუხსნა*
Ayağının bastığı yerde ot bitmez-მის ნაფეხურზე ბალახი არ ამოდის (ბოროტება)		
Ayağınınpabucuolamaz-მის ფეხსაცმლად არ ივარგებს (შეუფერებელი)		
Ayağının pabucunu başına giydi-ფეხსაცმელი თავზე დაიხურა (თავი გაუყადრა)		
Ayağinin tozu ile-თავისივე ფეხის მტვრით (სისწრაფე)		

ფეხი მოძრაობის, წასვლა-მოსვლის, ენერგიულობის, შრომის წარმოსახვით სურათს გვიქმნის, თუმცა მრავალფუნქციური დატვირთვა აქვს ფრაზეოლოგიზმებში: ის ძალის, გაგების, ხვეწნის, სისწრაფის, გონების განათების, სურვილის გამომხატველია. მათ რიგებშია უარყოფითი ხასიათის ფრაზეოლოგიზმებიც, რომლებიც შეფერხებას, წინააღმდეგობას, სიჯიუტეს, ბოროტებას, ცემასა და მოხუცებულობას აღნიშნავს.

რაც შეეხება საერთო მაგალითებს: **ფეხი ამოიკვეთა, ფეხებში ჩაუვარდა და ფეხის დადგმა** ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე აქტუალური ერთეულებია, როგორც თურქული ასევე ქართული ენისათვისაც. ზოგი მათგანის წარმოშობა ისტორიულ ფაქტებთანაა დაკავშირებული, **დამპყრობლებისთვის ფეხებში ჩავარდნა** ერთგვარი ხვეწნა და მუდარა იყო მოსახლეობის მხრიდან, ხოლო **ფეხის დადგმა** ახლად დაპყრობილ ტერიტორიებზე შემოსვლასა და დასახლებას ნიშნავდა.

ტერფი

Tabanın altına takılır- ფეხსაცმლის ლანჩზე ეკრობა (არ სცილდება, კაბის კალთაზე ეკერება);

Tabanını teper- ფეხსაცმლის ლანჩს თელავს (ფეხით დიდხანს დადის);

Tabana kuvvet- ძალა ფეხს, ტერფს, როცა ფეხით სიარულის გარდა, სხვა გზა არ არის;

Tabanı (ayağı) yanmış gibi dolaşmak-ტერფ- (ფეხ) დამწვარივით სიარული-ერთ ადგილას რომ ვერ ჩერდება,სულ დადის;

Tabanları kaldırmak- ტერფის წამოწევა, სირბილით სიარული:

*Tabanları yağlamak- **ტერფების შეზეთვა:**1. შორ გზაზე წასასვლელად მზადება; 2. გაქცევა.*

თურქული „ტერფი“	**საერთო**	**<u>ქართული „ტერფი“</u>**
Tabanın altında takılır- ფეხსაცმლის ძირზე (ტერფზე) ეკრობა (დამოკიდებული)		
Tabanını teper-ტერფებს თელავს (სიარული)		
Tabana kuvvet-ძალა ტერფს		

(ფეხით სიარული)		
Tabanı yanmış gibi dolaşmak-ტერფ დამწვარივით სიარული (სიარული)		
Tabanları kaldırmak-ტერფის წამოწევა (სირბილი)		
Tabanları yağlamak-ტერფების შეზეთვა (გაქცევა)		

ტერფი, როგორც ფეხის შემადგენელი ნაწილი, პირველ რიგში მოძრაობასთანაა დაკავშირებული, თუმცაღა რადგან ფეხის ქვემოთა ნაწილია, რომლითაც მიწას ვეხებით, დამარცხებას, სხვაზე დამოკიდებულებას, ფეხქვეშ გათელვასაც გამოხატავს.

მკლავი

Kollarını açtı- ხელები გაშალა(სიხარულით შეხვდა);

Kollarını sıvadı- ხელები დაიკაპიწა(სამუშაოდ მოემზადა);

Koltuğuna sığındı- (სხვის) მკლავს შეაფარა თავი (სხვის კალთას ამოეფარა);

Kolu kanadı hiç tutmuyor-მკლავებს ვერ იმორჩილებს, ღონე ეცლება (ხელ-ფეხი არ ემორჩილება).

თურქული „მკლავი“	საერთო	ქართული „მკლავი“
Kollarını açtı-ხელები გაშალა (სიხარული)		
Kollarını sıvadı-ხელების		

დაკაპიწება (მზადება)		
Koltuğuna sığındı-მკლავს შეაფარა თავი (ამოფარება)		
Kolu kanadı hiç tutmuyor-მკლავებს ვერ იმორჩილებს (უღონობა)		ხელ-ფეხს ვერ იმორჩილებს

როგორც **ტერფი** ფეხისათვის, იგივეა მკლავი ხელისათვის მისი მნიშვნელობები: სიხარული, მზადება, უღონობა ძირითადად ხელს უკავშირდება და შესრულებულ მოქმედებებში ფიგურირებს სიტყვა **ხელი**, თუმცა თურქულ ენაში კონცეპტ **მკლავით** არის მოცემული. **მკლავთან** დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები დადებითი ხასიათისაა და შესაბამისად მნიშვნელობებსაც დადებით ემოციებამდე მივყავართ.

თმა

Saçı sakal birbirine karışmış- თმა და წვერი ერთმანეთში არეულა, თმა და წვერი გაუზრდია;

Saçı uzun aklı kısa- თმა გრძელი, ჭკუა მოკლე(ძველ დროში ჭკუის მხრივქალების მამაკაცებისაგან გასარჩევად გამოიყენებოდა);

Saçına ak düşmek- თმაში ჩავარდნა, გაჭაღარავების დაწყება;

Saçına başına (yaşına başına) bakmadan-თმის და ასაკის მიუხედავად, არსებული ასაკის შეუსაბამოდ ქცევა;

Saç saça baş başa geldiler- თმა თმას, თავი თავს სწვდა(იჩხუბეს);

Saç sakalını ağarttı- თმა და წვერი გაითეთრა (ერთ საქმეზე დიდხანს იმუშავა);

Saçından tırnağına- თმიდან ფრჩხილებამდე (მთლიანად თავიდან ფეხებამდე);

Saçını başını yolar- თმებს იგლეჯს, მწუხარებას გამოთქვამს (ასვეე გამოიყენება დამუქრების მიზნითაც, *„თმებს დაგაგლეჯ“);*

Saçını süpürge etti- თმა ცოცხად გაიხადა-საქმეს გადაჭყვა, თავდადებით იშრომა (წლებზე ფეხი დაიდგა).

თურქული „თმა“	საერთო	ქართული „თმა“
Saç sakal birbirine karışmış- თმა და წვერი ერთმანეთში არეულა (გარეგნობა)	**Saçından tırnağına-თმის ღერიდან ფრჩხილებამდე (მთლიანად)**	
Saçı uzun aklı kısa-თმა გრძელი ჭკუა მოკლე (უჭკუობა)		ჭკუამოკლე
Saçına ak düşmek-თმაში ჩავარდნა (მოხუცებულობა)		
Saçına başına bakmadan-თმის და ასაკის მიუხედავად (შეუსაბამოდ ქცევა)		
Saç saça baş başa geldiler- თმა თმას, თავი თავს სწვდა (ჩხუბი)		
Saç sakalını ağarttı- თმა და წვერი გაითეთრა (შრომა)		
Saçını başını yolar- თმებს იგლეჯს (მწუხარება)		
Saçını süpürge etti- თმა ცოცხად გაიხადა (შრომა)		სახეს იხოკავს
		წელებზე ფეხი დაიდგა

მოცემული მაგალითებიდან, როგორც ვხედავთ, უმეტესწილად ერთი ფრაზეოლოგიზმი არა ერთი, არამედ რამდენიმე სომატური ტერმინისგანაა შემდგარი,

რაც აორმაგებს მის დატვირთვასა და მნიშვნელობას. **თმა** რეალურ ცხოვრებაში გარეგნობას, მოხუცებულობასა და სილამაზეს ასახავს, ფრაზეოლოგიურ ერთეულებში აღნიშნულ მნიშვნელობებს ემატება **ქარაფშუტობა და შრომაც.**

წვერი

Sakalı değirmende ağartmış- წვერი წისქვილში გასთეთრებია (დაბერებულა, მაგრამ მაინც არაფერი იცის);

Sakalı ele verdi- წვერი ხელში მისცა (დამორჩილდა, დანებდა);

Sakalımı keserim-წვერს შევიჭრი, თავს დავდებ, დარწმუნებული ვარ (ნაძლევის დადება);

Sakalımı uzatsam değecek-წვერს თუ დავიგრძელებ, მისწვდება (ძალიან ახლოსაა);

Sakalımız yok ki-წვერი არ გვაქვს (არაფრად გვაგდებენ, პატარებად გვთვლიან);

თურქული „წვერი“	**საერთო**	**ქართული „წვერი“**
Sakalı değirmende ağartmış-წვერი წისქვილში გასთეთრებია (უცოდინრობა)		
Sakalı ele verdi-წვერი ხელში მისცა (დამორჩილება)		
Sakalımı keserim-წვერს შევიჭრი (ნაძლევი)		
Sakalımı uzatsam değecek-წვერს თუ დავიგრძელებ მიწვდება (სიახლოვე, მანძილი)		
Sakalımız yok ki-წვერი არ		

გვაქვს (ასაკი)		

საქართველოში ძველთაგანვე **წვერი** მამამაკაცის აღნაგობისა და გარეგნობის წარმოსაჩენი მთავარი ელემენტი იყო. *მკერდზე შავად დაფენილი წვერი..., წვერ-ულვაშით მოხდენილი..., თეთრი წვერი ამშვენებდა...* და სხვა მსგავსი წინადადებები სიმამაცესა და გარეგნობას ასახავდა.

თურქულ ენაში წვერთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები, ასაკთან, სირცხვილ-ნამუსსა და შერცხვენასთანაა დაკავშირებული, **უწვერო კაცი** შერცხვენილად ითვლებოდა. აღნიშნული მიდგომა იდენტურია ქართული კულტურული სინამდვილისა.

ულვაში

Bıyığını sildi-ულვაშები ჩამოიწმინდა (არ ჩაერია განზე გადგა);

Bıyık altından güler-ულვაშებში იცინის (ჩუმად დასცინის);

Bıyıklarını balta kesmez- ულვაშს ნაჯახი არ უჭრის, მედიდურია, ამაყობს (ცხვირზე ბუზს არ ისვამს);

Bıyığı terlemek- ულვაშის გაოფლიანება, ულვაშის ახლად ამოსვლა, ვაჟკაცობაში ფეხის შედგმა.

Bıyıklarını ele aldı- ულვაში ხელში დაიჭირა (დავაჟკაცდა).

თურქული „ულვაში“	**საერთო**	**<u>ქართული „ულვაში“</u>**
Bıyığını sildi-ულვაშები ჩამოიწმინდა (განზე გადგომა)	**Bıyık altında gülür-ულვაშებში სიცილი (დაცინვა, ჩუმად სიცილი)**	

Bıyklarını balta kesmez-ულვაშებს ნაჯახი არ უჭრის (სიამაყე)		
Bıyığı terlemek-ულვაშის გაოფლიანება (დავაჟკაცება)		
Bıyıklarını ele aldı-ულვაში ხელში დაიჭირა (დავაჟკაცდა)		

ქართულში არსებული გამონათქვამი **„კაცი ვარ და ქუდი მხურავს“** შეგვიძლია გავუთანაბროთ თურქულ ენაში არსებულ გამოთქმას: „კაცი ვარ და ულვაში მაქვს“. სიტყვა **ულვაში**, როგორც თურქული, ასევე ქართული ტრადიციებისა და კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

თმა, წვერი და ულვაშიც სომატური ფრაზეოლოგიზმების კომპონენტებია. ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე **წვერ-ულვაშს** კულტუროლოგიური დატვირთვა აქვს, სინდის-ნამუსის აღმნიშვნელია, ეს კულტურული გადმონაშთი თურქული კულტურისათვის დღემდე აქტუალურია. მაგ: ***„წვერს შევიჭრი,-“*** მსგავს ფრაზეოლოგიურ ერთეულს მამაკაცი მაშინ იყენებს, როცა რაღაცაში დარწმუნებულია, საკითხი, რომელსაც ამტკიცებს, იცის, რომ აქსიომაა, იმდენად დარწმუნებულია, წვერის შეჭრასთან აიგივებს (წვერის შეჭრა დიდი სირცხვილია).

სომატური ფრაზეოლოგიზმების ჩამონათვალი და მათი კონცეპტუალური ველები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ, როგორც რელიგიური, ასევე კულტუროლოგიური თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავებულ ორ ქვეყანას, ბევრი მსგავსებაც მოეპოვება. დროისა და ტრადიციების ცვლამ ზემოხსენებულ მსგავსებას ვერაფერი დააკლო, ამის დასტური კი დღევანდელ ლექსიკონებში არსებული მსგავსი ერთეულების რაოდენობაა.

2.2. თურქული და ქართული ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებითი ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი

ენის შესწავლა კულტურის ისტორიასთან კავშირში კვლავაც აქტუალურ ამოცანად რჩება, ზემოხსენებული პირდაპირ კავშირშია ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევით სფეროსთან, ვინაიდან ის შეისწავლის ენის კავშირს კულტურასა და ისტორიასთან. აღნიშნული ქვეთავი ეთმობ ქართული და თურქული ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებას. ორივე ენას მეტად საინტერესო განვითარების ეტაპები აქვს, ამიტომაც დიდი ყურადღება ეთმობა ენის განვითარებასა და მის ინტერდისციპლინურ კვლევას. სწორედ ამიტომ ქართული და თურქული ენის სომატურ ფრაზეოლოგიზმთა ანალიზი, მათი შეპირისპირება ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესო შედეგებს მოგვცემს, ამას ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი კვლევის შედეგები.

ნაშრომში ქართული და თურქული ენის სომატური ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებით კვლევის დროს გამოვყავით სამი ვარიანტი: პირველი ის ფრაზეოლოგიზმებია, რომლების სტრუქტურაც და მნიშვნელობაც იდენტურია როგორც ქართულ, ასევე თურქულ ენაში. მეორე- როცა სტრუქტურულად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, თუმცა ქართულ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში მოგვეპოვება შესატყვისი ერთეული, ხოლო მესამე ვარიანტს მიეკუთვნება ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომელთაც შესატყვისი არ მოეპოვება და ზუსტი მნიშვნელობით ვერ ითარგმნება. ძირითადად ასეთი ფრაზეოლოგიზმებში ასახულია კულტურული და ეროვნული რეალიები.

იდენტური ფრაზეოლოგიზმები:

- *კაცად აქცია- Adam etti;*
- *ფეხები უკან-უკან რჩება- Ayakları geri geri gider;*
- *თავის მოსაფხანად არ სცალია- Başını kaşımaya vakti yok;*
- *ძვალი და ტყავი დარჩა- Deri kemik kaldı;*
- *ენა გადაყლაპა- Dilini yuttu;*
- *ენის წვერზე ადგას- Dilinin ucundan oluyor;*
- *ხელიდან წავიდა- elden gitti;*

- *ხელ-ფეხი შეკრული აქვს- Elı ayağı bağlıdır;*
- *გულიდან ამოღება- Gönlünden çıkarmak;*
- *გულში ჩავარდნა- Kalbine düşmek;*
- *ყურებამდე გაწითლება- Kulaklarına kadar kızamrmak;*
- *გონებისმოკრება- Zihnini toplamak;*
- *გასაგებენაზე საუბარი-anladığı dille konuşmak;*
- *ცხვირის წინ-burnunun dibinde;*
- *დანა პირს არ უხსნის-bıçak açmamak;*
- *ზურგის ქცევა- sırt çevirmek;*
- *ჭკუა დააკარგვინა- Aklını başından almak;*
- *ვირზე უკუღმა შეჯდომა-eşeğe ters bindirmek;*
- *თავის მოსაფხანი დროის არქონა-başını kaşıyacak vakti olmamak;*
- *ეკლებზე ყოფნა-diken üstünde durmak;*
- *გულღია-açık kalpli;*
- *მშიერ-მწყურვალი დარჩენა-aç susuz kalmak;*
- *სულის მიცემა-can vermek;*
- *სულის ამოსვლა- can çıkmak;*
- *გულში შევიდა/ გულში ჩაუვარდა- kalbıne girdi/ kalbıne düştü;*
- *ბედი გაეხსნა/ ბედი ფეხთან მოვიდა- kısmeti açıldı/ kısmetı ayağına geldi;*
- *მარცხნიდან ადგა/ მარცხენა მხრიდან ადგა- Solundan kalktı /Sol tarafından kalktı.*

ზემოთ მოყვანილი ფრაზეოლოგიზმები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ჯგუფისა, რომლებიც წარმოდგენილია ერთი და იმავე კომპონენტებით, როგორც ქართულ ენაში ასევე თურქულში ისინი ერთსა და იმავე სიტუაციაში გამოიყენება.

ეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმები:

სიტყვათა წყობა და მნიშვნელობა განსხვავდება, თუმცა ქართულში გვაქვს შესატყვისი, რომელიც მსგავს, ტიპურ სიტუაციაში გამოიყენება).

- *Cehenneme kadar yolu var- ჯოჯოხეთამდე აქვს გზა (ჯანდაბამდე გზა ჰქონია);*
- *Çıktı dokuza inmez sekize- ავიდა ცხრაზე, არ ჩამოვა რვაზე (ვირზე შეჯდა, გაჯიუტდა);*
- *Devede kulak- აქლემზე ყური (ზღვაში წვეთი);*
- *Gözde kaş arasında- თვალსა და წარბს შორის (თვალს და ხელს შუა);*
- *Ak mı kara mı, önüne düşünce görürsün (თეთრია თუ შავი, მაგას შემდეგში დაინახავ)-ურემი რომ გადატრიალდება, გზა მერე გამოჩნდება;*
- *Al birini, çarp ötekine (აიღე ერთი, დაარტყი მეორეს)-ერთი მისცხე, მეორე მიტყეპე;*
- *Arka arkaya vermek (ზურგისზურგზე მიცემა)-მხარის მხარზე მიცემა;*
- *Tası tarağı topladı (თასი და სავარცხელია ალაგა)- გუდა-ნაბადი აიკრა;*
- *Tenekesini eline verdi (ბიდონი ხელში მისცა) გარგი-ბარხანა აუკრა;*
- *Toprağa bakar (მიწასუყურებს)- ცალი ფეხი სამარეში აქვს;*
- *Yedisinden yetmişine kadar (შვიდიდან სამოცდაათამდე)- ფრჩხილიდან თმის ღერამდე;*
- *Bir iğne bir iplik kaldı (ნემსი და ძაფი დარჩა)- ჩონჩხივით იქცა, ყბა-ყბაში გასდის;*
- *Çalmadan oynar (დაუკრავად ცეკვავს)- სიხარულისგან მეცხრე ცაზეა;*
- *Çorbada tuzu bulunur (წვნიანში მისი მარილია)- საქმეში მისი ხელი ურევია;*
- *Çukura düştü (ორმოში ჩავარდა)- მახეში გაება.*

უთარგმნელი ფრაზეოლოგიზმები (ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომლების შესატყვისი არ მოგვეპოვება ქართულ ენაში) განმასხვავებელ ნიშნებსა და მნიშვნელობებს ძირითადად ეროვნული, ტრადიციული და რელიგიური ლექსიკა განაპირობებს. ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები ძირითადად რელიგიური ლექსიკითაა გაჯერებული.თითოეულ მათგანს ენაში დამკვიდრების ისტორია გააჩნია.

ვინაიდან ასეთი ფრაზეოლოგიზმების პირდაპირი თარგმანი არაფრისმთქმელია, მნიშვნელობის გასაგებად თანდართული აქვს მოკლე ახსნა-განმარტებითი ტექსტი.

უთარგმნელი ფრაზეოლოგიზმების მაგალითებია:

- *Onun ruhuna ezan okuyor- მის სულისთვის ეზანს კითხულობს (მამულია, 2006: 73). ეს ფრაზეოლოგიზმი, თურქი ხალხისათვის დამახასიათებელი, რელიგიის, ისლამის ელემენტებს შეიცავს და ნიშნავს, საქმეს აფუჭებს, აზარალებს;*
- *Abdesi bozmak- აბდესის მოშლა, რაც არასასიამოვნო სიტუაციაში საწყენი ამბების მოსმენას ნიშნავს (აბდესი, ლოცვის დაწყებამდე განბანის რიტუალია);*
- *Sen derdini Marko Paşaya anlat- შენ დარდი მარკო ფაშას უამბე,* იგივეა რაც არავის ედარდები, შენი დარდი არავის აინტერესებს (მარკო ფაშა ძველი დროის ცნობილი ექიმი ყოფილა, რომელიც პაციენტების მკურნალობასთან ერთად, დიდი მოთმინებით გამოირჩეოდა, შეეძლო საათობით ესმინა, მათი გასაჭირის შესახებ და ყოველთვის ცდილობდა ყველას დახმარებას, აქედან დამკვირდა ეს ფრაზეოლოგიზმიც, თუ შენი გასაჭირი არავის ადარდებს, იტყვიან, რომ მას მხოლოდ მარკო ფაშა მოისმენს);
- *Ahpeş keçi gibi kafasını sallıyor-აჰფეშის თხასავით თავს იქნევს* – არაფერი გაეგება და ისე ეთანხმება (გადმოცემის თანახმად აჰფეში არაბი ენათმეცნიერი იყო, რომელმაც „თხას წერა-კითხვა ასწავლა“).
- *Kadir gecesinde doğmuş- ყადირის ღამეს დაბადებული (მამულია, 2006:179), ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული* (ცნობების თანახმად, ყადირის ღამე ყველაზე ძვირფასი ღამეა მუსლიმთა სამყაროში, ამ დროს ოთხი ანგელოზი ჩამოდის დედამიწაზე და ყველანაირი კარგი რამ ხდება);
- *Cami yıkılmış, fakat Mihrabi yerinde- მეჩეთი დანგრეულია, მაგრამ მიჰრაბი ადგილზეა.* რაც დროც უნდა გავიდეს, ისევ ისეთია, დრო ვერაფერს

აკლებს, არ იცვლება (იტყვიან ისეთ ქალზეც, რომლის სილამაზე ასაკთან ერთად არ იცვლება და ისევ ისეთი ლამაზი რჩება);

- *Sarı çizmeli mehmet ağa- ყვითელჩექმებიანი მეჰმეთ აღა,* ვინაობა გაურკვეველი, უცნობ ადამიანზე ითქმის;
- *Çapanoğlunun abdest suyu gibi- ჩაპანოღლუს აბდესის წყლის მსგავსი.* უგემური, შესახადავად ცუდი, არასწორად მომზადებული დასალევი (ჩაპანოღლუ ძველი დროის მხატვარი ყოფილა, რომელსაც ხელები ყოველთვის საღებავით ან მელანით ჰქონდა დასვრილი, აბდესის აღების დროს საჭიროა, ხელების, ფეხების და პირის დაბანა) მის თასში დარჩენილი წყალი ყოველთვის ამღვრეული ან შავი იყო, აქედან დაედო დასაბამი აღნიშნულ ფრაზეოლოგიზმსაც);
- *Eli kulağında-ხელი ყურზე,* ახლო მომავალში მოსახვედრი რაიმე ამბავი, წუთი წუთზე მოსახვედრი რაიმე;
- ძველი დროიდან, კარგი ხმის პატრონი ბილალი ეზანის კითხვას რომ დაიწყებდა, იქვე მყოფი ბავშვები ხმაურობდნენ, ყველანაირი გზით ცდილობდნენ, რომ გადაეფარათ ეზანის ხმა. ამ დროს ბილალს ხელები ყურებთან მიუტანია და ისე დაუმთავრებია ეზანის კითხვა. იმ დროიდან მოყოლებული დღესაც ლოცვის დაწყებამდე ხელებს ყურებთან მიიტანენ და რამდენიმე წამში ეზანიც იწყება;
- *Elifi görse, mertek sanmak-ელიფი დაინახოს მერტეკი (საყრდენი ბოძი)* ეგონება (Elifi görse, mertek sanmak) წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანის მიმართ გამოიყენება (ელიფი არაბული ანბანის პირველი ასობგერაა, იწერება როგორც ჩვეულებრივი სწორი ხაზი, ხოლო მერტეკი (დირეღი) ძველი სახლების, ქოხების ძირითად საყრდენ ბოძს ეწოდება, რომელიც ასევე სწორი ფორმისაა, წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანის მიმართ სწორედ ამ ფრაზეოლოგიზმს გამოიყენებენ.

ამდენწლიანმა ურთიერთობამ თავისი კვალი ენაშიც დატოვა და გამოიწვია მათი ინტერფერენცია, ერთგვარი „შერევა“. ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმები, ძირითადად მთიან აჭარაშია შემორჩენილი, სადაც ჯერ კიდევ აღმოსავლური კულტურის კვალი შეინიშნება:

- *ყუსურზე არ დამიხედო; სულის სიმწარით სიტყვის დაკავება; თვალიდან ჩამოგდება; ეზიეთის მიცემა; ენაზე მოსვლა; ხათრის გატეხა;*

*ეს ფრაზეოლოგიური ერთეულები ერთგვარ **კალკად** (სიტყვა ან გამოთქმა ,რომელიც აგებულია სხვა ენის სიტყვის ან გამოთქმის მიხედვით) ითვლება.*

თურქული ენის კალკია İleri geri konuşur- წაღმა-უკუღმა ლაპარაკობს (მამულია, 2006:169).

სამხრულ კილოებში ასევე ფართოდაა გავრცელებული: ხებერი არ აქვს- არაფერი იცის, არაფერი არ გაეგება (haber-ამბავი, ცნობა, შეტყობინება).

კალკურია გაბრაზების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმი Hışmına uğradı- ხიშმი ჭამა (Püsküllüoğlu, 2006: 449).

დასტურდება ასევე კალკები: ყაფა/ხაპერი საქმობს, იგივეა რა თავი უმუშავებს kafası işler (მამულია, 2006:176).

თურქული ენიდან ქართულ ენაში შემოსული და დამკვიდრებული ეგრეთწოდებული კალკების გამოყენების არეალი მცირეა, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაც დონეზე მაინც იკვეთება ენაში, ეს ფაქტი ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის თვალსაზრისით ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანია.

„თანამედროვე ლინგვისტიკაში მეტად აქტუალურია კულტურათშორისი კომუნიკაციების კვლევა. ამ უკანასკნელის მიღწევა კი სხვა ენასთან შედარების გარეშე შეუძლებელია. თანამედროვე მსოფლიო პროცესები და უშუალო მეზობლობა განაპირობებს ქართველი და თურქი ხალხების მზარდ ინტერესს კულტურათა დიალოგისადმი“ (ცეცხლაძე, 2018:217).

შუბლი, თვალი, წარბი, ცხვირი, ყური, ტუჩი, კბილი, ენა, ყბა, ის სხეულის ნაწილები, რომლებიც *თავზეა* განლაგებული, ადამიანის ემოციებს გადმოგვცემს და გამოიყენება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაციით.

თმა, წვერი, ულვაში: სიბერესთან, ასაკსა და, რაც ყველაზე მთავარია, რელიგიურობასთან არის დაკავშირებული, **წვერის და ულვაშის ტარება** კულტურული მენტალიტეტის გამომხატველი ფაქტებია.

ხელი, თითი, ფრჩხილი შრომასთან, შერიგებასთან, დამოკიდებულებასთან, ადამიანის ფასსა და ღირებულებასთან დაკავშირებულ მნიშვნელობებს გადმოგვცემს.

ფეხი, ტერფი, მუხლი: შრომა, მანძილი, ასაკის გამოხატულება აქაც იკვეთება, რაც იდენტურია ქართული ფრაზეოლოგიზმებისა: *მუხლებში ძალა, მუხლის მოკვეთა,* რაც ყველაზე საინტერესოა ფეხების მუხლების და კალთის დაკოცნა. ისინი დიდი პატივისცემის გამომხატველია, რაც არც ქართული ეროვნული სულისა და ენისათვისაც არის უცხო.

სომატური ფრაზეოლოგიზმები იმდენად მრავალფეროვანი და საინტერესო მნიშვნელობების შემცველია, შეიძლება ითქვას, რომ ამომწურავად გამოხატავს ემოციებსა და გრძნობებს. მათ ჩამონათვალს რომ დაემატოს კონცეპტი **გული,** რომლის გარეშეც სიყვარულისა თუ სხვა ემოციისა და შეგრძნების გამოხატვა შეუძლებელია, მაშინ სრულიად ამომწურავი იქნება მოცემული გრძნობებისა და ემოციების გამოხატულება, იმ ყველაფრის გადმოცემა, რაც შინაარსობრივად ეკისრება ფრაზეოლოგიურ ერთეულებს.

თავი III. სომატური ფრაზეოლოგიზმების თარგმნის ასპექტები

3.1.ენის ინტერნაციონალიზაციის ასპექტები სალექსიკონო მასალის ანალიზის საფუძველზე

ენებისა და კულტურების ერთმანეთთან კავშირი საფუძვლად ედება ინტერფერენციას, ერთგვარ შერევას, ანუ ორმხრივ მიგრირებას. ეს ფაქტი -მშობლიური სიტყვის ჩანაცვლება უცხოენოვანით განსაკუთრებით იკვეთება სასაუბრო ენაში.

სხვა ენებთან შედარებით, თურქული ენის მდგომარეობა ამ პრობლემის თვალსაზრისით განსხვავებულია. დღეს, როდესაც ენათა უმრავლესობისათვის ენის ინტერნაციონალიზაცია დადებით მოვლენად მიიჩნევა, თანამედროვე თურქი ლინგვისტები თითქმის ერთხმად აღნიშნავენ, რომ ენის ინტერნაციონალიზაცია უარყოფით გავლენას ახდენს თურქულ ენაზე, რადგან ამან შეიძლება ენის დასუსტება და შემდგომში გადაგვარება გამოიწვიოს.

„როცა ენისშესახებ ვსაუბრობთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თურქეთს დღეს მძიმე პერიოდი უდგას, ხალხი დაღლილია, უიმედოა, ამდენი ახალგაზრდა უმუშევარია, ათათურქის მიერ ჩამოყალიბებული ეს სახელმწიფო დიდი საშიშროების წინაშედგას. როგორც ცნობილი გემის, „ტიტანიკის“ ჩაძირვა შეუძლებლად მიაჩნდათ და მაინც ჩაიძირა, იმავე მდგომარეობაშია დღეს თურქული ენაც, რა თქმა უნდა, თურქეთი ამ ეტაპს გადალახავს, თუმცა ამ სირთულის კვალი დიდხანს დარჩება“ (Karaveli, 2012 :23-32).

თურქულ შიდაენობრივ ლექსიკონში (2011) მოცემული მასალის ანალიზის შედეგები შემდეგი დასკვნის სახით განვაზოგადეთ: ლექსიკონი მრავლად მოიცავს ინტერნაციონალურ ლექსემებს. ეს ის ლექსემებია, რომელთა გამოყენების სიხშირე საკმაოდ მაღალია თურქულ ენაში. მეტიც, მათ უკვე ლექსიკონებში ჰპოვეს ასახვა. აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ უცხოენოვანი ფუძეებიდან თურქულ ენაში ახალი სიტყვები წარმოიქმნა და ისინი უკვე ძირეულ თურქულ სიტყვებად მიიჩნევა.

თანამედროვე სამყაროში თურქული ენა, ისევე როგორც ბევრი სხვა, განიცდის გლობალიზაციის ძლიერ გავლენას, რის შედეგადაც იგი სახეს იცვლის. ინტერნაციონალიზაციის პროცესი იმდენად მძლავრი და სწრაფია, რომ მისი შეჩერება პრაქტიკულად შეუძლებელია თუმცა, თანამედროვე თურქული ენათმეცნიერება და თანამედროვე თურქული საზოგადოება მცდელობას არ აკლებს, წინ აღუდგეს ამ პროცესს და თუ ვერ შეწყვეტს, შეაჩეროს, შეასუსტოს მაინც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ენის ჭარბი ნაციონალიზაციაც მისი განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს.

თურქული ანბანი შედგება 28 ასო-ბგერისაგან (29 ასობგერა რბილი ღ (Ğ)-ის დამხმარე ასობგერას წარმოადგენს, ამიტომ ჩვენს სტატისტიკაში არ შედის) ჩვენ ლექსიკონიდან შევარჩიეთ პირობითად ასობგერა **„უ“.** რიცხობრივად ამ ასობგერაზე არსებული სიტყვების რაოდენობა **194** შეადგენს, შევეცადეთ გაგვეკეთებინა ანალიზი, თუ რამდენი სიტყვა იყო თურქული და რამდენი უცხოური, აქედან გამომდინარე, მივიღეთ დასკვნა, თუ მთლიანი რაოდენობის რამდენ პროცენტს შეადგენდა უცხოური სიტყვები.



ენათმეცნიერების აზრით, თუ ძველ დროში სასაუბრო და სალიტერატურო ენის ძირითად შემადგენელ ელემენტებს ფრაზეოლოგიური ერთეულები შეადგენდა, დღეს ეს სტატისტიკა შეცვლილია, მათ ნაცვლად გაუცხოებული,სხვა ენიდან აღებული სიტყვები

გამოიყენება, თანამედროვე კომუნიკაცია დამყარებულია ინტერნაციონალურ ლექსიკონზე, რაც ასუსტებს ადამიანებს შორის ენობრივ კავშირს. ამ დროს იკარგება მათი „მშობლიურობა“.

შიდაენობრივ ლექსიკონზე დაკვირვების და მისი დამუშავების შედეგად მიღებული შედეგი შემდეგია: თურქული, ისევე როგორც ბევრი სხვა ენა, განიცდის გლობალური პროცესების ძლიერ გავლენას და შედეგად იგი სახეს იცვლის. ინტერნაციონალიზაციის პროცესი იმდენად მძლავრი და სწრაფია, რომ მისი შეჩერება პრაქტიკულად შეუძლებელია. თუმცა თანამედროვე თურქული საენათმეცნიერო საზოგადოება ცდილობს პროცესის შესუსტებას, თუმცა, როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ენის ჭარბი ნაციონალიზაციაც ენის განვითარების შემაფერხებლად შესაძლებელია იქცეს.

3.2. თარგმანის რაობა

იმდენად რამდენადაც ჩვენს ნაშრომში ერთ-ერთ მიზნად ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის სირთულეებისა და მათი დაძლევის გზების კვლევა დავისახეთ, აღნიშნული ქვეთავი სწორედ თარგმანის რაობის წარმოჩენას მიეძღვნა.

თარგმანი (ებრ.-განმარტება) ზოგადად და მარტივად, არის აზრის ტრანსფერი, ტრანსლაცია (ლათ.-გადატანა) ერთი ენიდან მეორეზე. როდესაც ზოგადად თარგმანზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება ორი ან მეტი სხვადასხვა უცხო ენიდან აზრის გადატანა, სწორი ფორმით, ისე, რომ არ დაირღვეს გადმოსაცემი აზრის სისწორე. თარგმანი დღესდღეობით აუცილებელია თითოეულ დარგსა და პროფესიაში. თარგმანის აუცილებლობაზე საუბრისას დროს ბაბილონის გოდლის მშენებლობის შედეგი შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითად.

„თარგმანის მიზანია, გაუგებარი გასაგები გახადოს. ასეთ შემთხვევაშიც თარგმანის ხასიათი იმაზეა დამოკიდებული, თუ რის გაგებინებას ცდილობს

მთარგმნელი – განწყობის, ფორმის, აზრის, ან – რაა აზრი – პირდაპირი მნიშვნელობა, გადატანითი, სიმბოლური... თუ ყველაფერი ერთად?“ (ხარანაული, 2014: 1-11).

შესაბამისად ამა თუ იმ ტექსტის თარგმნის დროს მნიშვნელობა ენიჭება სათარგმნი ტექსტის ფორმატს, თუ რა სახით გადადის ერთი სიტყვიერი ენიდან აზრი მეორე ენაში, განირჩევა თარგმნა და თარჯიმნობა.

,,თარგმნა არის ამოსავალ ენაზე ფიქსირებული და, შესაბამისად, განმეორებადი და ხელმისაწვდომი ტექსტის გადატანა თარგმანის ენაზე ტექსტად, რომელიც შესაძლებელია გაკონტროლდეს და შესწორდეს.

თარგმნის, როგორც პროცესის, აღწერის დროს აზრები იყოფა, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს თვით თარგმანი. ერთნი თვლიან, რომ ის ხელოვნებაა, ხელობაა და მის შესწავლას არ შეიძლება რაიმე თეორია გააჩნდეს, მეორენი კი, რომელთაც თეორია პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით აინტერესებთ, თვლიან, რომ თარგმანი მეცნიერებაა.

„თარგმანის ხასიათს განაპირობებს მთარგმნელის დამოკიდებულება დედანთან და ის დანიშნულება, რომელსაც მთარგმნელი უსახავს თარგმანს“ (ხარანაული,2014:3).

და მაინც რა შეგვიძლია ვთქვათ იმის შესახებ თუ როგორი შეიძლება იყოს თარგმანი? უხეშად რომ ვთქვათ, თარგმანი შეიძლება იყოს სიტყვასიტყვითი და თავისუფალი, ბწკარედი, მაქსიმალური ფორმალურ-სემანტიკური ეკვივალენტურობის დაცვით, კომენტირებული თარგმანი- გადამუშავებული. თარგმანის ტიპი განისაზღვრება სათარგმნი სეგმენტის სიდიდით, რაც უფრო დიდია სათარგმნი სეგმენტი, მით უფრო თავისუფალია თარგმანი.

„თარგმანის თეორიის განვითარების ისტორია თითქმის უახლეს დრომდე უდავოდ მოწმობს, რომ მიუხედავად არაერთი საგულისხმო და ღირებული ნააზრევისა, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალურობა, თარგმანის ფენომენი ბოლო დრომდე, მოკლებული იყო ღრმა მეცნიერულ შესწავლას. უფრო მეტიც, მოვლენებს არ ეძლეოდა ზუსტი მეცნიერული კვალიფიკაცია, დამახასიათებელი იყო

ტერმინოლოგიური ეკლეტიკა (რაც ამჟამად იჩენს თავს ხოლმე თეორიულ ნაშრომებში), არ იყო დადგენილი თარგმანის შემსწავლელი დარგის საზღვრები, მისი კავშირის ხასიათი მონათესავე დარგებთან ან მათგან განმასხვავებელი ნიშნები“ (საყვარელიძე, 2001, 3: 12).

თარგმნის ფენომენი დიდი ხანია იზიდავს ენათმეცნიერთა, ფსიქოლოგთა, ლიტერატურათმცოდნეთა და ეთნოგრაფთა ყურადღებას. თარგმანის თეორიას ერთონილინგვისტიკის ქვედარგად მიიჩნევენ, მეორენი- ლიტმცოდნეობის განაყოფად. ეს გარემოება სავსებით ბუნებრივია, რადგან მეცნიერება თარგმანის შესახებ თავისი მეთოდოლოგიით პირველ რიგში და კავშირებულია სწორედ ამ დისციპლინებთან. თარგმანის თეორიასთან არაცალსახა მიდგომა დღესაცაა დამახასიათებელი. არის ასევე მისი გაიგივების ცდები შეპირისპირებით ლინგვისტიკასთან, ერთი მხრივ, და შეპირისპირებით ლიტერატურათმცოდნეობასთან, მეორე მხრივ. ყოველივე ამის ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ თარგმანის თეორია და განსაკუთრებით მისი ერთ-ერთი სახეობა- მხატვრული თარგმანის თეორია, ინტერდისციპლინური ხასიათისაა და ბუნებრივია, რომ სარგებლობს როგორც ერთი, ასევე მეორე დარგის ცნებითი აპარატით, კვლევის მეთოდებითა და ტერმინოლოგიით.

პიერ ფრანსუა კაიემ, თარგმანის ცნობილმა თეორეტიკოსმა, მე-20 საუკუნეს „თარგმანის საუკუნე“ უწოდა და დაუპირისპირა იგი მე-19 საუკუნეს, როგორც „ორიგინალური ლიტერატურისას“.

„თარგმნის პროცესის ანალიზი, რომელსაც გვთავაზობენ პრაქტიკოსი მთარგმნელები „ნაკლებჰიპოთეტური შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე იმ თეორეტიკოსებისა, რომლებიც მთარგმნელის ქმედებას მხოლოდ „საწყისი“ და „საბოლოო„ ტექსტის საფუძველზე იკვლევენ, ვინაიდან ყველაზე უკეთ მთარგმნელმა შეიძლება აღწეროს ენათშორისი ტრანსფორმაციების ის გზა, რომელმაც მიგვიყვანა საბოლოო ტექსტამდე“ (საყვარელიძე, 2001:5).

ძირითადი თეზისი, რომელსაც ემყარება წინამდებარე გამოკვლევა, ისაა, რომ თარგმანი არამარტო ენათშორისი კომუნიკაციის აქტი, არამედ კულტურათშორისი კომუნიკაციის დამყარების საშუალებაცაა.

3.3. ეროვნულ-კულტურული თავისებურებების ამსახველი ფრაზეოლოგიზმები თურქულში და მათი ქართული ეკვივალენტები

ლინგვოკულტუროლოგია, როგორც ცნობილია, ენისა და ადამიანის, ენისა და კულტურის კავშირებს იკვლევს. ფრაზეოლოგიურ ერთეულებში კულტუროლოგიური და ეროვნული ნიუანსები იმდენად თვალსაჩინოა, რომ აღნიშნული ქვეთავი ეროვნულ-კულტურული თავისებურებების ამსახველ ფრაზეოლოგიზმებსა და მათ კვლევას მიეძღვნა. მხედველობაში გვაქვს კონკრეტული ეთნოსის, რელიგიისა და კულტურის ამსახველი ტერმინოლოგიით შედგენილი ერთეულები, რომელთა ეკვივალენტის მოძიება სათარგმნ ენაში შეუძლებელია. თარგმნისას, ბუნებრივია, აუცილებელია ფონური ცოდნის გათვალისწინება, რომელიც გაიგება, როგორც მოლაპარაკისა და მსმენლის ერთობლივი ცოდნა, რომელიც ენობრივი ურთიერთობის საფუძველს შეადგენს. ფონური ცოდნა და კულტურათშორისი მედიატორის არსებობა საჭიროა თარგმანის დროს, სწორედ ისეთი ერთეულების თარგმნისას, როგორებიცაა ფრაზეოლოგიზმები. მთარგმნელს ამ შემთხვევაში ორმაგი მოვალეობა ეკისრება. იმის გარდა, რომ უნდა თარგმნოს მოცემული ერთეული, ამავდროულად უნდა მოძებნოს ისეთი შესატყვისი, რომელიც ცნობილია და მოიპოვება იმ ენაზე, რომელზეც უნდა ითარგმნოს აღნიშნული ერთეული, ხოლო თუ შესატყვისი ვარიანტიც არ მოგვეპოვება, „უთარგმნელ“ ფრაზეოლოგიზმს თანდართული უნდა ჰქონდეს შესაბამისი ახსნა-განმარტება.

„ფრაზეოლოგიზმი არის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კონცეპტუალური სისტემის, ეროვნული სამყაროს კულტურული ხატი. მისი შინაფორმით მარკირებული ტრადიციული ყოფის ყველა სფერო.ფრაზეოლოგიზმები ჩნდება მაშინ, როცა აღმნიშვნელი კარგავს პირდაპირ კავშირს აღსანიშნთან და ახალ

აღსანიშნს გამოხატავს. საქმე ისაა, რომ ე.წ. ხატოვანი გამოთქმა ხატოვნების ფუნქციით გვიან აღიჭურვება ხოლმე. თავდაპირველად მას სავსებით ზუსტი და პირდაპირი დანიშნულება ჰქონდა: უშუალოდ გამოხატავდა ფაქტს, მოვლენას“ (ჯორბენაძე, 1997:89).

ჩვენ მოვიყვანეთ „კულტურულ-რელიგიური“ ფრაზეოლოგიზმების რამოდენიმე მაგალითი, რომლებიც მიკროუნივერსალიას წარმოადგენენ, რომელსაც არ მოეპოვება შესატყვისი სხვა რომელიმე ენაზე თარგმანის დროს. რომელიც ისევ და ისევ კულტურის სხვაობის მანიშნებელია, გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობა,ხასიათი და ჩვეულება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტულად ამ ენისათვის იყოს ამ მნიშვნელობით გასაგები:

- *Gözleri fal taşı gibi açıldı- თვალები სამკითხაო ქვასავით გაეხსნა (გაოცდა, თვალები შუბლზე აუვიდა)* (მამულია, 2006:249);
- *Koyunun kaval dinlediği gibi dinliyor-ისე უსმენს, როგორც ცხვარი სალამურს (არაფერი ესმის, არაფერი გაეგება (მამულია, 2006:205);*
- *Fırıncının küreği gibi uzun dili var-მეფურნის ნიჩაბივით ენა აქვს (გრძელი ენა აქვს (მამულია, 2006:123);*
- *Dut yemiş bülbüle dönmek-თუთანაჭამ ბულბულს დაემსგავსა (Dut yemiş bülbüle dönmek)- გაჩუმება, დადუმება (მამულია, 2006:100);*
- *Onun ruhuna ezan okuyor- მის სულისთვის ეზანს კითხულობს (მამულია, 2006: 73).*

ეს თურქული ფრაზეოლოგიზმი რელიგიის, ისლამის ელემენტებს შეიცავს ნიშნავს, საქმეს აფუჭებს, აზარალებს;

- *Abdesi bozmak- აბდესის მოშლა არასასიამოვნო სიტუაციაში საწყენი ამბების მოსმენას ნიშნავს (აბდესი ლოცვის დაწყებამდე განბანის რიტუალია);*

- *Kadir gecesinde doğmuş- ყადირის ღამეს დაბადებული (მამულია, 2006:179), ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული (ცნობების თანახმად, ყადირის ღამე ყველაზე ძვირფასი ღამეა მუსლიმთა სამყაროში, ამ დროს ოთხი ანგელოზი ჩამოდის დედამიწაზე და ყველანაირი კარგი და დადებითი ხდება);*

- *Cami yıkılmış, fakat Mihrabı yerinde- მეჩეთი დანგრეულია, მაგრამ მიჰრაბი ადგილზეა. რაც უნდა დრო გავიდეს, ისევ ისეთია, დრო ვერაფერს აკლებს, არ იცვლება (იტყვიან ისეთ ქალზეც, რომლის სილამაზე ასაკთან ერთად არ იცვლება და ისევ ისეთი ლამაზი რჩება).*

ზემოთმოყვანილი ფრაზეოლოგიზმები ნაწილია იმ ფრაზეოლოგიური ერთეულებისა, რომლებიც კონკრეტულად რომელიმე ეთნოსისათვის დამახასიათებელ ეროვნულ, კულტურულ და რელიგიურ ტერმინების მოიცავენ, ჩვენს შემთხვევაში კი თურქული კულტურის, რელიგიისა და ეთნოსისათვის დამახასიათებელი ელემენტებს შეიცავს. შესაბამისად, ეროვნულ-სპეციფიკური ფრაზეოლოგიური ერთეულის პირდაპირ თარგმნა შეუძლებელია, ის გადმოიცეს თანდართული მოკლე განმარტების გარეშე (როგორც ჩვენ მიერ მოცემულ მაგალითებშია წარმოდგენილი).

რაც შეეხება ქართულ ეროვნულ- სპეციფიკურ ფრაზეოლოგიზმებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი შეიცავს ქართული კულტურისა და რელიგიისათვის დამახასიათებელ კომპონენტებს. ამ შემთხვევაშიც თარგმანი სრულდება და გადმოიცემა თანდართული განმარტებითი წყაროს საშუალებით. მაგ:

- *ადამის ჟამიდან - უხსოვარი დროიდან;*
- *ადამის ჟამის - ძველისძველი;*
- *ადამის შვილი - ადამიანი, ძეხორციელი;*
- *ადამის ხნის - დიდი ხნის, ძალზე მოხუცი; ძველებური;*
- *აკვნის დარწევა (რისამე) - წარმოშობა, ჩასახვა, აღმოცენება (რისამე);*
- *ალილო და ხვალაო - ამასაც მალე ვნახავთ,* ესეც მალე გამოჩნდება (ალილო ძველისძველი სიმღერაა, რომელსაც შობის წინა ღამის მისალოცად კარდაკარ სიარულის დროს ასრულებდნენ);

- *ამინ და კირიე-ელეისონ!* - მორჩა და გათავდა! მეტი რაღა გინდათ?! (ბერძნულად კირიე-ელეისონ ნიშნავს: უფალო, შეგვიწყალენ);
- *ანგელოზმა ჩამოიარა* - სიჩუმე ჩამოვარდა, სიჩუმეა, ხმას არავინ იღებს. ხალხის რწმენით, ანგელოზები ამქვეყნად ღმერთის სხვადასხვა დავალების შესასრულებლად ჩამოდიან ზეციდან. სახლებს მაშინ ჩამოივლიან, როცა იქ სრული სიჩუმეა, ამიტომ, როცა სახლში ყველა უცებ დაჩუმდება, იტყვიან, ანგელოზმა ჩამოიარაო;
- *არც მწვადი დაწვა, არც – შამფური* - ისე მოხერხებულად (ეშმაკურად) გააკეთა საქმე, რომ არცერთ მხარეს ავნო, არც – მეორეს, არავის აწყენინა;
- *არც ღვინო, არც წყალი* - უხეირო, უგერგილო. მაგ., უმცროსი რძლები ხომ არც წყალი იყვნენ და არც ღვინო (ბანოვანი);
- *აღდგომის გათენება/აღდგომის დღის მოსვლა/ აღდგომის დღის გათენება* - ძლიერ გახარება, აღფრთოვანება, შვების გრძნობა (რაიმე შემთხვევის გამო);
- *სამოთხის კარი გაელო- ბედნიერი დღე გაუთენდა;*
- *მამა აბრამის ბატკანი-უდანაშაულო, უბრალო;*
- *განტევების ვაცი– თავდასხმის (ან თავდაცვის) ფორმა,* როდესაც საკუთარი პრობლემები, ანუ სიამოვნებანი სხვა რომელიმე ისეთ ადამიანს, ან ადამიანთა ჯგუფს ჰბრალდება, რომელთაც არ შეუძლიათ შესაბამისი წინააღმდეგობის გაწევა. როდესაც ადამიანთა რომელიმე ჯგუფი გრძნობს ხიფათს, მაგრამ არ შეუძლია მუქარის წყაროს მიმართ რეაგირება. ამიტომ ისინი სხვა, სუსტ, ან საზოგადოების მიერ ათვალწუნებულ, არაპოპულარულ ჯგუფს იღებენ სამიზნედ;
- *ოცდაათი ვერცხლი– ღალატისთვის გადახდილი გასამრჯელო;*
- *პური ჩვენი არსობისა– არსებობისათვის აუცილებელი;*
- *გზობის ყვავივით გაქრა– უცებ გაქრა;*
- *ნოეს მტრედი– იმედისმომცემი;*
- *ნოესვაზისღვინო - საუკეთესოსაღმნიშვნელია;*
- *წითელ კვერცხს უგორებს - ყველაფერს უთმობს, ცდილობს ასიამოვნოს;*

- *ნოეს კიდობანი- უზარმაზარი სათავსო შენობა (*ნოეს კიდობანი — ხსნის სიმბოლოა. ანალოგიური თქმულებებით მდიდარია ძველი აღმოსავლეთი. ნოე კეთილი პატრიარქი, ქალთა მოდგმის მხსნელი ბერიკაცი, იმედის სიმბოლო);
- ურწმუნო თომა-ადამიანი, რომელსაც არაფრის არ სჯერა (ქრისტეს ერთ-ერთ მოციქულს, კერძოდ, თომას, ხალხმა ურწმუნო შეარქვა. ეს მოხდა იმის გამო, რადგან თომამ არ დაიჯერა იესოს აღდგომა და განაცხადა მანამდე არ დავიჯერებ ამას, სანამ თითს არ ჩავყოფ მის ჭრილობებშიო).

3.4.თურქული სომატური ფრაზეოლოგიზმების თარგმნის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ასპექტები

ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნის სირთულის განმაპირობებელი ოთხი ძირითადი საკითხის გამოყოფა შეიძლება (Baker, 1992).

- ✓ პირველია ფრაზეოლოგიზმების ეკვივალენტების სიმცირე სამიზნე ენაში. ერთი და იგივე რამ შესაძლოა მხოლოდ ერთი სიტყვით გადმოიცეს ერთ ენაში და მეორეში კი - ვრცელი გამონათქვამით. არარეალისტურია მოლოდინი, რომ ამა თუ იმ ფრაზეოლოგიზმის ეკვივალენტური ფრაზის მოძებნა ადვილია ენაში. ფრაზეოლოგიზმებში იმდენად ძლიერია კულტუროლოგიური შინაარსი, რომ მთარგმნელს სჭირდება იყოს არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ კულტურის მედიატორი - უნდა ჰქონდეს საკმარისი და ადეკვატური ცოდნა ისტორიული, გეოგრაფიული, კულტურული, სოციალური და მრავალი სხვა ასპექტისა ორივე ენასა და კულტურაში;

- ✓ მეორე სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულის თარგმნისას ფრაზეოლოგიზმს შეიძლება ჰქონდეს ეკვივალენტი, მაგრამ იგი განსხვავებულ კონტექსტში იყოს გამოყენებული;

- ✓ მესამე ფაქტორი გულისხმობს პირდაპირი და იდიომატური მნიშვნელობების სრულ დამთხვევას ტექსტში;

- ✓ მეოთხე სათარგმნი წყაროსა და სამიზნე ენაში ფრაზეოლოგიზმების გამოყენების იშვიათობაა.

რ. იაკობსონმა თავის ნაშრომში “თარგმანის თეორიის საკითხები საზღვარგარეთის ლინგვისტიკაში“ (იაკობსონი, 1978:16) მოგვცა თარგმანის ტიპების შემდეგი კლასიფიკაცია.

„ჩვენ განვასხვავებთ ვერბალური ნიშნის ინტერპრეტაციის სამ ხერხს: იგი შეიძლება გადატანილი იქნას იმავე ენის სხვა ნიშნებზე, სხვადასხვა ენაზე ან ხვა, სიმბოლოთა არავერბალურ, სისტემაზე. თარგმანის ამ სამ ტიპს შეგვიძლია ვუწოდოთ:

1) შიდაენობრივი თარგმანი ანუ გადარქმევა- ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაცია იმავე ენის სხვა ნიშნების მეშვეობით;

2) ენათშორისი თარგმანი ანუ კერძოდ თარგმანი- ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაცია რომელიმე სხვა ენის სხვა ნიშნების მეშვეობით;

3) სემიოტიკათშორისი თარგმანი ანუ ტრანსმუტაცია - ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაცია არავერბალურ ნიშანთა სისტემების მეშვეობით” (იაკობსონი, 1978: 20).

ჩვენი კვლევა რ. იაკობსონის კლასიფიკაციიდან თარგმანის მეორე, ენათშორის ტიპს მიეძღვნა, ვინაიდან ორი სხვადახვა ენის ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნასთან გვაქვს საქმე, თუმცა, ჩვენს შემთხვევაში, ლინგვისტური ერთეულების ენათშორის თარგმანთან ერთად კულტურათაშორის ინტერპრეტაციასაც არანაკლებ ყურადღებას ვუთმობთ. რაც შეეხება კერძოდ თურქული სომატური ფრაზეოლოგიზმების თარგმნას ქართულ ენაზე, მიუხედავად ბევრი იდენტური ფრაზეოლოგიზმისა, გვაქვს განსხვავებული ერთეულებიც, რომლების ზუსტი მნიშვნელობით გადმოცემა სირთულეებთანაა დაკავშირებული. ეს იმიტომ, რომ გვაქვს ისეთი ფრაზეოლოგიზმებიც, რომლებიც ერთნაირი შედგენილობისაა, თუმცა მნიშვნელობები თურქულსა და ქართულ ენებში რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მაგალითად: ფრაზეოლოგიზმი *Alnının damarı çatlamak(შუბლის ძარღვის გაწყვეტა)* თურქულ ენაში, თავდაუზოგავ შრომას, მიზნის მისაღწევად ბოლომდე დახარჯვას ნიშნავს, ხოლო იგივე ფრაზეოლოგიზმი ქართულ ენაში სინდიდსის, ადამიანობის დაკარგვასთან იგივდება.

თვალთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების რაოდენობა საკმაოდ ბევრია თურქული ენის ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკონებში. მაგალითად: *Göz açamamak (თვალს ვერ ახელს),* თურქულ ენაში ზედმეტი შრომის ამსახველია ხოლო ქართულ ენაში *ძილის მორევას* ნიშნავს. ქართული ***თვალს და ხელს შუა*** თურქულ **თვალს და წარბს შორის** (*Gözle kaş arasında*) მნიშვნელობითაა მოცემული. *Gözü açık gitmek- gözü aç (თვალღია წასვლა- თვალღია (ხარბი)* ორი სხვადასხვა მნიშვნელობის ამსახველი ფრაზეოლოგიზმია, ერთი თუ ერთ ენაში სიკვდილს ნიშნავს, მეორეში – სიხარბეს.

პირსა და ენასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები დიდ სირთულეს არ ქმნის, ვინაიდან იდენტური ან შესატყვისი ერთეულები გაგვაჩნია ქართულ ენაშიც. **ყბა** სიტყვაზე არსებული ფრაზეოლოგიზმების საერთო ვარიანტი მოძიებული მონაცემებით არ გამოიკვეთა, თითოეულის თარგმნისას საჭიროა მათი მნიშვნელობების განმარტება.

სიტყვა **ცხვირის** მნიშვნელობა ძირითადად სიამაყესთანაა დაკავშირებული: *Burnu havada, Burnundan ötesini görmez ცხვირი ჰაერში აქვს, ცხვირის იქეთ ვერაფერს ხედავს),* ქართულში იგივე ხასიათის გამომხატველია *ცხვირზე* ***ბუზს არ ისვამს*** თურქული *Burnuna çıkar (ცხვირში ამოსდის)* ქართულში ***ყელში ამოსდის*** ფრაზეოლოგიზმით შეგვიძლია ჩავანაცვლოთ.

სიტყვა **ყურს** და მასთან დაკავშირებულ ფრაზეოლოგიზმებს თურქულ ენაში ქართული ენისათვის რთულად გასაგებ ფორმას არ წარმოადგენს: *Kulak çekmek (ყურის აწევა), Kulaklarına kadar kızarmak (ყურებამდე გაწითლება)*, ორივე ენისათვის ერთი და იმავე მნიშვნელობებით გამოიყენება, საინტერესო ერთეულია *Kulağına küpe olsun (ყურზე საყურედ ჰქონდეს)* მისი შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობების ცოდნა არ

გვაძლევს შესაბამის მნიშვნელობას, ამიტომ თარგმანის დროს სწორად გაგებისათვის საჭიროებს დამატებით განმარტებას.

მხარი ერთმანეთთან თანადგომის, ურთიერთდახმარების, შრომის ერთად გაწევის სიმბოლოდ გვევლინება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულებშიც მისი დადებითი ხასიათი არ არის დაკარგული: *Omuz omuza (მხარი მხარს), omuz verdi (მხარი მისცა), omuzunda taşır (მხრებით ატარებს).*

სომატურ ფრაზეოლოგიზმთა კომპონენტებად ყველაზე ხშირად გამოიყენება ადამიანის ხელი, ფეხი, თავი, ტანი, მხარი, ტერფი...მათი კონოტაციური მნიშვნელობები არაა ერთსახოვნად დადებითი ან უარყოფითი, ნარევი სახისაა, ასიმეტრიულია:

Eli ayağı çözüldü- Eli ayağı gevşedi- ხელ-ფეხი მოუდუნდა, ფეხებში ძალა წაერთვა;

Eli ayağı oldu- მის ხელ-ფეხად გადაიქცა, ყოველგვარ საქმეში გვერდშიმდგომი მისი მარჯვენა ხელი;

Eli ayağı bağlıdır- ხელ-ფეხი შეკრული აქვს, გასაკეთებელს ვერ აკეთებს, შეზღუდულია;

Eli ayağı boşandı- ხელ-ფეხი წაერთვა, შეეშინდა, გაოგნდა;

Eli ayağı buz kesildi- ხელ-ფეხი გაეყინა, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა (მკვდარს დაემსგავსა;

Eli ayağı titrer- ხელ -ფეხი უკანკალებს (ეშინია);

Eli ayağı tutmaz- ხელ-ფეხს ვერ იმორჩილებს (ძალ-ღონე არ აქვს);

Eli ayağı tutulmuştur- ხელ-ფეხი გაუკავდა, მოძრაობის უნარი წაერთვა (ხელ-ფეხი წაერთვა);

საინტერესო ერთეულია *El kiri (ხელის ჭუჭყი*), რაც ორივე ენისათვის ფულს გულისხმობს.

Elden çıkarır (ხელიდან უშვებს) ფრაზეოლოგიური ერთეული თურქულ ენაში გაყიდვას ნიშნავს, ხოლო ქართულ ენაში დაკარგვას, აღნიშნული ფრაზეოლოგიზმის თარგმანს განმარტებაც უნდა დაერთოს.

ყურადღებას იპყრობს ფრაზეოლოგიზმი *ხელისა და კალთის დაკოცნა, კალთაზე შემოხვევა, კალთის სიმართლე* (*Eline eteğine sarıldı, Eline, eteğine doğru*) კალთა ყოველთვის სიწმინდეს, რელიგიურობას, პატივისცემას უკავშირდება, კალთის დაკოცნა ქართული ენისათვისაც პატივისცემის ამსახველია, იგივე კონტექსტში განიხილება (*Diz çöktü) მუხლი მოიყარა.*

თითქმის ყველა ემოციასა და გრძნობას გამოხატავს **ფეხთან** დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები, წარმოსახვით სიარულთან, მანძილსა და შრომასთან უნდა ასოცირდებოდეს, ნაწილობრივ ეს თვისებები ფრაზეოლოგიზმებშიცაა გადმოცემული.

Ayağı suya erdi- ფეხი წყალზე მიუწვდა, აზრზე მოსვლას, გონების განათებას ნიშნავს;

Ayağının bastiği yerde ot bitmez- მის ნაფეხურზე ბალახი არ ამოდის, ბოროტ პიროვნებას აღნიშნავს;

Ayağına sıcak su mu dökelim-ფეხზე ცხელი წყალი ხომ არ დაგასხათ, აქამდე სად იყავი, დიდი ხნის მოლოდინის შემდგომი მოულოდნელი მოსვლით გაკვირვება. ასეთი ფრაზეოლოგიზმების თარგმნას ბევრი სირთულე ახლავს, მისი პირდაპირი თარგმნა არ მოგვცემს სწორ მნიშვნელობას.

თმა ძირითადად ასაკის მატების მნიშვნელობით გვაქვს მოცემული, **თმა გაუთეთრდა, თმა და წვერი ერთმანეთში აერია** და ასე შემდეგ. *Saçı uzun aklı kısa-თმა გრძელი ჭკუა მოკლე* ეს ფრაზეოლოგიზმი უჭკუობას ნიშნავს, ძველად მსგავსი ფრაზეოლოგიზმით განარჩევდენ კაცებს ქალებისაგან, ამით ქალების უჭკუობასა და კაცების გონებით მათზე მაღლა ყოფნას უსვამდნენ ხაზს. ეს ფრაზეოლოგიზმი ერთ-

ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ თურქულ სამყაროში ქალებს კაცებისაგან უფრო დაბალ საფეხურზე აყენებდნენ.

სომატურ ფრაზეოლოგმთა რიგებში შევიყვანეთ კონცეპტ **წვერისა და ულვაშის** შემცველი ფრაზეოლოგიზმებიც, რომლებიც, ერთი შეხედვით, მხოლოდ გარეგნობას ასახავს, თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ორი ენის კულტურისათვის და შესაბამისად მათთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულებიც, კულტურისა და ეროვნულობის ამსახველია. ქართული **კაცი ვარ და ქუდი მხურავს** იგივდება თურქულ **კაცი ვარ და ულვაში მაქვს** გამონათქვამთან. თურქული კულტურისათვის **ულვაში და წვერი** ოდითგანვე ღირსეულობის, მამაკაცობის და ვაჟკაცობის აღმნიშვნელი ფაქტორი იყო, ეს ტრადიცია დღემდეც შემორჩენილია. **უწვერო და უულვაშო კაცი** შერცხვენილად ითვლებოდა, ადამიანი რომელსაც უნდა, რომ მისი სიმართლე სავსებით მტკიცედ გამოხატოს, მიმართავს შემდეგ ფრაზეოლოგიზმს *Sakalımı keserim-**წვერს შევიჭრი.*** ქართული ენისათვის **წვერისა და ულვაშის** ტარება და მისი დატვირთვა უცხო არ არის. კაცისათვის **წვერ-ულვაში,** ქალისათვის კი **მანდილი** მათი სიწმინდის რელიგიური, ეროვნული და კულტუროლოგიური მახასიათებლებია.

„სხვადასხვა ენების შედარებითი კვლევა მნიშვნელოვანია,რადგანაც შედარება მოიცავს ისეთ მოვლენებს,როგორიცაა ისტორიული ფაქტები,გარკვეული გეოგრაფიულ გარემო,ტოპონომები,ადათ-წესები, ეთნოგრაფია,ფოლკლორულ საკითხები,რწმენა და ა შ.ის ადამიანის მსოფლმხედველობას გამოხატავს“. (ვიმოწმებ Tsetskhladze, N ;Tandilava L ,2017 მიხედვით).

საქართელოსა და თურქეთს შორის სრულყოფილი ენობრივი და კულტურათშორისი კომუნიკაციისთვის საჭიროა სათანადო ლექსიკონებისა და განმარტებითი სახელმძღვანელოების შექმნა (რომლებშიც განმარტებული იქნება ეროვნული თუ რელიგიური ტერმინოლოგიით შედგენილი ფრაზეოლოგიზმების ლინგვოკულტუროლოგიური კუთხით გაანალიზება). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღეისათვის არსებული ლექსიკონები და წიგნების რაოდენობა არ აკმაყოფილებს ამ სტანდარტებს. ამის შესახებ აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაშიც:

„გარდა ლექსიკონთა მწირი რაოდენობისა, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ არსებული ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონების უმრავლესობა ძირითადად ცნობარის სახეს ატარებს, შეიცავს სიტყვათა მნიშვნელობების მწირ ინფორმაციას და ორიენტირებულია ენის ლექსიკური მარაგის ზედაპირულ ცოდნაზე. ხშირ შემთხვევაში, არსებული ლექსიკონები არ იძლევა სიტყვის კონტექსტუალურ განმარტებას, მოცემულია სიტყვის მხოლოდ ერთი ან ორი ძირითადი მნიშვნელობა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ საილუსტრაციო მასალას, სიტყვის შესახებ ელემენტარულ მორფოლოგიურ ინფორმაციას და ა.შ. თურქული ენის მომხმარებელთა მზარდი ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ეს ლექსიკონები საჭიროებენ სერიოზულ დახვეწას სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით“ (ახვლედიანი, 2018: 115).

მხოლოდ წერითი სახით მოცემული სახელმძღვანელო არ არის დამაკმაყოფილებელი, ვინაიდან როგორც ვახსენეთ ფრაზეოლოგიზმში შემავალი სიტყვების ჯამი არ უდროს საბოლოო მნიშვნელობის ჯამს.

თარგმნის პროცესში ერთ-ერთი ხერხი მთარგმნელისათვის, როცა ფრაზეოლოგიზმი პირდაპირ არ ითარგმნება, განმარტების თანდართვაა, მაგალითად ავიღოთ ფრაზეოლოგიზმი *„ნოეს კიდობანი“,* იმისათვის, რომ უცხოენოვანი მკითხველისთვის ცნობილი და გასაგები გახდეს მისი მნიშვნელობა, საჭიროა თან დაერთოს განმარტება იმის შესახებ, თუ ვინ იყო ნოე და როდის რა მნიშვნელობით გამოიყენება ეს ფრაზეოლოგიური ერთეული.

იგივე სიტუაციაა თურქულ ენაშიც, ფრაზეოლოგიზმი „*Sen derdini Marko Paşaya anlat*”, პირდაპირ რომ ვთარგმნოთ, მასში ჩადებული მნიშვნელობის გაგება შეუძლებელია, თუ არ ვიცით, ვინ იყო მარკო ფაშა და რა დროს გამოიყენება ეს ფრაზეოლოგიური ერთეული.

აღნიშნული კვლევიდან გამომდინარე, როგორც ქართულ, ისე თურქულ ენაში ფრაზეოლოგიზმები დღესაც დიდ როლს თამაშობს ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში, სასაუბრო სტილში, სალიტერატურო ენაში, პუბლიცისტიკაში, კინემატოგრაფიაში,

პოლიტიკურ დისკურსში, ლიტერატურულ გამოცემებში, თვით ენათმეცნიერთა ნაშრომებშიც კი. ახალგაზრდა თაობის უმეტეს ნაწილს არ ესმის ნაწილი ფრაზეოლოგიზმებისა, მეტადრე ისეთებისა, რომლებიც ძველი ყოფის, ადათ-წესებისა და სხვა ლინგვოკულტუროლოგიური დატვირთვისაა.

სასაუბრო სტილში ფრაზეოლოგიზმთა ფონდის დიდი ნაწილი გამოიყენება, თუმცა დარწმუნებით ვერ ვიტყვით, რომ ყველა მათგანი აცნობიერებს გამოყენებული გამოთქმის მნიშვნელობასა ან კონკრეტულ სიტუაციაში სწორად იყენებს. არაა გამორიცხული სხვა გაუგებრობებიც: მაგ. ფრაზეოლოგიური ერთეულის კულტურის გაცნობიერებლად გამოყენება. *გულის ამოვარდნა, სულის შეკვრა, წელებზე ფეხის დადგმა, თავს ზემოთ ძალა* – სხვა ენისა და კულტურის მატარებელი ვერ გამოიყენებს ასეთ გამონათქვამებს, თუ სრულად არ ფლობს ამ ენის ფრაზეოლოგიურ ფონდს.

როგორც კვლევებმა გვიჩვენა, ნებისმიერი ენის ლექსიკურ სისტემაში ფრაზეოლოგიზმებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, სწორედ მათი საშუალებითაა შესაძლებელი ამა თუ იმ აზრის უფრო ნათლად, უფრო ხატოვნად გადმოცემა. ფრაზეოლოგიზმების შესწავლა ხელს უწყობს მეტყველების კულტურის ამაღლებას, ამიტომაც ნებისმიერი ენის სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელია მისი ფრაზეოლოგიური ფონდის გათვალისწინების გარეშე.

მიუხედავად ბევრი მსგავსებისა, კვლევები გვიჩვენებს, რომ ამ ორ ენას აქვს თავისი ეთნოსისა და რელიგიისათვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მხოლოდ ამ ენისათვის არის სპეციფიკური, რომელთა ზუსტი თარგმნა და გადმოტანა უცხო ენაზე შეუძლებელია ასეთ შემთხვევაში უნდა მოიძებნოს სათარგმნ ენაზე შესატყვისი ფრაზეოლოგიზმი ან თანდართული ჰქონდეს მოკლე განმარტებანი. ასეთ ფრაზეოლოგიზმებში ჩანს რელიგიური სხვაობაც (ქართული: *მამა აბრამის ბატკანი; ნოეს კიდობანი; აღდგომის გათენება; წითელი კვერცხის გაგორება; თურქული: აბდესის მოშლა; მის სულზე ეზანს კითხულობს; ეზრაელმა მოაკითხა; ორ მეჩეთს შორის უნამაზოდ დარჩა* და ა.შ.) ამ ეთნოსის ნებისმიერმა წევრმა იცის მათი მნიშვნელობანი,

მაგრამ უცხოენოვანი მკითხველისა და მთარგმნელისგან ის სეციფიკურ ცოდნას მოითხოვს. მათი გაგება განმარტების გარეშე შეუძლებელია.

დასკვნები

საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით განხორციელებული ემპირიული მასალის ანალიზმა შემდეგი დასკვნების გაკეთების საფუძველი მოგვცა:

1. როგორც თანამედროვე ენათმეცნიერებაში არ არსებობს ერთიანი მოსაზრება ფრაზეოლოგიზმის ლინგვისტური არსის შესახებ, ისე არც თურქულ და ქართულ ენათმეცნიერებებში მიდგომა ამ ლინგვისტური მოვლენის მიმართ არაერთგვაროვანი, და, რიგ შემთხვევებში, ურთიერთგამომრიცხავია. თურქულსა და მასთან შეპირისპირებით ასპექტში განხილულ ქართულ ენაში ფრაზეოლოგიზმი წარმოადგენს მხატვრული აზროვნების შედეგს და იგი შეფასებული და განხილული უნდა იქნეს, როგორც ერის სულიერი სამყაროს გამოხატულება.

2. ის ფაქტი, რომ შესაპირისპირებელ ენებში, მათი ენობრივი სისტემის სხვადასხვაობისა და სხვადასხვა ენობრივი ოჯახის კუთვნილების მიუხედავად არსებობს როგორც სრულად ეკვივალენტური, ისე სინონიმური ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც დამოუკიდებლად აღმოცენდა საუკუნეების მანძილზე, მიუთითებს იმაზე, რომ საერთო ისტორიულმა წარსულმა, მსგავსმა სოცკულტურულმა მდგომარეობამ ზეგავლენა იქონია ამ ერების ენობრივ ფონდზეც და მათშიც, როგორც სხვა ენებშიც, ფრაზეოლოგიზმები ასახავენ ქვეყნის, კულტურის, ცხოვრების წესს, მათი გაქრობა კი კულტურულ ეროზიად მიიჩნევა;

3. ენაში ფრაზეოლოგიზმების, კერძოდ კი სომატური ფრაზეოლოგზმების ფორმირება პერმანენტული პროცესია. იგი დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონიმიკურ ვითარებაზე, ერის კულტურულ ცხოვრებაზე, რელიგიურ თუ სხვა სახის პროცესებზე, რომლებიც უწყვეტად მიმდინარეობს თანამედროვე განვითარებად საზოგადოებაში. იმდენად, რამდენადაც ენის განვითარების პროცესი დროსთან ერთად მომდინარეობს, მუდმივ ცვლილებებსა

და სიახლეებს მოიცავს. ცნობილია, რომ თითოეულ ფრაზეოლოგიზმს წარმოშობის და დამკვიდრების საკუთარი ისტორია აქვს, თითოეულ მათგანში კოდირებული ინფორმაციაც კულტურულად დეტერმინირებულია და მისი დეკოდირება, რიგ შემთხვევებში, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის ფლობასაც მოიაზრებს.

4. იმდენად რამდენადაც ფრაზეოლოგიზმები ირიბად გადმოგვცემენ სათქმელს, მათში კი იმპლიციტური ინფორმაციის გარდა დიდი მოცულობით კომპრესირებულია კულტურული ინფორმაციაც, რომელთაც, ხშირად იმდენად ღრმა ისტორული ფესვები აქვთ, რომ ენის მატარებელი ერის თანამედროვე წარმომადგენლებისთვისაც კი რთულად გასაგებია მათი ეტიმოლოგია, მათი თარგმნა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

5. მიუხედავად შესაპირისპირებელ ენებში მრავლად არსებული იდენტური, ეკვივალენტური და სინონიმური ფრაზეოლოგიზმებისა, რომელთაც, ხშირ შემთხვევაში, ლექსიკური ეკვივალენტობა და სინონიმურობაც კი ახასიათებთ, მრავლად მოიპოვება ე.წ. უთარგმნელი, ანუ უნიკალური ლექსიკური ერთეულების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა მნიშვნელობის გადმოცემა მხოლოდ და მხოლოდ თანდართული განმარტებითაა შესაძლებელი.

6. როგორც აღვნიშნეთ, ფრაზეოლოგიზმებში ჩადებული არსი, მნიშვნელობა თავის მხრივ ქმნიან კონცეპტუალურ ველებს, კონკრეტულად სომატურ ფრაზეოლოგიზმებთან დაკავშირებული მნიშვნელობები გამოხატულია როგორც სულიერი ასევე მატერიალური ფორმით, სხეულის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა მნიშვნელობის კონცეპტებს ქმნის, რომლის გაანალიზების საფუძველზე იქმნება კონცეპტუალური ბადე, რომელიც ნათლად იკვეთება ჩვენს კვლევაში, კონცეპტუალური ველის ჩამოყალიბებისას საყურადღებო ფაქტია ორვე ენაში საერთო ერთეულების არსებობა და მათი გამოყენების არეალი.

7. ჩვენი კვლევის აქტუალურ საკითხად რჩება სომატურ ფრაზეოლოგიზმებში არსებული კონცეპტების ნიადაგზე შედგენილი კონცეპტუალური ველის ჩამოყალიბება, აღნიშნული საკითხის ნათლად გამოკვეთის და მათი კვლევის მიზნით ნაშრომში წარმოდგენილია გრაფიკები, სადაც ნათლად იკვეთება როგორც მსგავსი, საერთო ფრაზეოლოგიზმები, ისევე ქართული და თურქული ეროვნულ-სპეციფიკური უთარგმნელი ერთულები, რომლებშიც ასახულია კონკრეტული ეთნოსისა და ხალხის კულტურა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ახვლედიანი ზ., თანამედროვე ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფია და თარგმნის პრობლემები. სადისერტაციო ნაშრომი.ბათუმი, 2018.
2. ახალაძე ა., იდიომური გამოთქმები ქართულსა და თურქულ ენებში. სადისერტაციო ნაშრომი. ბათუმი, 2021.
3. ბერიძე ხ.,თარგმანმცოდნეობა. ბათუმი, 2018.
4. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, მეორე გამოცემა. თბილისი, 2008.
5. თაყაიშვილი ა., ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი, 1961.
6. კიკნაძე ი., იდიომთა გრამატიკული აგებულებისათვის, ბსუს კვლევითი ცენტრის კრებული II. ბათუმი, 2002.
7. კალაძე თ., ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულების სწავლების თავისებურებანი საბაზო საფეხურზე“ სადოქტორო დისერტაცია. თელავი, 2017.
8. ლაგვილავა ც., გარდაცვალების სემანტიკა ქართულსა და თურქულში. სადისერტაციო ნაშრომი, ბათუმი, 2018
9. ლოლაძე ნ., ემოციების გამოხატვის ენობრივი სურათი, HTTPS://SEMIOTICSJOURNAL.WORDPRESS.COM/2010/08/07, 2010.
10. მამულია ე.,თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, 2006.
11. მემიშიში ო., ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2012.
12. ომიაძე ს., ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი, 2006.
13. ომიაძე ს., კონცეპტის ცნება, https://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/12.
14. ონიანი ა., ქართულ-სვანური იდიომატიკის საკითხები, საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 1954.
15. ონიანია., ქართული იდიომები, გამომცემლობა ნაკადული. თბილისი,1966.

16. რამიშვილი რ., ზოგი ფრაზეოლოგიზმისთვის ფერეიდნულში, ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 70-ე სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი, 2011.
17. რუსაძე ი., სამყაროს ენობრივი სურათი, როგორც ადამიანთა ცნობიერების ენობრივი ასახვა, ჟურნალი ,,ენა და კულტურა I, გამომცემლობა ,,მერიდიანი“. თბილისი, 2010.
18. რუსაძე ი., სომატური იდიომები ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე), ქუთაისი, 2010.
19. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. გამომცემლობა ,,მერანი“. თბილისი, 1979.
20. სვანიძე ქ., ილუსტრირება, როგორც სემიოტიკათშორისი ტრანსფორმაციის ხერხი და ზოგი რამ ქაოსისა და კოსმოსის შესახებ, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ჰუმანიტარული კვლევები, სემიოტიკა, მეორე ნაწილი, თბილისი. 2016.
21. სურგულაძე ნ., კინეტიკური და სომატიზმებით მოტივირებული ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებითი კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში, სემიოტიკა, 16/2016. ნაწილი II. ჰუმანიტარული კვლევები. გამომცემლობა. „მერიდიანი“. თბილისი, 2016.
22. ფეიქრიშვილი მ., სომატურ ფრაზეოლოგიზმთა დიფერენციაციის საკითხი, საენათმეცნიერებო ძიებანი, XIV. თბილისი, 2003.
23. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, თბ., 1955; ტ. VII, თბილისი, 1962.
24. შიოშვილი თ., ,,პირი ხისკენ მიქნია“... ქართული ხალხური წყევლა. თბილისი, 2006
25. ჩიქობავა ა., ენათმეცნიერება, როგორც ინტეგრალური მეცნიერება ენის შესახებ. თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, II,თბილისი, 1967.

26. ცეცხლაძე ნ., ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები“. გამომცემლობა ,,ივერიონი“, თბილისი, 2018.
27. ჯორბენაძე ბ., ენა დაკულტურა. თბილისი, 1997.

28. Akkök-Arıca E., Deyimlerin Anlambilimsel ve Bilişsel Özelliklerine Göre Tahmin Edilebilirliği: Yabancı Dilde Bir Uygulama. Dil Dergisi, Sayı: 138, s.(18-33)TÖMER Ankara Üniversitesi Yayınları. Ankara, 2007.
29. Akkök-Arıca E., Yabancı Dilde İmgesel Anlamlı Dil Ögelerinin Öğretimi. Yayımlanmamış Doktora Tezi, Ankara Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü: Ankara, 2008a.
30. Akkök-ArıcaE., Yabancı Dilde Deyimlerin Öğretimi. Dil Dergisi. Sayı: 143, s. (59-77). TÖMER, Ankara Üniversitesi Yayınları, 2010.
31. Aksan D., Her Yönüyle Dil – 3, TDK Yayınlarıö Ankara, 1982.
32. Aksan D., Türkçenin sözvarlığı , Ankara, 1996.
33. Aksan D., Türkçenin gücü. Bilgi yayınları .Ankara., 2003.
34. Aksoy Ö. A., Atasözleri ve Deyimler Sözlüğü. İstanbul. İnkilap kitapevi yayınları,1998.
35. Aksoy Ö. A., Deyimler Sözlüğü 2. İstanbul. İnkilap kitapevi yayınları,2020.
36. Aslan ve diğer., Gedik, E., Göçen, G., GönültaÇ, G., Keskin, F., Özenç, F., Tokgöz, H., Ünsal, G. ve Yavuz, S.İstanbul Yabancılar İçin Türkçe Ders Kitabı B2. İstanbul: Kültür Sanat Basımevi, 2012
37. Avrupa Konseyi/Modern Diller Bölümü., Diller için Avrupa Ortak Önerilen Çerçevesi öğrenim, öğretim ve değerlendirme. (ikinci baskı). Almanya, telc GmbH,2013.
38. Ballı E., Devrek yöresinden derlenmiş atasözleri ve deyimlerin tematik açidan değerlendirilmesi, Yüksek Lisans Tezi, Zonguldak, 2019.
39. Başkan Ö., Yabancıdiloğretimi. İlkelerveÇözümler, İstanbul, 1969.
40. Cem A., Dilbilgisi Öğretiminde Biçim-Anlam-Kullanım Üçlüsü: Ders Malzemesi Hazırlama ve Uygulama Önerisi, Dil Dergisi, Sayı128. s. (7-22), 2005.

41. Chkonia L., Türk Deyim Biçimleri ve Gürcücedeki Eş Anlamlıları. Güneyi-Batı Gürcistan Bilim ve Araştırma Merkezi, Koleksiyon V., 2007.
42. Çotuksöken Y., Deyimlerimiz. İstanbul: Varlık Yayınları, 1988.
43. Deyimler sözlüğü, https://www.dilbilgisi.net/deyimler-sozlugu/.
44. Hepçilingirler F., Türkçe Dilbilgisi. Kırmızı Kedi Yayinevi.İstanbul, 2018.
45. Gencan T. N., Dilbilgisi, TDK Yay., Ankara, 1979.
46. Göksel A., Kerslake C., TURKISH: A COMREHENSIVE GRAMMER. London and New York: Routledge 2 park square, Routledge 270 Madison Ave, New York NY 10016, 2005.
47. GünayV.D., Metin Bilgisi,Multilingual Yayınları.İstanbul, 2007.
48. Günay V.D., Fidan Ö., Çetin, B. ve Yıldız F.,İzmir Yabancılar Ġçin Türkçe Ders Kitabı A1. (ikinci Basım). Papatya Yayıncılık Eğitim.İstanbul, 2013.
49. Günay V.D., Fidan Ö., Çetin B. ve Yıldız, F.,İzmir Yabancılar İçin Türkçe Ders Kitabı A2. (ikinci Basım). Papatya Yayıncılık Eğitim. İstanbul,2014
50. Günay V.D., Uzdu Yıldız F., Çetin, B., Oflaz Köleci, E., Oryaşın U., Atak A., Demirhan, Y., Aktaş Tülü T. ve ġen, E., İzmir Yabancılar İçin Türkçe Ders Kitabı B1. Papatya Yayıncılık Eğitim. İstanbul, 2015.
51. İmer K., Kocaman, A., Özsoy A. S.(2011) Dilbilim Sözlüğü.: Boğazıcı Üniversitesi Yayınevi. İstanbul, 2011.
52. İşeri K., Türk Üniversitesi Öğrencilerin Deyimleri Tahmin Etme Durumları. Tubar XXVII, 2010.
53. İlköğretim okulları için Türkçe Sözlük, 2005.
54. Lyons J., Kuramsal Dilbilime GiriĢ (Çev.: Ahmet Kocaman). Ankara: TDK Yayınları, 1983.
55. Özbay M., Melanlıoğlu D., Türkçe Eğitiminde Deyimlerin Öğretme ve Öğrenme Süreci Bakımından Değerlendirilmesi. Milli Eğitim Dergisi, S. 181 . s. (8-20). MEB Yayınları Ankara, 2009.
56. Özdemir A., Deyimlerin Yabancılara Öğretiminde Mnemonik Teknikler ile Öğretim Etkinliği Önerisi. Türkçe Eğitiminde Kuramsal ve Uygulamalı Çalışmalar, 2014.

57. Parlatır İ., Deyimler. Yargı Yayınevi, Ankara: 2008.
58. Karaveli O., TÜRKÇENİN TARİHİ GELİŞİMİ VE BUGÜNKÜ DURUMU. Ulusal Sempozyum, Editör: Hv.Kur.Alb.İsmet ÇINGI.,Dr.P.Yb.Orhan SEZGİN. Istanbul,2010.
59. Kikvadze M., Abuseridze A., Linguoculturological Aspects of the study of (Samkhruli) (Southern) Floronymic Phrasal Units, LA PHRASEOLOGIE: THEORIES ET APPLICATIONS, SOUS LA DIRECTION D'OLOVIER SOUTET, SALAH MEJRI ET INES SFAR, ISBN 9782745347800, 26.01.18 PARIES. COLLECTION BIBLIOT DE GRAMMAIRE ET RE LINGUISTIQUE, 2014.
60. Korkmaz Z., Gramer Terimleri Sözlüğü, TDK Yayınları, Ankara, 2003.
61. Püsküllüoğlü A., Türkçe Deyimler Sözlüğü. Beşinci Baski. Ankara, 2004.
62. Püsküllüoğlu A., Türkçe Deyimler Sözlüğüç Ankara, 2006.
63. Sinan A. T., Türkçenin Deyim Varlığı, Kubbealtı Yay., Malatya, 2001.
64. Sinan A. T., Deyim kavrami üzerine notlar-I, FıratÜniversitesiSosyalBilimlerDergisi, Cilt: 18, Sayı: 2, Elaziğ, 2008.
65. TDK , TÜRKÇE SÖZLÜK. TDK Yayınları. Ankara, 2005.
66. TDK, TÜRKÇE SÖZLÜK. TDK Yayınlari .Ankara, 2011
67. Turan,A. S., Deyimlerin Kisa Hikayeleri. İstanbul, 2019.
68. Tandilava L., khakhutaishvili M., Türkçe- Gürcüce Deyim Biçimleri Seçeneklerinin Lingvokültürelojik Görünüşleri, Universe Culture ISSN: 1308-619', 2015.
69. Tsetskhladze N., Tandilava L., GÜRCÜCE VE TÜRKÇE'DE DİL KARŞILAŞTIRMA ÖRNEKLEMELERİ_(LİNGOKÜLTÜREL ANALİZ)), Proceedings I International Black Sea Conference on Language and Language Education Samsun, 2017.
70. Uzdu Yıldız F., Sözcük ve Sözcük Öğretimi. Yabancılara Türkçe Öğretimi El Kitabı, s. (357-364). Gratiker Yayınları Ankara, 2013.
71. Vardar B., Açıklamalı Dilbilim Terimleri Sözlüğü. İstanbul: Multilingual Yayınevi, 2002.
72. Vico S., Idiomatic Expressions in British and American English: A Contrastive Analisis: Yayınlanmamış Bitirme Tezi, 2006.

73. Балли Ш., Французская Стилистика, перевод с Французского К.А. Долинина, Издателство Иностранной Литературы, Москва, 1961.
74. Булаховский Л.А., Введение в язиковедение II, Москва, 1955.
75. Виноградов В. В., Русский язык. Москва, 1947.
76. Izard C. E., The psychology of emotions, Питер, 1980.
77. Караулов Ю. Н., Русский язык и язиковая личность Editor, Д. Н. Шмелев. Publisher hause Наука, 1987.
78. Кунин А .В., Английская Фразеология‘. Москва, 1970.
79. Маслова В. А., Лингвокультурология. Москва, 2001.
80. Ожегов С. И., О структуре фразеологии. Москва, 1958.
81. Шанский Н. М., Фразеология современного русского языка. М. 1985